

K 42-174
2



ეთიომობას ვიყრის ცეკვას განვიხილა
၂၃၈၅၁၀၁၇၆၂



787348m 5/ii - 2008

„საგვეორგი საქართველო“ თამაშები — 1973



ეთერია სამარტინო გერმანიული ეპიდემია საცხოვრის

*

სპეც-2000
საცხოვრის ეპიდემია

42/2



902.7(C41)
902.7(47.922)
0 416



902.7(c)(=99.962.1)

წიგნი წარმოადგენს მე-19 საუკუნის ცნობილი მო-
ლვაწეების — ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიქარაძისა
და ივანე მარგიანის მიერ ქართულ პრესაში სვანეთზე
გამოქვეყნებული წერილების კრებულს. კრებულში
თავმოყრილი ეს წერილები მკითხველს წარმოდგენას
შეუქმნიან ძევლი სვანეთის ყოფა-ცხოვრებისათვის და-
მახასიათებელ ნიშნებზე, ადათ-წესებზე, ცხოვრების პი-
რობებზე, ხალხის ძისწრაფებებზე და შ.

შემდგანლები:

- გ. ა 3 ა ლ 0 1 6 0
გ. ზ უ რ ა ბ 0 1 6 0

3,A 0162 — 394—73.
M 601 (08) — 73

1983.4

1612

-255

ტინასიტაზაობა

ბევრი თქმულა და დაწერილა სვანეთშე, მაგრამ საქართველოს ეს კოლორიტული, უაღრესად საინტერესო კუთხე სრულყოფილად და ამომწურავად შესწავლილი დღესაც არ არის. როგორც იტყვიან, სამკალი ჭერ კიდევ ბევრია. ახალი მასალის მოპოვებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველის თავმოყრის და გამოქვეყნებას.

წინამდებარე კრებულის შედგენით კარგი საქმე გააკეთეს გ. ავალიანმა და გ. ზურაბიანმა. კრებულში წარმოდგენილ ავტორებს ლ. დადუანს, ბ. ნიუარაძეს და ი. მარგარიანს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძლვით მშობლიური კუთხის შესწავლის საქმეში. მათ დროულად აღიმაღლეს ხმა მეფის მოხელეთა წინააღმდეგ, რომლებიც ცარიზმის საამებლად ცდილობდნენ საქართველოს კუთხეების გათიშვას და ძირს უთხრიდნენ ჩვენს ეროვნულ თვითშევნებას. სამიცე ავტორი და განსაკუთრებით ბ. ნიუარაძე გულმხურვალედ მონაწილეობდა დიდ ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში. | სვანები ყოველთვის ბურჯად უდგნენ საქართველოს და მე-19 საუკუნის მეორე ხანევარშიც შესვეურნი და მეწინავენი იყვნენ. | რის საბუთად ეს კრებულიც გამოდგება. კრებულში გამოქვეყნებული წერილების საერთო თვისებაა გაბედულება, პრინციპულობა

და სიმართლე; მხილება და შეუჩიგებლობა ყოველზომის
ნინჯი მოვლენისა, რასაც თავს ახვევდნენ მეფის მოზელები
კოლონიადქცეულ საქართველოს.

ფართო მკითხველი წინამდებარე წიგნში წარსული ცხოვ-
რების ბევრ საინტერესო სურათს იხილავს, ხოლო მკვლევარი
სანდოდ ფიქსირებულ მრავალ ფაქტს იპოვის.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამა თუ იმ კუთხეშე ძველ პერი-
ოდიკაში გამნეული წერილები ნაკლებხელმისაწვდომია. იღრინ-
დელი ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ ცენტრალურ ბიბლიოთე-
კებშია თავმოყრილი და თითოეული მათგანი ხშირი ხმარები-
საგან დაცვეთილი და განადგურების პირზეა მისული. მსგავს
კრებულთა დაბეჭდვით მათ დროულ შვებას ცეცხლი. იმედი
გვაქვს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მხოლოდ
„ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“ გამოცემით არ დაკმა-
ყოფილდება და სხვა ძველ ავტორთა ნაწარმოებების გამო-
შვეულებითაც გაახარებს მკითხველს.

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ ଓ ପରିବହନ ବିଭାଗ

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის სვანეთის წარსულის ისტორია დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. სვანეთის მრავალრიცხვებანი კოშები, ოდესლაც გემოვნებით მოხატული ყალესიები, სვანური სიმღერები და ცეკვები, ამასთან სამართლისა და ზოგიერთი სხვა საყოფაცხოვრებო ტრადიციები ამ კუთხის დიდ და შინაარსიან კულტურულ წარსულზე მიგვანიშნებენ. ამის შესახებ მოხდენილად აქვს ნათქვა-მი მწერალ კონსტანტინე სიმონოვს: „სვანეთზე ისე ვერ დაწერ, თითქოს ამ მხარეს უკვე ვიცნობდე, მაგრამ იმის უფლება კი მაქვს, რომ მისი მშვენიერებით თავბრუდახვეული ვიყო... სვანეთის კოშები თავისი დროისათვის ისეთივე მწერლაცია ტექნიკისა და ისეთივე საოცრება აღამიანის გენისა, როგორც ჩვენი მეოცე საუკუნისათვის — სულ ახალი და ახალი ნაბიჯები აღამიანისა ზეცაში“¹.

მე-19 საუკუნეში ბევრმა რუსმა თუ უცხოელმა იმოგზაურა სვანეთში. ყველა მათგანი შეეცადა აღწერა სვანეთის როგორც გეოგრაფიული გარემო, ისე ხალხის ყოფა-ცხოვრება. ამ მოგზაურთა აზრი სვანეთის შესახებ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ უმრავლესობა ამ კუთხეს წარმოგვი-

¹ გვ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ., 8 აგვისტო, № 32.

დგენს როგორც ძალზე ჩამორჩენილსა და განუვითარებულს.
რასაკვირველია, თვალის ერთი გადავლებით შექმნილ მოსახულ
დილებებზე დაფუძნებული ეს დასკვნები ძირშივე მცდარი და
მიუღებელია.

უფრო საიმედო ცნობებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის
სვანეთის ყოფა-ცხოვრებისა და ხალხის ზნე-ჩვეულებებზე
გვაწვდიან სვანი მოღვაწენი: ლაზარე დალუანი, შესარიონ ნი-
ჟარაძე და ივანე მარგიანი, რომლებიც პერიოდულად წერი-
ლებს აქვეყნებდნენ ქართულ უურნალ-გაზეთებში.

დასახელებული მოღვაწეების წერილთა კრებულს წარმო-
ადგენს ჩვენს მიერ შედგენილი ეს წიგნი. წერილები ამოკრე-
ბილია 1872 — 1903 წლების ქართული უურნალ-გაზეთებიდან.

წიგნში არ შევიდა ბესარიონ ნიჟარაძის ის წერილები, რო-
მლებიც მოთავსებულია ალ. რობაქიძის რედაქტორობით გამო-
ცემულ ორტომეულში: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილე-
ბი“.

ლ ა % ა რ ე დ ა დ უ ა ნ ი¹

ლაზარე დადუანის წერილები ძირითადად იბეჭდებოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. იგი სვანეთის პირველი მკვიდრია, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაზეთებისათვის წერილების მიწოდება დაიწყო და ამით შესაძლებლობა მისცა ქართველ მკითხველს ცოტად თუ ბევრად გასცნობოდა საუკუნეობით მიძინებული და მივიწყებული სვანეთის ყოფა-ცხოვრებას.

ათი წლის მანძილზე აწვდიდა პრესას ლაზარე დადუანი თავის წერილებს. ამ ხნის განმავლობაში იგი თითქმის მარტოდმარტო წერდა სვანეთზე. ცნობილი მოღვაწის ბესარიონ ნიქარაძის თანამშრომლობა ქართულ უცრნალ-გაზეთებში ძირითადად 1880 წლიდან იწყება. საინტერესოა ის გარემოება, რომ 1881 წლიდან, როდესაც ბესარიონ ნიქარაძე იწყებს ინტენსიურ სამწერლო მოღვაწეობას ლაზარე დადუანი

¹ ლ. დადუანის შთამიშავლობა ამჟამად დადვანად იწერება.

ძირითადად წყვეტს თანამშრომლობას ქართულ კურიულურა-
ში და ამის შემდეგ მისი მხოლოდ ორი წერილურებულება-

ბა.

ამგვარად, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ლაზარე
დადუანმა პირველმა დაიწყო სვანეთის ყოფა-ცხოვრების გა-
შუქება ქართულ პრესაში და ათი წლის ნაყოფიერი მოღვაწე-
ობის შემდეგ ეს საქმე გადაუღოცა ბესარიონ ნიერაძეს,
რომლის მუწაობა ამ მიმართულებით ფართოდაა ცნო-
ბილი.

ლაზარე დადუანის ცხოვრების შესახებ ვიცით შემდეგი:
იგი დაიბადა 1851 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სო-
ფელ მუჟალში. მამამისი ისმაილ დადუანი ადგილობრივი ვლე-
ხი იყო, დედა მართა ლომთაძე კი რაჭიდან, სოფელ მეორე
ოოლალან ყოფილა.

ლაზარესათვის წერა-კითხვა დედას უსწავლებია. შემდეგ
იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. ქ.
ლ. დადუანი დამეგობრებია ამბროლაურის ჩაიონის სოფელ
ჩორჯოს მკვიდრს ვარლამ დავითის ძე გაბრიელეს, შემდგა ში
ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთ მესკეურს დასავლეთ ჩა-
ქართველოში. ამ მეგობრობის შედეგი იყო ის, რომ ლაზარეს
ცოლად შეურთავს ვარლამის და ებე ვაბიჩებე. ცნობილია
აგრეთვე, რომ ვარლამის ხელმძღვანელობით ლაზარე დადუანი
ხალხოსნურ იდეებს ავრცელებდა რაჭა-ლეჩენუმსა და სვა-
ნეთში.

მეფის ხელისუფლების მიერ ხალხოსნური მოძრაობის დათ-
რგუნვის შემდეგ ლაზარე დადუანი სვანეთშია. მიუხედავად
თავისი სასულიერო განათლებისა, მას სასულიერო სამსახურ-
ში ვერ გხედავთ. ამის მიზეზი ალბათ მისდამი, როგორც ხალ-

ხოსნისადმი, ეკლესიის უნდობლობა იქნებოდა, ან იჭნებ / ხალხოსნური იღებით გამსჭვალულ ადამიანს, თშრიმტონური სურდა სასულიერო სამსახური. სვანეთში ლაზარე ცნოვონბდა სოფელ ბეჩოში და სიცოცხლის დასასრულამდე თავად თენგიზ დადეშეელიანის სახლში მდივნად მსახურობდა.

1894 წელს ლაზარე დადუანი გარდაიცვალა. მისი ნეშტი დეჩოდან მშობლიურ სოფელ მუჟალში გადაუსვენებიათ და დაუკრძალავთ მუჟალის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში, სადაც ძისი საფლავის ქვაზე ამოქვეთილია ინიციალები: „ლ. დ.“. ასეთი წარწერით გამოქვეყნებულია მისი ზოგიერთი წერილი.

ლაზარეს პყოლია ერთი ვაჟი, რომელიც ოთხი წლისა გარდაცვლილა. ქალიშვილი ბაბილინა კი, მამა რომ მოუკვდა, ექვსი თვისა ყოფილა. ლაზარეს გარდაცვალების შემდეგ მის მეუღლეს დაუტოვებია სვანეთი და რაჭაში ძმებთან დაბრუნებულა. ებეს ძმები უშვილონი ყოფილან და მემკვიდრედ ლაზარეს ქალიშვილი ბაბილინა აუყვანიათ. რომლის შთამომავლობა ამჟამად ამბროლაურის რაიონში ცხოვრობს. სოფელ მუჟალში, ლაზარესეულ სახლში, მისი დის შთამომავლობა — ქოჩიანები ცხოვრობენ.

ლაზარე დადუანის წერილები მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავენ ძეელი სვანეთის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. თავის წერილებში იგი ააშკარავებს უსარგებლო და ხალხისათვის მავნე აღათ-წესებს, ილაშქრებს სიხარბისა და გარყვნილების გზაზე დამდგარი მღვდლებისა და აღვირახსნილ მეფის მოხელეთა წინააღმდეგ.


მიცვალებულის გადაჭირბებული რიტუალებით დაკარგად-
ვისა და შემდეგ მისი სულის საცხონებლად გამარტინირებული
რემონიალების საწინააღმდეგოდ ლ. დადუანი თავის ერთ წე-
რილში შენიშნავს: „სვანები მდიდარი ხალხი იქნებოდა, რომ
მკვდრის წესების შესრულებას ნამეტნავად არ მისდევდნენ.
ჯერ ჭირისუფალს ტირილზე დასკირდება 70—80 მანეთის პუ-
რი და ამდენისავე არაყი, შემდეგ აღაპზე ამდენივე პური და
არაყი და უკანისკნელი 150 მანეთის საკლავი. ფული რომ არა
პქონდეს სვანს, მამულებს გაჰყიდის და ტირილსა და აღაპზე
მოიხმარს ასე ნაშოვნ ფულს“¹. ამავე წერილში ლ. დადუანი
დიდი სიხარულით ამცნობს მკითხველს: „აქამდის მთელს სვა-
ნეთში არავითარი სასწავლებელი არ არსებობდა და ახლა კი
ღვთის მადლით და ცოტა ჩვენის მეცადინეობითაც იმართება
სამი სასწავლებელი: ორი მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის
აღმდგენელი საზოგადოების შემწეობით და მესამე ორკლასია-
ნი სკოლა სახელოსნო განყოფილებით“.

ლაზარე დადუანი თავისი წერილებით გვევლინება რო-
გორც საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების
წინააღმდეგ ამხედრებული და დაკეჩივებული ხალხის მხურვა-
ლე გულშემატკივარი. ბევრ წერილში იგი განსაკუთრებული
სისასტრიკით ესხმის თავს უქნარა, მარტო საკუთარ შემოსავალს
დახარბებულ სასულიერო პირებს. ამის პირდაპირი შედეგი იყო
იმ ხანებში სვანეთში მომუშავე რომელიღიც სასულიერო პი-
რის მიერ „შუანელი ბ...ს“ ფსევდონიმით გაზეთ „დროების“
1874 წლის № 412-ში დაბეჭდილი სტატია, რომელშიც ცი-

¹ „თვერია“, № 22, 1891 წ.

ლობს თავი დაიცვას ლაშარე დადუანის წერილებშე შეაჭინებ
ბული რალდებებისაგან.

ლ. დადუანი ზოგიერთ წერილში მწერლურ ნიჭია და უნა-
რსაც ამჟღავნებს. ბუნების სურათებისა და ხალხის ყოფის
აღწერის რეალისტურობითა და მხატვრულობით ზოგი მისი წე-
რილი იმდროინდელი მხატვრული პროზის დონეზე დგას და
სასიამოვნოდ იქითხება.

სპანიოს ჩვეულებები

სვანების ჩვეულებებს შუა მეტისმეტად შესანიშნავია მკვდრის დასაფლავება, მისი სუფრის კურთხევა, აღაპის გადახდა და სხვა, რომლების დროსაც მკვდრის ჭირისუფალს ბევრი რამ უნდება. აი მავალითად: როცა ვინმე მოკვდება, იმისი ჭირისუფალი ცდილობს, რომ ეს მკვდარი კარგა გაისტუმროს: ჩააცვას კარგა, სუფრა კაი უკურთხოს და ამითი მკვდარი მაღრიელი წავიდეს. იმ დღესვე შეუდგებიან მომარაგებას, რა დღესაც ვინმე მოკვდება და ამზადებენ ყოვლისფერს: გამოაცხობენ პურს, არაუს იყიდიან და მესამე დღეს კი უნდა დამარხონ. ამ დღეს მოიყრის მრავალი ხალხი თავს, დილიდან საღამომდინ ტირიან და მაშინ გამოასვენებენ მკვდარს. გამოსვენების დროს მკვდრის წინ მოჰყავთ ხარი, რომელსაც თავზე შემოავლებენ მკვდარს. ეს ხარი პაპას უნდა მისცენ, რომელიც რამდენეგრმე უწირავს ხოლმე. იმათ მოჰყვებიან პაპები ჯვრებით და სანთლებით. საფლავზე მთელი კრებული დაიჩოქებს და ერთის ხმით იტირებს. მშენერი შესახედავი არის ამ დროს ხალხი საფლავის გარშემო: არანაკლებ ოთასის კაცისა დაჩიქილია და ერთის ხმით ტირის, დგება და იჩოქებს. დასაფლავების შემდეგ ხალხი დაჭდება ჭამათ.

მკვდრის ჭირისუფალი ჰგლოვობს რამდენსამე წელს. რო-

ცა სწორი დღე მოაწევს, ესე იგი რა დღესაც გაუხდება ჩემი
დღე, დაჰკლავენ ოთხს ან ხუთს ტახს, დაპატიჟებენ შეზებულებს,
უკურთხებენ სუფრას და გაუმასპინძლდებიან რყუჭლება
ამის შემდეგ იქნება აღაპი. მევდრის ჭირისუფალი შრომით
მრავალს არაყს, პურს, ხუთ ხარს, მთელს მახლობელს სოფლე-
ლებს დაპატიჟებს, დაათრობს, გააძლებს და გაუშვებს სახლში.
ვისაც ერთმანეთის ჯინი სჭირს ამ აღაპზე ამოიყრის თავის გუ-
ლის ჯავრს. დახვდება იმ გზაზე, საღაც უნდა გაიაროს თავის
წინააღმდეგმა და კარგა შეაქცევს. მერმეთ მოჰყვება „ლაგვა-
ნი“. ამ უკანზედ მევდრის ჭირისუფალი მოაგროვებს ხოლ-
მე მარტო პურს და არაყს. პური ბლომათ უნდა იყოს გამომ-
ცხვარი. დაპატიჟებს თითქმის მთელს მახლობელ სოფლელებს
და აგრეთვე შორებლებსაც; თავის სოფლიდან თითქმის ყველა
უნდა მოვიდეს. როცა ხალხი მოვა, დააგენს დას-დასათ და რა-
მდენიც კაცი, ბავშვი, თუ გინდ იყოს ძუძუმწოვარი და ქალი
არის, იმდენს თითოს ხუთ-ხუთ პურს დაუდებს სუფრაზე და
აგრეთვე არაყს, რამდენსაც დალევს. ერთი კაცი კოქევათ ერთ
პურსაც ვერ შესჭამს და მონარჩენი სახლში უნდა წაიღოს
სტუმარმა. ჭამის შემდეგ ხალხი წავა სახლებში.

წასვლის დროზე, ყოველ ადგილას დგანან ლაგვანის გადა-
მხდელის კაცები, დაუდგამენ არყით სავსე კურკლებს წამ-
სვლელებს და სანამ არ დალევს კიდევ მრავალს, არ გაუშვებენ.

შემდეგ ლაგვანისა იქნება დიდი აღაპი, რომელსაც ეძახიან
„ბაცხს“. ამ უკანასკნელ აღაპზე სვანები უფრო იდეალურად
იქცევიან. აღაპის გადამხდელი თუ კი შეძლება აქვს, დაჰკლავს
ათ ხარს ანუ ნაკლებს, იმოდენს ტახს, გამოხდის არაყს, გამო-
აცხობს ურიცხვ პურს და დაპატიჟებს მთელ არემარეს. როცა
მთელი ხალხი მოვა, უმთავრესი პაპა დააწყობს კერიის გარშე-

მო სხვა პაპებს, უმთავრეს ხალხს, თვითონ დაიკავებს ხელში
შამფურზე ამცობილს შემწევას ცხვარს, დადგება თავში სხვა
პაპებს უკავიათ ხელში ყავარჯნები. როცა ხალხი რეგულურად,
უმთავრესი პაპა უკლის კერიას და იმასთან სხვანიც და სთვლის
რაც სვანეთში წმინდის ეკლესია არის და ან რაც გაუგონია
სხვა ქვეყნებიდან, — ამნაირათ: „ჰე დაუსასამო, დაუსრულე-
ბელო ღმერთო, ცისა და ქვეყნისა, აცხოვნე მ. გ. ზ...ი...“ და
სხვა. ამას კი წარმოსთქვამს პირველათ ქართულათ და მერმეთ
დაიწყებს სვანურათ: პირველი პაპა: „დიდაბ ხოშამ ღერბათ“
(დიდება დიდ ღმერთს). მეორე პირი: დიდაბ! (დიდება).
პირველი პაპა: — „დიდაბ ლამარია მ“. (დიდება ღვთისმშო-
ბელს მ.). მეორე პირი: — დიდაბ! პირველი პაპა: „დიდაბ მა-
ცხვარ ქუთაშიშ“ (დიდება ქუთაისის მაცხოვარს). მეორე პი-
რი: — დიდაბ! პირველი პაპა: — დიდაბ ივან ნათლისმცემელს
(დიდება იოანე ნათლისმცემელს). მეორე პირი: — დიდაბ! პირ-
ველი პაპა: — დიდაბ მაცხვარ მულახიშ (დიდება მულახის მა-
ცხოვარს). მეორე პირი: — დიდაბ... და სხვა და სხვა.

ამის მოთვლას მოუნდება პაპა თითქმის ხუთს საათს, შემ-
დეგ ცერემონიისა, ხალხი დაჭდება ეზოებში, კალოებზე და თუ
ვერ დაეტევა ეზოს გარეთაც დასხდებიან. თითო სოფელს ათ-
ათი თავზე მდგომი ეყოლება; მოართმევენ პურს, ხორცს,
ყველს. ჭამის შემდეგ წავლენ თავ-თავის სახლებში და მონა-
რჩენსაც წაიღებენ.

პირველი პაპა მიიღებს ერთ დიდ პურს, რომელიც არის
ხოლმე წონით 12 გირვანქა; იმოდენ პურს, სხვას კიდევ, ხორცს,
არაყს და სხვას. რომელი პაპაც უფრო ბევრ ეკლესიებს ჩა-
მოთვლის, ის არის პირველი პაპა სვანეთში. ორი პაპის სახელი
განთქმულია მთელ სვანეთში. ეს პაპები არიან ერთ სოფელში,

მესტიაში. ამათ რომ ბიძლია სცოდნებოდათ, ბევრ წმიდა /კუ
ცებს ჩამოსთვლიდნენ. ამას გარდა რამოდენ ტანისამოსს, ყველ
ჯეულობას და სხვას უკურთხებენ ხოლმე მქვდარს. თრთულია გან
გვიცილებული ცოლ-ქმარი სანამ ცოცხალზე

არიან, სიკვდილის დრომდი გადაიხდიან თავის თავზე ამ აღა-
პებს: როცა მოვკვდები, ყოველისფერი მზად დამხვდება საი-
ქიოსაო, არც მომშივდება, არც მომშურდება და არც შემცივ-
დებაო, წავალ საიქიოს და ვაქეიფებო, იტყვიან ხოლმე.

წარმოიდგინეთ რამდენი ზარალი მიეცემა სვანს, რომელსაც
ამნარი შემთხვევები მუდამ კარზე ადგია, და თუ ეს ჩვეულე-
ბები ვერ შეასრულა, თავს ვერ გამოაჩენს, კაცს ვეღარ ეჩვე-
ნება სირცეცილით. თუ ვისმესთან ლაპარაკი შეხვდა, ის მაშინ-
ვე დასცინებს: — „შენ რომ კაი კაცი იყო, შენი მკვდრები ყვი-
ლა უწესოთ გყავს დამარხულიო“.

სვანითი, 15 ოქტომბერი 1874 წ.

მისის ყოვლად უსამღვდელოებობის იმერეთის ეპისკოპო-
სის გარემონის ამ წელს მოგზაურობამ ბევრი სასარგებლო
ცელილება მოახდინა სვანეთში. კარგი იქნებოდა, რომ ყოვლად
უსამღვდელოები ხშირად ნახულობდეს სვანეთს, მაგრამ საუბე-
დუროთ თვითონ ბუნება თითქო ეწინააღმდეგება ამ ჩვენს სურ-
ვილს. იმ დიდი მთების ცხენით გამოვლა, რომლებიც ცნობისმო-
ყვარე მგზაურს შეხედება სვანეთში, შესაძლებელია მხოლოდ
ივნისიდგან სექტემბრის ნახევრამდი; სხვა დროს კი გადასვ-
ლა ძლიერ ძნელია და ამიტომაც მოკლებული ვართ ეპისკო-
პოსის ხშირათ ნახვას. ბოლოს რაკი ღირსი გახდა სვანეთი მი-

სი მობრძანებისა, დიდ სიხარულში იყო ხალხი და ემზადებოდა უარის უთქმელათ, მტკიცეთ აღესრულებია ყოველი მასი ბრძანება.

სვანები საჩქაროთ თავს იყრიდნენ იმ ალაგას, ^{ურუავულებელი შრალი მუშაობებისა} საღაც შათი უსამღვდელოესობა ისურვებდა.

ხალხი აქ ჯერ უსწავლელია და ვერას გეზულობს და ამგვარი მათი მდგომარეობით მღვდლები ხერხიანათ სარგებლობენ, რადგანაც იმედი აქვთ, რომ მთავრობას მათზედ ვერავინ ვერას აცნობებს. მათი ზრუნვა, შფოთვა მარტო იმაზედ არას მიქცეული, თუ როგორ მივიღოთ ჯამაგირი და კარგად ესჭამოთ, ხალხმა გინდ კისერი იტეხოს და გინდ წყალში გადავარდეს, რას დავეძებთო.

აი ამგვარი კეთილი აზრებით და მიმართულებით არიან სავსენი სვანეთის საზოგადოების მწყემსები, ზოგიერთს გარდა. ისინი მარტო იმას ფიქრობენ, თუ როგორ მუცლები გაიტენონ და არა იმას, რომ დასტოვონ რამე სახსოვარი შემდეგისათვის, რომ მომავალს შეეძლოს სოქვას, რომ ეს კაცი როდისმე ყოფილა დედა-მიწაზე და თავისი სიცოცხლე ხალხზე მხრუნველობით დაულევია. ამნაირი რეპუტაციის თავის თავზე გაკეთება სვანეთში ბევრს ღვაწლს არ თხოვლობს. აი მაგალითებრ ავიღოთ თავისუფალი დრო, როდესაც შეუძლიათ მმ. მღვდლებს ბევრს კარგ აზრებთან გააცნონ ისინი.

აქ ხალხი ყოველ თავისუფალ დღეს ჩვეულებრივ თავს იყრის მაიდანზე; რასაკვირველია, განათლებულ ხალხებსავით იმათ სხვა ინტერესები არა აწუხებთ რა, მხოლოდ როგორმე დრო გაატარონ თუ სიმღერით, ორფერხულით, ცეკვით, თოფის ნიშანზე სროლით და სხვით. ამაზედ უკეთეს დროს როგორ იპოვნის კაცი იმათ ქადაგებისათვის.

რა ბელნიერება იქნება ჩვენთვის, რომ ამ უქმ დღეებში ვისთვისაც უქმათ არ იხდილნენ და იზამდნენ იმდენ კურკუჭუმას, რომ ხანდახან ამ მაელანზე მობრძანდენ და ხალხს უქადაგენ გონ.

უკველია; ხალხი მათის სიტყვის უარს არ გახდება და სწავლებას ხალისით მიიღებს.

შოგა-ახალი ლიტაფი ცვანითი

შობის წინა დღეს მთელ სვანეთში თითქმის დილიდამ სა-ლამომდის არჩას სჭამენ, არც თუ დიდები, არც პატარები. მთელი დღე მზადებაში არიან. მაგივრათ სალამოს კორკოტს მიაძლებიან. კორკოტი, როგორც იმერეთში, აქაც იციან.

შობა დღეს, როგორც კი მამალი იყივლებს, მცხობელი დე-დაკაცი ადგება და ყველიან პურებს გამოაცხობს. როცა ის ცხობას გაათავებს და მზათ ექნება ცხელ-ცხელი ყველიანი პურები, ერთი ყმაწვილი, ათა-თორმეტი წლისა, ადგება საწო-ლიდამ, შიშველ-ტიტველი გავა კარში, დადგება მარჯვნივ მხრით თავის სახლს და შემოუვლის სამჯერ. იმას ამ დროს სრულებით არა აცვია რა. სულ შიშველ-ტიტველი არის ამ უშ-ველებელ ნამქერიან თოვლში და იძახის: „ნიშვევი ქვითი ჰა-რინკიარი“, ეს იგი: როგორც ახლა მე შიშველი და ცარიელი ვარ, ეგრე ცარიელი გაუშვი ღმერთო ჩვენგან ჩვენი ქურდიო.

სადილათ წამოაქცევენ რაიმე საქონელს, ან ხარს, ან ძრო-ხასა და ნამარხულევს ამოიყრიან ჯავრსა. ამ დღეს ბევრ ადგი-ლის აღაპებიც იციან და ვინ იცის, რამდენი ჩხუბი და უბედუ-რება მოხდება ხოლმე! შობა დღეს ამის გარდა არა არის რა შესანიშნავი.

ეხლა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ახალწელიზადზე და ნაზ-
ლისლებაზე. ამ ორ უკანასკნელ დღესასწაულს უფროსა მცხვარი
ცერემონიები მოჰყვება, ვინემ შობას. ახალი წლის წინაღამები
სვანეთში სულ საღამოდან დაწყებული შუაღამები აცხობენ
ბევრს პატარა ყველიან პურებს, ამასთანავე ერთს დიდს გამო-
აცხობენ, რომელსაც შუაზე ჯვარი ექნება გამოსახული. მოი-
მარაგებენ თაფლს, ყველს, ხორცს და სხვას; ჩააწყობენ გიდელ-
ში და კარებთან დაპკიდებენ, რომ მაკვლიელს მზად დახვდეს.
როგორც ირიერაებს, უმფროსი კაცი ოჯახში ადგება და
ცეცხლს დაანთებს, რომელიც სულის შებერვით უნდა დაან-
თოს, ამიტომ ის ბევრ წვალებაში არის და ბოლოს კალთის
ქნევით ცეცხლს დაანთებს.

ის კაცი გააღვიძებს მწყაზარ დეღაკაცს, დედაკაცი გააღვი-
ძებს ერთ ყმაწვილს. ესენი უნდა იყვნენ ყველაზე კეთილი ხა-
სიათისანი ოჯახში.

მამაკაცი ახსნის ხარს, რომელიც უველაზე დიდი ტანისა
არის საქონელში, მოაბამს ბაწარს რქებში და გაუძლვება ხარს
წინ. ბაგშვი ხარს მისდევს. დედაკაცს ხორაგიანი გიდელი პკი-
დია ზურგზე. სანამ სახლში არ დაბრუნდებიან, ამათ ხმა ირ
უნდა ამოილონ, ესე იგი არ უნდა დაელაპარაკონ ერთმანეთს.
მივლენ წყალზე და ხარს წყალს ასმევენ. შემდეგ დაბრუნდე-
ბიან სახლში, მივლენ კალოზე და თოვლის ზვინს დასდგამენ,
შუაზე ნაძვის ხეს ჩაურჭოსენ, შემოუვლიან ამას გარშემო და
შევლენ სახლში. სანამ მაკვლიელები მობრუნდებიან სახლში,
ყველანი ადგებიან. როცა მაკვლიელები კარებს მიაღვებიან,
წინამძღოლი კაცი იძახის: „ყორ მიკარ, ყორ მიკარ“ (კარი გა-
მიღეთ). „დერთემიში ხელწიფიშ უურ ამღვე ყორ მიკარ“
(ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს კარი გამიღეთ). შე-



დის სახლში, სამჯერ კერას შემოუვლის, ეხვეწებიან ცველანი
ღმერთს, განსაკუთრებით მაკვლიერებელი კაცი, რომელიც უწყებელი იყო მას უძრავია
უძღვება. შემდეგ ცველა დაჭდება თავის საჯდომზე. მაკვლიე-
ლი კაცი აიღებს ხელში დიდ ჯვარიან ბედის პურს, დააწყობს
მასზედ ცველს, ხორცს, თაფლს, პურს და ვერცხლის ფულს,
დაჰყვება თავიდამ და ცველას მოულოცავს. პირველათ ვინც
უფროსია იმასთან მივა, მოაკიდებინებს მაზედ ხელს და ატრი-
ალებს მარჯვნივ; მაკვლიელი ეუბნება: „ღმერთმა მრავალს წე-
ლიწადს მოგასწროს, ცოლშვილი გიცოცხლოს, გაგამრავლოს,
მტერს გაშოროს“ და სხვა. მერმეთ აქბეჩინებს დიდ პურზე, რაც
იმ პურზე ეწყო, ცველას ხელში - ჩაუყრის. კიდევ დააწყობს
იმოდენს მაზედ და სხვას მიულოცავს. ამნაირათ ცველას. ამ
დღეს ცველამ უნდა დაიიროს მთელი სოფელი და მოალოცვი-
ნოს ცველას. ახალწელიწადს არ შეიძლება სვანძა უარი რამე-
ზე ვამოაცხადოს, რაც უნდა სოხოვო, ამიტომ როდესაც ვინმე
შოვა წინასწარ აჩუქებს რაიმეს, სანამ ის რაიმეს სოხოვს. თუ
უარი ცუთხარი ვისმეს, ის დამწყევლისო და მთელ წელიწადს
დაწყევლილი ვიქნებიო, იტყვიან.

ამ დღეს ან მეორე დღეს ვინც მონადირეა, ნიშანს დაიდგამს
და თუ კარგა ამოიღო ნიშანში, მთელს წელიწადს დაბეღნიე-
რებული იქნება თოფის სროლაში და ბევრს ინადირებს და თუ
ნიშანს დააცილა, შენი მტრისას იმას გულს შემოეყრება, ხომ
მთელი წლის განმავლობაში ვერას მოვკლავო. ეს არის მისი
წინასწარმეტყველი.

როგორც კაცს, საქონელსაც იმ დღეს მიულოცავენ ახალ
წელიწადს: ბევრს თივას აჭმევენ და როცა დაუყრიან თივას,
იმასაც ლოცავენ. გათავდა ახალწელიწადი და ჩვენი სვანები
ნათლისღებას ელიან.

ნათლისდების წინადღეს სვანები ემზადებიან, რომ მკვდრებს კარგად დახვდნენ. ნათლისდებას და ორს შემდეგ დღეებში აქ მიცვალებულების მოხსენება იციან. სვანი ფიქრობს, რომ მკვდრები მათ ეწვევათ და ამიტომ ყველა სცდილობს, რომ ყოვლისფერი ბლომათ ჰქონდეს, პური, არაყი, ხორცი, ხილი და სხვა.

წინა ღამეს თითო ოროლა პურს ფანჯრებზე შესდებენ, რომ მკვდრის სული მოვიდეს და ჭამოს. სადილობის და ვახშმობის დროს დიდი სუფრები ხორავით სავსეა, ყველა მეოჯახენი დიდი და პატარა ფეხზე დგანან და ევედრებიან მიცვალებულებს. უფროსი კაცი დაიწყებს: „საბრალ დედე ი ბაბა! ლახ-ხუმრედ მა ემმა იყფოლდეს ი ძმენილდეს, ისგვეი იაქაშ მამა არი, მარე ჩიგარ იმჟი მაღ ირა; კოატ კოტოლ სვაი მა ლანმეხ-რედ, ნიშგვეი აშხვ ი მერმა ბარაქ ლახშვენდ; ბოფშარს ხოჩამდ ხაჩომდად. ჩიუ შეენდბა ჭარს საბლუ. ქრისტეი ტაბაგოს-გაუ ჭიგადხ“ (საბრალონო დედა და მამა, თუ რამე მოიხმარებოდეს, თუ შეიძლებოდეს და მიირთმეოდეს, სათქვენო არას-ფერი არის, მაგრამ ყოველთვის ეგრე არ იქნება; ცოტ-ცოტა თქვენც მოგვეხმარეთ, მაღლი მოგხედებათ; მარცხს აგვაშორეთ, ჩვენს ერთსა და მეორეს ბარაქა მიეცით, ბავშვებს კარგა მოეპყარით, ღმერთმა ყველას შეგინდოთ; ქრისტეს სუფრაში მოგცეთ მან მონაწილეობა!).

დააბრუნებს დედაკაცი პურს მარჯვნივ და მამაკაცი არაყი წაუქცევს თავს. ეს ჩვეულება მუდამ, ყოველ სადილ-ვახშამზე იციან სვანეთში, მაგრამ განსაკუთრებით ამ ორ დღეში. ვახ-შამს სჭამენ და დიდხნამდის არ დაწვებიან: მკვდრები მოგვეზმა-

ნებიანო. დიდხნამდი სხედან და რიგ-რიგობით დიდი და ტარა სხვა და სხვა ზღაპრებს ამბობენ. ზღაპრები შემოელიათ და ძილიც მოეკიდათ; დაწვნენ. ცოტა წაიძინეს და ჰუციფრიშევა თი დედაქაცი წამოდგა და გააღვიძა თავისი ქმარი. მამაშენი სკამზე იჯდა კერასთან და რაღაცაზე გულმოსული იყოვო. იმას-თან ჩვენი ახალგარდაცვალებული ბავშვი იყოვო. უცბათ აღ-გებიან ყველანი, საღაც მკვდრები ნახა დედაკაცმა, არაუი უნ-და დაღვარონ და რომ ბავშვს რამე მოსწონებოდა ვაშლი და თხილი დაუფანტონ. უსათუოდ ცუდი მასპინძელი დავხვდითო და იმიტომ გვემდურიანო.

• ერთხელ ამ ნათლისღების დროს აი რა ეზმანა ერთ დედა-კაცს: ვითომ თავისი დედა და თავისი ქმრის მამა ახალგარდა-ცვალებული ეზოში შემოვიდნენ, ვითომ ისინი ეკლესიიდან გამოვიდნენ; არც ერთ მათგანს კარგი ტანისამოსი არ ეცვა, ორივე ძმნებში იყვნენ განვეული. იმათ მისდევდა უკან მგელი და რომ არც ერთ მათგანს იარაღი არ ჰქონდათ, ძრიელ შეეშინდათ და თავის შთამომავლობას დაუწყეს, რომ ჩვენ არც ტანისამოსი და არც იარაღი არ გაგვატანეს საიქიოსაო. ამ დროს ძალლები გამოცეიდნენ ვითომ ჩვენ სახლიდგან და მგელი გა-იქცაო. ძალლის ყეფა რომ გავიგონე, გავედი გარეთ და ესენი დავინახე. შემეშინდა და ყვირილი დავიწყე, ამ ყვირილში რომ ვარ გამომეღვიძა. ყეჭლა აღგნენ რასაკვირველია, ერთი პაპა მოიყვანეს. ამ შუაღამეზე და რა ადგილსაც ესენი ნახა ქალმა, იმ ალაგას გაფინეს სუფრა ხორაგით სავსე, თოფი, ტანისამო-სი და პაპამ აკურთხა. თოფი და ტანისამოსი პაპამ წაიღო და სხვა იქვე გააქრეს. ამ სამ დღეში აი ამ ნაირათ ეშინიათ მკვდრე-ბისა და მერმე კი არა.

ახალწელიშადს და შობას, როგორც სხვა დიდ დღეებში-

დაც, ღმერთს შეაძლევენ სასმელ-საჭმელს, ერთი ქაცი და კაფე-
ებს ხელში არაყს, მეორე პურებს, მესამე ხორცს, აღმოჩეულე-
თიდან დადგებიან და ევედრებიან ღმერთს. ამ ხევწმის შემთხ-
ვის მთელი სვანეთის ეკლესიებს ახსენებენ:¹ „დიდაბ დიდაბ
ხოშა ღერბათ, ქვეყნი მოწრე ი ეჩი შუნისვა მუყდანი, ჩივ
ლუმზურე ი ჩივ ლუხმაშ, ლახხუმარ მა ჰემა იშგდოლდეს, ნომა
ანცურე ისგვა უშადდ, ლევა ბიქეს ათხო ნიშვევი მაზიგი ლექვა
ლიცს. ლამარია ქუთანიშ ლანეშდ, სოლომ ანვლებ ჩუ ან-
ლვიშ, თარინგზერ, მარცხვა მულახიშ, საგვა შუნისვა ხვარიდ ი
სი ჯიხა ჰე დომ ანცეირე ისგვა უშადდ და სხვა და სხვ. (დი-
დება ღმერთსა, დიდო ღმერთო, ღმერთო ყოვლისფრით და-
ლოცვილო და ყოვლის შემძლებელო! მოიხმარე თუ რამ იყა-
დრებოდეს, ნუ დაგვტოვებ შენს შეუწევნებლად; ზევით ქარს
გაატანე და ქვევით წყალს ჩვენი ვირი. ღეთისმშობელო ქუთაი-
სისაო, მოვეხმარე; სოლომონ ანგელოზო, გაგვაძლიერე; მთა-
ვარანგელოზო, გააქრე ჩვენის ცუდის მყოფელი; მაცხოვარო
მულახისაო, შენს ხელში ვართ და შენ იცი თუ არ დაგვტოვებ
შენს შეუწევნელად).

როცა რამეს დაპკლავენ, გულ-ღვიძლს მწვადათ შესწვევენ
და ეკლესიაში წაიღებენ, ამასაც ღმერთს ევედრებიან მიირ-
თვას. ამნაირი მკედრის პატივისცემა მთელ სიცოცხლეში იცი-
ან, მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით, განსაკუთრებით ამ სამ
დღეში და ალაპებში. ღმერთს შესწირავენ ხოლმე ხორავს დიდ
დღეობით, როდესაც რაიმე საუფლო უქმე არის.

სვანებმა რომ აძლევი რამეების მკვდრის მოხმარება არ იცო-
დნენ, სწორეთ მდიდარი ხალხი იქნებიან. მთელ სიცოცხლე-
ში ცოცხალ კაცს არ მოუნდება იმღენი, რამდენსაც სიკვდი-
ლის შემდეგ მოახმარენ.



ვგონებ, ჩვენს საქართველოს ადგილებში ისე ხურიკანურა
მოდის სეტყვა (კოხი), როგორც სვანეთში. ერთი წელიწადიც
არ გაივლის ისე, რომ რომელიმე სვანეთის ადგილებში კო-
ხი არ მოვიდეს. სვანებს ისე არაფრის ეშინიათ, როგორც მდენ
ზიან მომცემის სეტყვისა. გვალვა რომ იყოსო კიდევ იმედი
გვაქვს ჩვენს მოსავალზე — ყოველგან ვერ აწყენსო და კოხი
კი ჩვენს ყანებს ყოველგან აწყენსო.

სეტყვას სვანები არ ეძახიან ბუნების მოვლენას, არამედ
როდესაც სეტყვა მოვა, იტყვიან ხოლმე რომ ღვთის რისხვა
არისო ჩვენზედათ, უსათუოდ ღმერთი გავარისხეთო და დასას-
ჯელად ეს მოვლინება რიგ-რიგობს ხოლმე
სვანეთის ნაწილ ადგილებში; ერთს წელიწადს ერთს ადგილას
მოვა, მეორეს მეორე ადგილას და სხვა.

უველაზე უფრო შესანიშნავი სეტყვა ამ ახლო ხანში იყო
თავისუფალი სვანეთის ერთ საზოგადოებაში — მესტიაში. სე-
ტყვა მოვიდა შუაღამისას. იმის წინა დღეს შშვენიერი დარი
იყო, ღრუბელიც არსად სჩანდა და არავინ ელოდა უბრალო
წვიმასაც. სეტყვის რახა-რუხმა მთელი საზოგადოება გააღვიძა
და აატირა; მისი ხმა სად არ გადიოდა, მთელი არემარე ხმას
აძლევდა; ეს გაგრძელდა ორ საათს. ამ ორ საათს ისეთი ყოფა
დააწია, რომ ამათი ნაშრომი სულ ღვარს გაატანა. ჭერეთ კო-
ხმა დაპკეპა ნამუშევარი და შემდეგ ტალახის ღვარმა დაიტანა
ძირს. სეტყვა სიმსხოთი იყო სწორეთ მტრედის კეერცხის ოდე-
ნა და წვეტიანი გრძელი. მეორე დღეს იყო ტირილი და ვაება
მთელს მესტიის საზოგადოებაში. საშინელი, სამწუხარო სანა-
ხავი იყო მეორე დღეს მთელი ამ სოფლის არემარე. სულ და-

ლეწილი და წალებული იყო მათი ნამუშევარი. სეტუფას მინაირად გაეცუჭებინა ნამუშევარი, ყანაში რომ შესულებული გაარჩევდი თუ რა ეთესა. საკვირველიც ის იყო, რომ უშემს მის სოფელში მოვიდა და მასლობელ სოფელში, რომელიც ერთი ვერსით არის ამ სოფელზე მოშორებული, იქ არც უბრალო წვიმა ყოფილა, თურმე იმ დროს, როდესაც სეტყვა აქ ქვეყანას აქცევდა.

იმ დღეს ლუქმა არავის ჩაუდევს პირში. საწყლები იმნაირათ იყვნენ დაღონებული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, რომ აღარა ეშველება მათს უბედურებასაო; ცხენები და სხვა პირუტყვები, რაც დარჩნენ გარეთ იმ ღამეს, ზურგები და-სივებული პქონდათ, ფრინველები ხეებს ქვეშ გაფატრულნი ეყარნენ. ამნაირად მოვიდა სეტყვა სვანეთში. საზამთროდ ზოგნი ამ სოფლის მცხოვრებნი ოსეთში წავიდნენ; ვინც დარჩნენ, საქონელი და იარალი დაჰყიდეს და ზამთარი რავარც იყო გა-ატარეს.

ამისთანა შემთხვევაში სოფელს შეუძლია, თუ გინდა სამ წელიწადსაც რომ არა მოუვიდეს რა, თავი ირჩინოს, თუ სოფელი მდიდარია. საუბედუროთ ეს სოფელი ღარიბი არის და ამი-ტომაც გაუჭირდათ ეგრე. ჩვენს სვანეთში იციან პურის შენა-ხვა. ეს პური წახდენის მაგივრად თანდათან კეთდება. აქ თუ გინდ ოცდაათ წელს გასძლებს და წახდენით კი არ წახდება და ამგვარ დროს კარგათ გამოდგება. მე ვიცი ბევრი მოსახლე ჩვენს სოფელში, რომლებთაც რამოდენიმე ასი კოდი პური აქვსთ; შენახული აქვსთ თუ გინდ ხუთი ექვესი წლის წინ ნამუ-შევარი. სახარჯო პური რომ შემოაკლდესთ, თუ გინდ ნახევარი წლისა, ისესხებენ და იმ ძველ შენახულ პურს არ მოაკლებენ, რაც უნდა გაუჭირდესთ.

სეტყვის მოსვლას ჩვენი სვანები ზარის რეკვით უჭიდებობა. /
ხალხში არის ცრუ სარწმუნოება, რომ სეტყვას ზარისა და მეტება
ნო და არ მოვაო. იმის მოვლენას სვანები რაიმე ცრუ მოგვიწიფება
ნეობას მიაწერენ; აი მაგალითებრ: როდესაც ზემოხსენებული
სეტყვა მოვიდა, ხალხში ხმა გავარდა, რომ გუშინ ტბის მახლო-
ბლად ჩხუბი მოსვლიათ ვიღაცებს და სეტყვაც იმის მიზეზით
მოვიდაო.

ორიოდე სიტყვა ამ ტბაზე: მესტიის მახლობლად მთაში
ერთ მინდოოში სდგას დიდი ტბა. ამ ტბაში სვანები ფეხს ვერ
ჩაჰყოფენ, ხმამაღლა ვერ დაიყვირებენ იმის მახლობლათ, ქვას
ვერ ისვრიან შიგ, ვერც საქონელს ჩაუშვებენ და სხვა. როდე-
საც ამ ტბას მიჰყარებია ვინმე, მაშინვე სეტყვა მოსულაო, იტ-
ყვიან ხოლმე. აი ამ ტბის მახლობლათ, იმ კოხის მოსვლის წი-
ნა დღეს, რომელიც ზემოთ ავსწერეთ, მოსვლოდათ ვიღაცებს
ჩხუბი, თოფიც გაეგდოთ. რასაკვირველია კოხი უნდა მოსუ-
ლიყოვო და რატომ მეტიც არ დაგვემართაო. აქ ხმა მაღლაც
არავის ულაპარაკნია და თოფის სროლაც თავის დღეში არავის
ახსოვსო.

ამ ცრუ მორწმუნეობაზედ ძლიერ დამყარებულნი არიან
ამ სოფლის მცხოვრებნი. ეს ტბა წმინდა არისო და რადგან
ჩვენ ხალხი უწმინდურები ვართ, არ უნდა მივეკაროთო მას.
ერთს პატიოსანს ამა სოფლის მღვდელს უნდოდა გამოეყვანა
ისინი ამ მორწმუნეობისაგან, ეუბნებოდა, რომ მე ჩავალ იმა-
ში, ტანს დავიბანო და თუ სეტყვა მოვიდეს, მაშინ რაც ზარა-
ლი ნახოთ, სულ მე გიზღოთო. მღვდელი პირებდა წასვლას.
რაყი მთელმა სოფელმა ეს შეიტყო, თოფებით გამოუდგნენ
მღვდელს, დააბრუნეს: შენ გინდა დაგვლუპო, მაგრამ ჩვენ ამის

ნებას არ მოგცემთ იცოდეთ. მღვდელმა ვერ გაპეტაჭალა დაანება, რადგან ხალხისა ეშინოდა.



მამასახლისი და ცელიები სვანითი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სვანეთში მამასახლისები და სუდიები დააყენეს. თვითონ სვანები სცდილობდნენ კიდევაც იმისთანა კაცები ამოერჩიათ მოსამსახურეთ, რომ სიტყვა-პასუხში მარჯვე ყოფილიყვნენ. სვანეთის საზოგადოებაში მართლადაც ზოგიერთი საიმედონი გამოდგნენ, მაგრამ საუბე-დუროთ ბევრნი კი არაფერს კეთილ საქმეშე არ ზრუნავენ. უმეტესათ მამასახლისებათ და სუდიებათ, ვინც ქართული ენა იცოდა, ის ამოარჩიეს. ასე ეგონათ საწყალ სვანებს, რომ ვინც ქართული ენა იცისო, ის ყოვლისფერში გამოცდილი იქნებაო. თავად-აზნაურობას სისხლი მოსდიოდათ ყელში, როდესაც გლეხებს ირჩევდნენ სოფლის მოსამართლეთ და იმათ ყურად-ლებას აზავინ აქცევდა. სახელდობრ, მულახის საზოგადოებაში ერთს გლეხეკაცს და აზნაურიშვილს გვარიანი ჩეუბი შეექმნათ მაზედ, თუ როგორ იქნება თქვენი, გლეხების ჩვენს უმფრო-სებათ დაყენებაო. ჩვენ აზნაურნი ვართ და თქვენ ჩვენი მოყმე გლეხები. დღეს აზნაურიშვილებმა უნდა მოვიყაროთ თავი და ვსთხოვოთ ქუთაისის გუბერნატორს უფ. ლევაშოვს, რომ რო-გორც იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში თავად-აზნაურობას მიე-ცათ ფული გლეხებისა, ეგრეთვე ჩვენც მოგვცენ. ამ აყალ-მა-ყალმა ლევაშოვის ყურამდის მიაღწია; მან მოიხმო ის აზნაუ-რი და ჰქითხა: „რა უნდა გაძლიოს შენ ამ გლეხმა, რომელსაც შენ ეხლა ეჩხუბებოდი და შენი გლეხი ყოფილა“. „მაგან უნ-

და გაძლიოს წელიწადში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთოუა კურია". (კარვა ერთი აბაზის პურია). მეორე სოფელში შეღწევა აზნაურსა ჰქითხეს: „რა უნდა გაძლიოს შენ ამ ერთმა რომელმაც რაღაცაზედ უჩივლა იმ აზნაურს. — ერთი გიდელი კვარიო, მიუგო აზნაურმა. ამისთანა ბატონებს რა უნდა მისცემოდათ, ან ვინ აუსრულებდა მათ თხოვნას?

მამასახლისების და სუდიების თანამდებობა რაც არის, თუმცა პირველათ შემოყლებით აუხსნეს, მაგრამ ეგრე მალე ვერ გაიგეს და რაღვანაც გამოუცდელი არიან, ეგნი თავის დღეში კარგად ვერ წაიყვანებენ საქმეს. ამათ უნდა პყვანდეთ იმისთანა პირა, რომელიც უნდა ასწავლიდეს საქმეების გარჩევას და მათს წარმოებას.

მამასახლისებმა ზოგიერთს სოფლებში მალე აშენეს სამწერლოები, მაგრამ ხარჯი ტყუილა უბრალოდ წავიდა. აქ ვერ ნახავ ვერც მწერალს და ვერც მამასახლისს ვერასოდეს. თუ ვისმე რაიმე სათხოვარი აქვს, ან შეწუხებულია ვისგანმე და ან რასმე დაწერა უნდა, მთელი სოფელი უნდა დაიაროს და ბოლოს გაჭირვებით სადმე სუფრაზე მჯდომს ნახავს მოსამართლეებს; განუცხადებს თავის საჩივარს და სთხოვს დააკმაყოფილოს, მამასახლისი ეტყვის შემდეგს: რასაც კანონი მოითხოვს, მოგეცემა და კანონის გადაჯიშება არ შემიძლია არც მე ითხოვს, მოგეცემა და კანონის გადაჯიშება არ შემიძლია არც მე და არც ჩემს თანაშემწეს, არც მოსამართლეს და არც სხვას. ხვალ საღილათ ან ვახშმათ მოვალთ და მოგარიგებთ.

მოჩივარი წავა, მოამზადებს კარგ სადილს ან ვახშამს და ელოდება მამასახლის ან მისს მოსამართლეს. სანამ დათვრებიან მოჩივრებს იმედს ძლევენ და როცა დათვრებიან, სახლში წავლენ და იმის საჩივარს ყურადღებასაც აღარ მიაქცევენ. უმჯობესი იქნება ეს ამბები ავხსნათ, რომ მკითხველმა უფრო

ნამდვილათ გაიგოს იმათ დაუდევნელობა. ერთი საწყალი ჭრა-
ხი კაცი სცხოვრობს მუქალის საზოგადოებაში. ამასკენ შეუძლია
ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა და ოთხი ცხვარის მუჭათებაში აგა-
დრიანს დღეს ის სახლში იყო და ცეცხლს უჭდა და საქონელი
გარეთ ეზოში ჰყავდა. ერთი ოხერი მგლის მსგავსი ქურდი მო-
დიოდა ამ დროს ტყიდან, სადაც მუშაობდა და წვიმის გამო
უკან დაბრუნდა. გაიარა იმ გლეხიცაცის კარებზე, რომელიც ზე-
ვით ვსთქვით, დაინახა ეზოში საქონელი და გული შეექნა: ამას
რომ წავირთვა ერთი ხარი ან ძროხა, ვინ რას მიზამს, თვითონ
არაფერი შეუძლია და სხვას რა დარღი აქვს მაგისი, ბრძანებდა
აზნაური. კიდევაც აასრულა, რაც განზრახვა ჰქონდა; ერთი უკე-
თესი ხარი გაიგდო წინ და გასწია სახლისაკენ. თვითონ სა-
წყალი გლეხი გვიანობამდე არ გამოსულა გარეთ და აბა ისე
რას გაიგებდა. სხვა ვინც შეეყარა იმ გამარჯვებულს, აყველ-
რიდნენ, არცხენდნენ პირში — როგორ არ გრცხვენია, რომ
საწყალ კაცს, დღიურ ლუქმას რომ მაგითი სჭამსო, მაგას
ართმევო. შენც არ მომიჯვდე, იმან ყურიც არ გაიბერტყა, ან
რისა უნდა შინებოდა? საწყალმა გლეხმა მარტო საღამოს უამ-
ზე შეიტყო და წავიდა სახეეწნელად იმ აზნაურთან, დაუჩინქა
და ეხვეწა დაებრუნებინა ის ერთი მისი მაცხოვრებელი. იმან
ტყუილათ ხმაც არ გასცა, როცა გლეხი დაღონებული დაბრუნ-
და, აზნაურმა წააქცია ხარი და იმ კვირაში ქეიფი გასწია. წავიდა
საწყალი გლეხი საჩივლელათ, ძლივს გაშირვებით იპოვნა მა-
მასახლისი. მამასახლისსაც არ უნდოდა იმისი საჩივრის ყურა-
დლებაში მიღება, რადგანაც ღარიბი გლეხი იყო და არას მო-
ელოდა მისგან, მაგრამ მისმა სუღიამ წასჩურჩულა ყურში, რომ
მაგას კარგი ცხვრები ჰყავსო, წავიდეთ, ქეიფი გავსწიოთ და
მერე თუ რამე მოვახერხეთ, გავარიგებთ. მომჩივანს იმედი მის-

ცეს და გაუშვეს სახლში. მოვიდა სახლში, ერთი მსუქნენდ  რი. დაპკლა და მისი შესაფერისი არაყი და პუტჩორშეზუმენა შედა.

მობრძანდა მამასახლისი თავისი თანაშემწეოთი, სუდიებით და კიდევ ვიღაცები მოჰყვნენ. ვახშამს უკან დამთვრალებმა დაიწყეს ქადილი, რომ როგორ შეუძლია იმ კაცს ამისი შეწუხება, მე უკანასკნელი გლეხი ვარო, მაგრამ მაგისთანებს აღარ ჩაეიდენო, იქვეხნოდა მამასახლისი.

შუაღამისას შემოეპარნენ ვიღაც ქურდები კიდევ იმ საწყალ გლეხეცაცს სახლში და ის დანარჩენი საქონელიც მოპარეს, მაშინ როცა სოფლის მოსამართლენი ყველა იქ იწვნენ.

გათენებისას მოსამართლენი სახლში წავიდნენ და ამისი საქმე დაივიწყეს. ისიც იცოდა თვითონ მამასახლისმა, ვინაც ლამე შემოეპარნენ გლეხს, მაგრამ რას დაეძებდა. მეორე წელს კი უველამ გაიგო, რომ იმ ღამის ქურდები იყვნენ თვითონ მამასახლისის შვილები. ერთმა სუდიამ ამნაირს უღმერთობაზე ჩივილი დაუწყო მამასახლისს, მაგრამ მალე დააშოშმინეს საქმე. რომ არ გაუვიდა საწყალ გლეხს, სუდში დაუწყო ჩივილი, მაგრამ აი უბედურება კიდევ; მამასახლისის უბრძანებლათ მწერალმა თხოვნა არ გაუკეთა; იარა სვანეთიდან ლეჩეუმში, აქაც თარჯიმანი ვერ იშოვა და თავი გაანება.

ით ამნაირ გზაზე არიან დამდგარნი პირველათვე ჩვენს სვანეთში სოფლის მოსამართლენი. ვინ მოსთვლის იმდენ უსამართლობას, რამდენიც იმათ ჩაუდენიათ! ურიგო არ იქნება რომ ამას ყურადღებას მიაქცევდეს ვისაც კანონი უფლებას აძლევს და სწორს გზაზე დააყენებდეს მათ.



თუმცა სვანები დღესასწაულობენ წმინდა აღდგომას ქრისტიანულად, მაგრამ ისრე სიხარულით არ მიეგებებიან, როგორც უფლიშს. (კვირაცხოვლობა). აგიშერთ — როგორ დღესასწაულობენ ამ დღეს ფარის საზოგადოებაში. ამ დღისათვის შემოღომიდგანვე დაიწყებენ მზადებას. მოპერეფენ თუ არა ყოველივე ჭირნახულს, რამოდენიმე მოსახლე შეერთდებიან ერთად, კაცი და ქალი, დიდი და პატარა ერთს კვირა დღეს იმ მოსახლისას, რომელსაც წილად აქვს შეხვედრილი უფლიშის მასპინძლობა. ამ დღეს იმ მოსახლემ კარგად უნდა უმასპინძლოს; შემდეგ უნდა მოკრიფონ თვითონეულს სულზე თვითონ ბათმანი ფეხილი ღვთის, ღვთისშიობლის, მთავარანგელოზის, წმ. გიორგის და წმ. ბარბარეს შესაწირავად ანუ მისალოცად. ამ მოგროვილს ფეხილს ის მოსახლე შეინახავს.

ღიდმარხვის მეხუთე კვირას შეიყრიან თაგს კიდევ იმავე მოსახლისას, რომელმაც უნდა უმასპინძლოს უველას სადილათ და ვახშმათ პურით და არაყით. ეს კვირა უფლიშის წინამორბედია; ამ კვირიდამ დაიწყებს ის მოსახლე არყის მზადებას უფლიშისათვის; არაყი უნდა მოხარშოს თავის საქუთარ ჭირნახულიდამ ათ ქვაბაძინ, თვითონ ქვაბში გამოვა თვითონ ვეღრო არაყი; ამ მოსახლესვე უნდა პყვანდეს გასუქებული საქლავები, ხარი ან ვერძები და სხვა წვრილმანი საქლავები. თვითონეული მოსახლე უნდა შეეწიოს ორ-ორ ვეღრო არაყს. ამგვარს შეკრებულებას ეძახიან „სკარს“ (სკარი ქართულად სხვებრ არ გადითარგმნება თუ არ ფსონობა).

უფლიშის შაბათს საღამოს შეგროვდებიან იმავე მოსახლესას, გადაპრავენ ლაზათიანად არაყს და წავლენ თავიანთ სა-
30

სლებში, მეორე დღეს, ესე იგი უფლიშს, სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილნი ულოცავენ ერთი-მეორეს რდფლესმარტი წაულს, როგორც იმერეთში ახალწელიწადს იციათ. მაგრა უკეთესები თავისუფალი არიან სადილის შზადებისაგან, გარდა იმ მოსახლისა, რომლის სახლში არის სკარი, ის კი დიდ ფაცა-ფუცშია; მან უნდა მოამზადოს სადღესასწაულო ყოვლითურთ შემკობილი სადილი, როგორც შეეფერება უფლიშს, რომელზედაც შეიძლება იქმნეს სამოც სულზედ მეტიც და ნაკლებიც. ეს არის დამკიდებული, თუ რაოდენი მოსახლეც არიან ერთად იმხანავნი.

სანამ სადილად დასხდებოდნენ თვითონეულ მოსახლიდამ თვითო კაცი არყით, პურით და ცეცხლის ალზე გაკოშვლილი პირუტყვის ლვიძლით (ეს ჩვეულება იმ დროიდგან არის დარჩენილი, რეგ. მართალმან რომ შემოილო პირუტყვების არმაზისადმი შეწირვა. თვითონეული სვანი ავიხსნით, რომ ეს ლვიძლის შეწირვა ძველიდგანვე აქვთ ნაანდერძევი) წავლენ ერთ მაღალ გორაზედ, სადაც არის ძველი ნაეკლესიევი: იქ შესწორავენ თავიანთ საგზალს ხოშა ღერმთს (ლვთაებას) და თვითონევე შესჭამენ. იქიდამ დაბრუნებული მოიყრიან თავს მასპინძლისას, დასხდებიან სადილად და ოჯულზედ გადაპყრავენ. ვახშამსაც ამნაირადვე შეექცევიან.

მეორე დღეს ორშაბათს, როგორც წინადღეს, თვითო კაცი მოსახლიდამ წავლენ მარტო არყით და პურით მეორე გორაზედ, სადაც არის ძველი მთავარანგელოზის ნაეკლესიევი, იქ მოილოცავენ, როგორც წინა დღესა და იქიდამ ისევ თავიანთ მასპინძლისას დაბრუნდებიან.

მესამე დღეს, სამშაბათს, კიდევ ისევე თვითო კაცი წავლენ წმინდა გიორგის ეკლესიაზედ (ეს ეკლესია ეხლაც არის, მდი-

დარი ხატითა და ჯვარით, მაგრამ სიძველის გამო წილება ზე
სრულდება მასში). აქ კი ბლომათ წაიღებენ შესაწირავად უფრო,
პურს და არაყს; შემდგომ მოლოცვისა თითქმის შეკრისტინ
იქ ატარებენ ღროებას თამაშით და თოფის სროლით.

ამ სამშაბათიდამ შეჩერდება შესაწირავი ანუ მოლოცვა
კვირამდინ. კვირას მთელი სოფელი იყიდის ხარს, დაქლავენ
იქ, სადაც უფლიშის ორშაბათს მოილოცეს, შესწირავენ მთა-
ვარანგელოზს, ტყავს არაუზედ გაჰყიდიან, მიიტანენ თვითო
დიდ ყველიან პურს, იმოდენას რომ თვითო კაცი თვითოს თუ
წილებს ტაბაუზედ დაკრულს. დასხდებიან და სადილს სჭამენ.

მეორე დღეს, ორშაბათს, კიდევ უქმად არიან, შემდეგ კი
დაიწყებენ მუშაობას.

მესამე კვირას კიდევ მთელი სოფელი ხარს იყიდის და იქ
დაქლავენ და შესწირავენ, სადაც უფლიშის დღეს ღვიძლები
შესწირეს. სადილსაც იქ სჭამენ. მეოთხე კვირას კიდევ იმ გორა-
ზედ შეგროვდებიან მოსალოცათ მარტო პურით და არყით,
სადაც უფლიშის ორშაბათს მიულოცეს. უფლიშიდამ ამ კვი-
რამდინ ყველანი იქ ისადილებენ და ვახშმობენ, სადაც სკარი
აქვთ, იმ ფქვილით, რომელიც შემოდგომაზედ შეკრიბეს; ამ
კვირეს დაილევა ეს ფქვილი და კიდევაც გამოეთხოვებიან
უფლიშის სკარს.

ის მოსახლე, რომლის სახლში სკარი იყო, მიულოცავს მე-
ორე მოსახლეს, რომელსაც წილად ერგება მომავალი წლისა-
თვის სკარი, რომ უკეთ უმასპინძლოს.

სკარი ყველას არ ექნება, ზოგიერთი მარტო თავის სახლში
დღესასწაულობს, მაგრამ მოლოცვაში კი ყველგან დაესწრება.

უფლიში მთელს სკანეთში იციან, მხოლოთ ზოგიერთ სო-
ფელში რაოდენიმე განსხვავებით.



ექვს ივნისს ერთის მღვდლის სახლში ვიყავ ფიზიკურებისა სეანეთის სოფელში. რადგანაც შორიცგან მისული ვიყავი, ნა-საღილევს ცოტა წამეძინა. ძილში ბუკის ხმა შემომესმა. ამ დროს ბუკის ხმამ მრიერ გამაკვირვა, ამიტომ, რომ ბუკს სვა-ნები უკრავენ მაშინ, როდესაც საზოგადოებას რაიმე უბედუ-რება ეწვია, ან მტერი დაეცა, ან ჭურდებმა მოსტაცეს რამე, გარდა ამისა კიდევ უქმე დღეს საღამ-საღამოთ, როდესაც რა-იმე საზოგადო საქმეზე უნდა მოილაპარაკონ ხოლმე.

— ხომ პარასკევი ან კეირა არ არის დღეს? ვკითხე თავის თავს; ცოტა ხნის შემდეგ გამახსენდა, რომ მე დილას წირვაზე ვიყავი და კეირა დღე იყო და მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ბუკს იმიტომ სცემენ, რომ უსათუოდ საზოგადო საქმეზედ უნდა მოილაპარაკონ. გამოველ გარეთ. მზე ჩაწურულიყო; მხოლოდ სეანეთის მთებს კიდევ აღგა და რაღაც სასიხარულო ფერათ ანათებდა. წმინდა ხავერდის ფერი ცა ეხურა სეანეთის თვა-ლიან მთებსა. მშვენიერი და სასიამოვნო საღამო იყო.

შორიცგან ისმოდა ახალგაზრდა ბიჭებისა და ქალების ორ-პირი სიმღერა: ერთის მხრით იმღეროდნენ ბიჭები და მეორეს მხრით ქალები; მალე ორფეხულიც გააბეს. მსმენელი ადვი-ლად გაარჩევდა მათს ხმებში ერთის მოხუცებულის ხმასა; თუმ-ცა კი ხმა ყველაზე უსუსტესი ჰქონდა, მაგრამ ის იმღეროდა წმინდა სეანურს კილოზედ; მისი სიმღერის სიტყვები ადვილი გასარჩევი იყო. ახალგაზრდების სიმღერის კილო კი არც სეა-ნური იყო და არც ქართული.

ერთი მოხუცებული კაცი ჩემს მახლობლად გაჩერებული-ყო და ყავარჯენზე დაყრდნობილი ყურს უგდებდა მათს სიმ-ბა.

ლერას და როგორც სიმღერა შესწყდებოდა, ამოინვნე შემდებრებულება — ბოლოს, როცა გაათავეს, ერთი კიდევ ამოიხურე შემდებრებულება: — ლმერთო, როგორ მალე დაეცა ჩვენი ახალგაზრდა და რაღაც ახალ დროება მოვიდა და რას მოვესწარით? აფსუსი არ არის, ჩვენი ძველი მამა-პაპების სიმღერა მიატოვეს და რაღაც ახალ მოდის უაზრო სიმღერები შემოიღეს. ეს რომ ჩვენ მამა-პაპებს გააგონა, უღირს შვილებს დაგვიძახებენ! ყავარჯენი იქვე გააგდო, მივიდა ძველ კაცებთან და უთხრა:

— ძმებო, თუმცა სიმღერის გუნებაზე არა ვარ, მაგრამ მაიც უნდა ახალგაზრდებს მაგალითი უჩვენოთ: ჩვენ ვართ ძველი დროის კაცები, რაც ჩვენ მამა-პაპებმა გვასწავლეს, ის უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებსაც... მოდით აქ, ხელი მომკიდეთ და გავაბათ ძველი ჩვენი მამა-პაპური ორფეებული სიმღერა და გავაგონოთ ბევრი ახალგაზრდებს, თუ როგორ იმღეროდნენ ჩვენზე უკეთესები ჩვენი ძველები.

მალე მშვენიერი სიმღერა გააწყეს; — აი ორფეებულით სიმღერა ეგრე უნდა! ასე მღეროდნენ ჩვენი ძველები; უყურეთ შვილებო, თქვენი სიმღერის მაგივრათ, ესე იმღერეთ. თქვენ ამაზე უკეთეს სიმღერას ვერ შემოიღებთ; ისწავლეთ სიტყვები, კილო და ფეხის აწყობა... ვის ნახავთ თამარ დედოფლის, ამირანის, ავთანდილის, გიორგი ერისთავის მსგავს კაცებს, რომლებზედაც უნდა გამოსთქვათ ლექსები? საით გაემგზავრებით ლაშქრათ და ვის ეჩხუბებით და რას გამოსთქვამთ?! ამაებს თქვენ ვეღარ მოესწრებით და ისევ ესენი ჩაიბეჭდეთ გულში, რაც იშოქმედეს ძველებმა და რაც გამოსთქვეს!..

მეორე მხრით ინგურის ხმა აყრუებდა მთელს არე-მარეს. დანგრეული სახლები და ციხეები ხმას აძლევდნენ მის ქუხილს. მწყემსები სოფლის ყოველ მხრიდან მორეკავდნენ საქონელს

სამწყემსურიდგან. საქონელი კუნტრუშით შედიოდა ეზობრებული /
ქალები ხეებს ქვეშ ქვებზე დამჯდარნი აშვენებდნენ/ თავის
ტკბილ სიმღერით უამისოდაც მშვენიერს საღამოს. გიგანტთავა

ზოგიერთი თავისმოყვარე ახალგაზრდა ქალები და კაცები
ყრილობას არ ეყარებიან, იბერებიან და დასეირნობენ ორ-ორი
ერთად და რაღაცებზე საიდუმლოთ ლაპარაკობენ. ათი-თორ-
მეტი წლის ყმაწვილები იქვე ჭირითობენ და ამითი თავს იქცე-
ვენ.

ეკლესიის მახლობლად ამაღლებულს ადგილზე დგას დევის
მსგავსი კაცი და ბუქს უკრავს; მაგრამ ბუქის ხმაზე ნახევარი
ნასალხიც არ მოღის; ხალხი ბევრი მოვიდა, მაგრამ უმეტესი ნა-
წილი ახალგაზრდობაა და ახალგაზრდობას კი არ ხმობილო-
ბენ, არამედ ძველ კაცებს, მოხუცებულებს და რადგანაც ყვე-
ლა იმ საზოგადოების ძველი კაცები არ მოვიდა, საზოგადო სა-
ქმეზე მოლაპარაკებას თავი გაანებეს; ისევ სიმღერა, ციკვა და
ცხენის ჭენება. ყველა კარგ გუნებაზე იყო და მხიარულობდნენ;
მხოლოდ ათი-თორმეტი მოხუცნი სოფლის უფროსნი გულ-მო-
სულათ ლაპარაკობდნენ და ხშირათ იხედებოდნენ ერთი სა-
ხლისაკენ; ხან და ხან მუჭხაც იქრავდნენ გულში. რა აწუხებდათ
მათ? რაზე იყვნენ გულმოსულნი? არავის მათი არ სრცვენია,
ყველა ამათ სჭამს, სცარცავს და ატყავებს. ხალხის კარგს გზა-
ზე დაყენების მაგივრათ, სცდილობენ პირველათ მათს სისუს-
ტეში გავარჯიშდენ, მერმე, როცა კარგათ დახელოვნებული იქ-
ნებიან, მოსდგებიან და ყველას ლუქმა-პურს პირიდგან აც-
ლიან...

ყველა ამაებს თავის თვალით ხედავენ, ყველა ესენი გაგი-
ბული აქვთ და ამაზედ არიან გულმოსულნი და დაღონებულნი.



უფალო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას შისცემ
ადგილი „დროებაში“ და მიაქციოთ ყურადღება ჩემს თხოვნას.

1866 წელში, როდესაც აქ სვანეთში პრისტავათ იყო უფ-
ილია მამაცოვი, მან წაიღო ერთი აქაური ეკლესიიდგან სამი
დიდი ტყავის ქალალდი. ახლა ვიღაცასგან გავიგონე, რომ უფა-
ლი მამაცოვი გარდაიცვალაო და ვთხოვთ იმ პირთ, რომლებიც
მის ოჯახს იცნობენ, მოაძებნინონ ის ქალალდესი და სადაც რი-
გი არის იქ წარადგინონ.

ამ ეტრატებში წერია შემდეგი; საიდგან მოვიდნენ ან რო-
დის სვანები? რა იყო მათი გადმოსახლების მიზეზი? რა სარ-
წმუნოებისა იყვნენ სვანები, როდესაც ისინი დაესახლნენ სვა-
ნეთში? საიდგან წარმოსდგნენ მთელი სვანეთის გვარები? ვინ
იყვნენ მათში გლეხნი, თავადნი და აზნაურები? საიდან მო-
ვიდნენ ან როდის თავადები — დადიშკელიანები? რაგვარი
მმართველობა იყო თავდაპირველად სვანეთში? რა იყო მათი
პირველი მუშაობა? ხენა-თესვა, ნადირობა და სხვა ქვეყნებში
საჩეუბრათ გამგზავრება? თითო საზოგადოებაში რამდენი
მცხოვრები იყო?

სხვათა შორის მოვიხსენიებ ორს საზოგადოებას, როგორც
მასში სწერია — ბეჩოს და მუჟალის. ბეჩოში ორას წლის გან-
მავლობაში ესახლა 700 მოსახლე! წარმოიდგინეთ უფალო რე-
დაქტორო, ახლა ამ საზოგადოებაში მხოლოდ 59 მოსახლე სა-
ხლობს. მუჟალის საზოგადოებაში იმოდენივე წლის განმავლო-
ბაში ესახლა 688 მოსახლე და ახლა მხოლოდ 47 მოსახლე სახ-
ლობს. რამ შეამცირა ამათი რიცხვი? ჩეუბებმა და უამიანობამ?

შუეალის საზოგადოებაში ნახევარი სამოსახლო სახლები უკიდუ
ღვანიან.

აქ აიწერებიან უმთავრესი ჩხეუბი და უამიანობაში, უკიდუ
ნიერათ აღწერილი არის ერთი უმთავრესი ჩხეუბი თათრებსა
და სვანებს შორის მუეალის ერთ გაშლილ დიდ მინდორში. იქ
არის ნათქვამი: ამა და ამ ეკლესიაში რომ დამტვრეული ხატი
არისო, ის იმ დროს არისო დამტვრეული; როდესაც სვანებს
გაუჭირდათ, გამოასვენეს ერთ ეკლესიიდგან დიდი უცხო
ლეთისმშობლის ხატი, მაგრამ ურჩულონი მაინც მოერივნენ
და ის ხატი ისარ-მშვილდით ლუკმა-ლუკმა გახადესო. რა ია-
რალს ხმარონდნენ სვანები ჩხეუბში? სად, ვის მიცყავდათ სა-
ჩხეუბრათ. მამაცს რანაირათ აჯილდოებდნენ და ბოროტს რა-
ნაირათ დასჭიდნენ. როგორც მახსოვს იმ ეტრატში სწერია,
რომ თუ ვინმე რამე ცუდს წარმოსთქვამდა, ენას მოსკრიდნენ;
ეკლესიიდგან თუ რამეს მოიპარავდა, თვალებს ამოსკრიდნენ,
ხელებს, ცხვირს და ყურებს მოსკრიდნენ; კაცს თუ მოჰკელავ-
და, ხან მდუღარე წყალში ჩააგდებდნენ და ხან გახურებულ
რეინაზე დააჭენდნენ.

აწერილი არის იმაში ეგვიპტელების და სკვითების ჩხეუბი
ერთს დიდს მინდორში, მაგრამ კარგათ არ ვიცი, თვითონ სვა-
ნეთში თუ მის მახლობელ ადგილებში და ვისი მხარე ეჭირათ
სვანებს ამ ჩხეუბის დროს.

აიწერება სასულიერო წოდება: რომელ საზოგადოებაში
რამდენი სამღვდელო პირი იყო და რამდენი მღვდელმთავარ-
ნი ჰყავდათ მათ. მოხსენებულია, თუ რა ცერემონიით იცოდ-
ნენ წირვა-ლოცვა? რა შესანიშნავი დღესასწაულები იცოდნენ?
ერთ ადგილას არის, მაგალითად მოყვანილი ერთი გლეხი კა-
ცის აღაპი...


მედია უფალო რედაქტორო, ვინც განსვენებულ ჟურნალი მა-
მაცოვს იცნობდა, მის ოჯახობას პკითხოს და ფაშისტთა უცხადა-
სადაც რიგი არის იქ წარადგინოს. თქვენც იმედია მიიღებთ
თავის თავზე შრომას, უფ. რედაქტორო და ზოგიერთს პირა-
დათაც ეტუვით და ეცდებით მის მოძებნას.

ამისთანები სვანეთის ექლესიებში, უფალო რედაქტორო,
ბევრი იპოვება, მაგრამ რადგანაც ზოგიერთს პირებს ამნაირათ
მიაქვსთ და პკარგავენ, სვანები დაშინდნენ და აღარავის არ
უჩვენებენ. რაც გვაქვს ისიც დავკარგოთ და მაშინ სულ აღა-
რა დაგვრჩება რა.

ეს ეტრატები ჩვენის ისტორიის მასალებათ ძვირფასი რამ
არიან. სვანეთის შესახებ ცოტა ვიცით და ამ ეტრატებიდგან
პარგად გავიცნობთ. ეს ეტრატები არიან დაწერილი მშვენიე-
რს ძველს ქართულს. ენაზედ და საკვირველი დიდებიც არიან,
ასე რომ თითო ძლივს გაიშლება მცირე ოთახში.

სვანეთიდან, 29 აპრილს

წრეულს თითქმის მთელი სვანეთი დაიმშა. ცუდად არის ამ
ხალხის საქმე. რა მხარეს უნდა მიმართონ? გზა არსათ აქვთ,
ივლისის თვემდინ საცხენო გზები არსათ ეხსნებათ და მანავ-
დინ სულ ზურგით უნდა ზიდონ თუ კი რამე იშოვნეს.

თოვლიც გვარიანად გვეწვია, უფრო საღადიანო სვანეთში,
სადაც ზვავებმა მიაქც-მოაქციეს და. დალეწეს გზები ისე,
რომ, ერთმა ზვავმა ოთხ დღედაღამეს გააჩერა და დააგუბა
ცხენისწყალი.

წარსულ მარტის თვეში დაიწვა ორი მოსახლე მულახის
საზოგადოებაში, რომლებიც ძლიერ საწყლად დარჩნენ. მარ-

თალია მნიარი შემთხვევა სვანეთში ძლიერ იშვიათად გრძელა,
მაგრამ თუ კი მოხდა მისი ჩაქრობა ძნელია. წყლით ცერა
უშველი ორ ეტაჟიან სახლს, რაღვან დარბაზი ზექვემდებრების
და მულამ არის საესე თვით.

ხევისთავებმაც, თუმცა მოსპეს ჩვენში ქურღობა, მაგრამ
მეორეს მხრით ძლიერ შეგვაწუხეს და წაახდინეს ბევრი საქმე.
ერთს საზოგადოებაში არის ამორჩეული 17 ხევისთავი. ესენი
რომ მივლენ დამნაშავის სახლში, რასაკვირველია, არყით, ხორ-
ცით და პურით უნდა გაძლენ.

ვთქვათ ამ მოსახლემ მოიპარა ძროხა; ერთი ძროხის ფასს
თვითონ შესჭამენ, ხუთი ძროხის ფასს გადაახდევინებენ; ძრო-
ხის პატრონს ორ ძროხის ფასს მისცემენ და სხვას თვითონ და-
იტოვებენ.

სჭარმოებს საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან ან ოლ-
ქის სასამართლოში, ხევისთავებისათვის სულ ერთია, მაინც
თავისას არ იშლიან. არ დაეძებენ მას, თუ სასამართლოში რო-
გორ გათავდება საქმე. ათის წლის საქმესაც ხელს ჰქიდებენ,
ასე რომ, ახლა ეს ხევისთავები ჩვენში შეიქმნენ ყვილა სასა-
მართლოებზედ უმთავრესნი.

ყველგან სკოლა, ყვილგან სჭავლა და სვანეთში არა. მთელს
სვანეთში ერთი უბრალო სასოფლო სკოლა არ არის, თუმცა
ახლა მაინც არის საშუალება, რომ დაფუძვნდეს პატარა სკო-
ლა იმ ოთხი ათასი მანეთით, რომელიც სვანეთის სკოლისათვის
ანდერძით დასტოვა განსვენებულმა ექიმმა რეიხმა. მაგრამ
არავინ დაგვეძებს.

ერთს ადგილას გვალდას მთებში, მესტიისა და მულახის სა-
ზოგადოებათ შუა გაუდნობელ ყინულის ძირში, როგორც და-
მაჯერეს ბევრმა სვანებმა, უნახავთ რაღაც მაღნის ნამუშევარი,

სადაც ეყარა ბევრი უროები, კეტები და სხვა. სჩანს, რომ იქ ჩვენი ძველი „ქართველთ კეისარნი“, როგორც იტექსტი ტექსტი ბი, პოულობლენ რამე ძვირფას მაღნეულს. მაგრამ დოოხედ იმ ადგილს არავინ მიაქცია ყურადღება და ყინულმა დაპფარა სამუდამოთ.

ამავე ადგილის მახლობლად იპოვება გოგირდი, რომელსაც ბევრი ძებნა არ უნდა, მაგრამ ხელუხლებლად რჩება.

მე დავესწარი ს. ყველრეშს ახალ კვირას წირვაზე. მოგახსენებთ, რომ კარგი მხნე მღვდელი კი ჰყოლიათ! მომეტებულის მოხუცებულობისაგან კანკალებს და ლაპარაკიც ეშლება. იმას არც დიაკვანი ეჭირვება და არც სტაროსტა; მარტო თითონ ასრულებს საღმრთო ლიტურგიას და იხსენიებს იმ მღვდელმთავარს, რომელიც მის დიაკვნობაში ცოცხალი ყოფილა და იმ მეფეს, რომელსაც თითონ იცნობდა თავის სიყმა-წვილის დროს.

ერთს კაცს, ჩემთან ატუზებულს ეკლესიაში, ვკითხე თუ ეგრე როგორ შეიძლება წირვა მეთქი, და მან მითხრა, რომ ასე დასჯილი შევიქენით ღვთისგანო და რა ვქნათო. თუ რამე ვუთხარით, გვეტყვის, რომ ჩემგან უბრალო დალოცვაც ეყოფა კაცსაო.

ხმა სვანეთიდგან

მკითხველს ეცოდინება. რომ სვანეთის საპრინციპო ლეჩების მაზრაზეა მიწერილი და ექვემდებარება უკანასკნელის უფროსს. ამისათვის ლეჩების მაზრის უფროსები დროგამო-

შეებით მოდიან ხოლმე სვანეთში დასახელდავათ და მისს
კარგიანობის გასაგებად.

წრეულსაც სექტემბერში სვანეთს ეწვია ლეჩეუში მასშიცა
უფროსი როდევიჩი. როდევიჩმა სვანების სიყვარული დაიმსახუ-
რა თავისი უბრალო და ტებილის მოქცევით ხალხთან. ხალხში
ბატ. როდევიჩი ისე იქცევა, როგორც ერთი მათგანი. აქ ერთს
გაუცინებს, წაეხუმრება, იქ მეორეს დააღებს ბეჭზე ხელს და
ისე ელაპარაკება, იქ ბავშვს მოიყვანს თავისთან, დაუყვავებს,
რამე პატარა საჩუქრებს მისცემს და სხვა: ამგვარი თავმდაბა-
ლი და ტებილი კაცი სვანების საქმეა და კიდევაც იმიტომ
უყვარსთ ბ. როდევიჩი.

პირველად ბატ. როდევიჩმა ნახა კალის და უშგულის სა-
ზოგადოებანი. ორივე ამ საზოგადოებამ ერთი ხმით მოახსენეს
როდევიჩს საჩივარი სვანეთის პრისტავზე. „ჩვენ — უთხრა
საზოგადოებამ — ბატონ გუბერნატორისა და თქვენს მოსვლას
მოველოდით, თორებ რამე უბედურება მოგვიხდებოდაო, იმ-
დენად შეგვაწუხა პრისტავის მრავალგვარშა შეუსაბამო და
უკანონო ქცევამო“. აქ ხალხმა ჩამოუთვალა თითოეულად სა-
ჩივრები, რომელთაგან ჩვენ მარტო რამოდენიმეს მოვიყვანთ,
რაღანაც ყველა საჩივრის დასახელება მოუხერხებელია.

თავდაპირველად ხალხმა მოახსენა, რომ პრისტავმა კერძო
ინტერესისათვის მოახდინა უწინდელი უკანონოდ მცხოვრებ
ცოლ-ქმართ გაშორებაო, რომელმაც დიდი ეკონომიკური ზარა-
ლი და ზნეობითი მწუხარება გამოავლებინა თვით დაშორე-
ბულთ, მათ შვილებს და ჩვენცაო. „მათის ცოდვით ჩვენც ვი-
წვითო“, დაუმატა ხალხმა.

რამდენიმე კაცმა, რომელთაც უკანონო ცოლები მოაშორეს,
მოსახლობაზე ხელი აიღოვთ. ხალხმა დაიჩოქა და სთხოვა რო-

ძევიჩს, ეს მ-ვის¹ უგვანო განკარგულება დაერღვით, თუ რომ
ჰსურს, რომ სვანეთში უბედურება მოხდესო.

მეორედ იჩივლა ხალხმა, რომ იმავ პრისტაცია-მისამაც
1882 წლის ბეგარა გამოგვართვა და როგორც გავიგეთ, ხაზი-
ნაში არ წარუდგენია და არც ჩვენთვის დაუბრუნებიაო. ამას
გარდა 1883 წელს ჩვეულებრივ ბეგარას კომლზე ექვს-ექვსი
შაური მოგვემატა და არ ვიცით რისთვისაა. ბოლოს ერთია-
ნად დაიგრიალა ხალხმა და სთხოვა ბატ. რომევიჩს, რომ პრის-
ტავი გადაეყვანა სვანეთიდგან, თორემ მაგისი გაძლება არ შე-
გვიძლიაო.

მაზრის უფროსმა დაამშვიდა ალელვებული ხალხი და და-
პლირდა, რომ ყოველს მისს კანონიერ მოთხოვნილებას დააქმა-
ყოფილებს და უკანონო ცოლ-ქმრობის შესახებაც იშუამდგომ-
ლებს მთვარობასთან. მხოლოდ იმიერიდგან კი უნდა მოისპოს
ამგვარი კანონიერი ცოლ-ქმრობის მოტაცება, რაზედაც ხალხ-
მა თანხმობა გამოაცხადა.

კალის საზოგადოებიდან მაზრის უფროსი ჩაჰყვა სვანეთის
საზოგადოებათ. ხალხი ყველგან თავმოყრილი ხვდებოდა; ყვი-
ლგან მაგნაირი, რამოდენიმე დამატებითი საჩივრები ხვდებო-
და ბატონ პრისტავზე. სხვათა შორის ლატალის საზოგადოება-
ში რაღაც „ხუთი ძროხისა და ხარის ტყავების ისტორიისა“
უთხრეს ბატონ რომევიჩს: „მ-ვმა ისე შეგვაძლა თავი, რომ
გთხოვთ პრისტავად სულ უცხო ვინმე დაგვინიშნოთო“. ეს ლა-
ტალელების თხოვნა მთავრობამ კიდეც აასრულა: სვანეთის
პრისტავად დაინიშნა ზუგდიდის პოლიციის პრისტავი, გვა-
რად ა-კი. მ-ვი უადგილოდ იქნა დათხოვნილი. რა მოჰყვება

1. მ-ვი უნდა იყოს მაშაცოვი.

ბეგრის ფულების ისტორიას და სხვა საჩივრებს, ჯერ ამ ცით; კარგი კი იქნება მ-თვის, თუ იგი მარტო უაღილოდ ჩაი-სოვნას, ფულების გადახდას (800 მანეთამდე) და ამ დროის პასუხისმარებელის არ მისცეს სასამართლოს წესით.

უშინდელ უკანონო ცოლ-ქმართ შესახებ, რომელიც ზა-ტონმა მ-ვმა ერთის ბრძანებით გააშორა, ჩვენ ნამდვილად გა-ვიგეთ, რომ გუბერნიის აღმინისტრაციას, თანახმად ბატონ რომევიჩის წარდგინებისა, დაურღვევია მ-ვის ბრძანება და უშინდელ უკანონოდ შეუღვლილთ ნება მიეცათ ერთად ცხო-ვრებისა.

აქ კი საჭიროდ ვრაცხთ ახლად დანიშნულ პრისტავზე ჩვე-ნი მოსაზრება წარმოვსთქვათ: მას აქეთ, რაც რუსეთის მმარ-თველობა შევიღა სვანეთში, რუსი პრისტავიდ სვანეთში პირ-ველად ინიშნება. როგორ შეეთვისება ხალხს ახალი პრისტავა და ხალხი მას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ცოც. ბეჩო (სვანეთი)

თითქმის 40 წლის კაცი ვარ და ამნაირი მშვენიერი ზამთა-რი, როგორიც წელს არის, არ მახსოვს ყოფილიყოს ჩემს სამ-შობლო სვანეთში. თოვლი აქა-იქ არის წელს, მაშინ, როდესაც ამ დროს წინათ ორი ალაბი და ალაბნახვარი ყოფილა აქ. მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, ამნაირს ხმელსა და უთოვლო ზამთარს ყოველთვის თან მოსდევს დიდი ავაღმყოფობა. მარ-თლაც და წელს მთელს სვანეთში გახშირებულია ყოველნაირი ავაღმყოფობა: ცხელება, მუცელა, ფერდა, წითელა, ყვავილი

და სხვა. ხალხი იხოცება უმოწყალოდ, განსაკუთრებით გაზრდობა, ყვავილისა და წითელასაგან.



შარშან, ღვთის მაღლით, ნამუშავარი გვარიანი შჩერტლიშვილი ზოგადოდ ყველგან სვანეთში...

სვანები მდიდარი ხალხი იქნებოდა, რომ მკვდრის წესების შესრულებას ნამეტნავად არ მისდევდნენ. ჯერ ჭირისუფალს ტირილზე დასჭირდება 70—80 მანეთის პური და ამდენისავე არაყი, შემდეგ აღაპზე იმდენივე პური და არაყი და უკანასკნელი 150 მანეთის საკლავი. ფული რომ არა ჰქონდეს სვანს, მამულებს გაჰყიდის და ტირილსა და აღაპზე მოიხმარს, ასე ნაშოვნ ფულს, სირცხვილს კი არა სჭამს. რამდენი იღუპება ამით ვინ მოსთვლის?

წარსულს შემოღვმაზე ტირილი იყო მიცვალებულისა მულახის საზოგადოებაში. მკვდრის წესის აგებაზე მთავარ-დიაკონიც ეხმარებოდა მღვდლებს. ერთმა დედაბერმა მთავარ-დიაკონის გინგლა რომ დაინახა, მოეწონა და, როცა მიცვალებული დაასაფლავეს და მთავარ-დიაკონმა თავისი გინგლა სხვა შესამოსელთან შეინახა, მივიდა ეს დედაბერი და გინგლა მოიპარა. რისთვის მოიპარა? განა მისთვის, რომ რისთვისმე მოეხმარა? არა. მისი ქმარი, აწ უკვე გარდაცვალებული, თურმე სვანური მთავარი პაპა ყოფილიყო და იმხანებში ემზადებოდნენ იმის აღაპის გადახდას. ეს დედაბერი ამ კაცის ქვრივი იყო და როცა აღაპს უხდიდნენ, ეს გინგლაც უკურთხა აღაპზედ თავის ქმარს. აპა ჩემო ქმარო, ეს-ლა გაკლდა და ესეც გიშოვე და საიქიოს დაიკიდეო, აქაც მთავარი პაპა იყავი და საიქიოსაც ის იქნებიო. მაგრამ ვაი იმისთვანა კურთხევას!.. ხალხმა მაშინვე იცნო ნაქურდალი და სასამართლოში ამოაყოფინეს დედაქაცს თავი.

აქამდის მთელს სვანეთში არავითარი სასწავლებელი არსებობს და ახლა კი, ღვთის მაღლით და ცოტა ჩვენისკენ დინეობითაც, იმართება სამი სასწავლებელი: ორი უმცირადის დიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შემწეობით და მესამე ორკლასიანი სკოლა სახელოსნო განყოფილებით. ჯერ-ჯერობით კი მათს დაარსებისათვის ხელი არ მიუყვიათ. ყველას წინ გაუსწორო ამ საქმეში სამმა საზოგადოებამ: მულახისამ, იფარისამა და მესტიისამ. რაჯი გაიგეს, რომ სკოლები იმართებიანო, შეეჯიბრნენ ერთმანეთს ეს სამი საზოგადოება და ხარჯი იტვირთეს სკოლის შესანახავად. მაგალითებრ, მულახის საზოგადოებამ იკისრა სკოლის აშენება თავისი ხარჯით, 200 მანეთი შეპკრიბა წიგნების ფასად, აღუთქვა სკოლის მოსამსახურე და შეშა. ამითი მულახის საზოგადოებამ დაირჩინა ორკლასიანი სასწავლებელი. იფარის და მესტიის საზოგადოებამ იდვეს თავს სკოლებისათვის შენობის აშენება, მოსამსახურებისა და შეშის მიცემა. ამითი ამ უკანასკნელებმა დაირჩინეს ორი სასწავლებელი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა. სხვა სოფლებმა არც სკოლები მოინდომეს და არც ხარჯის გაწევა იტვირთეს ამ საგნისათვის.



ბ ე ს ა რ ი მ ნ ი უ ა რ ა ძ ე

ბესარიონ ნიკარაძე, ანუ როგორც ქართულ უცრნალ-გაზე-
 თებში გამოქვეყნებული წერილების უმრავლესობას აწერს,
 „თავისუფალი სვანი“, ქართველი მკითხველისათვის კარგად
 ცნობილი მოღვაწეა¹. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძი-
 რითადი ცნობები ასეთია:

ბესარიონ სიოშის ძე (შიოს ძე) ნიკარაძე დაიბადა 1852
 წლის 21 ნოემბერს ზემო სვანეთში, სოფელ უშგულში. 1866
 წელს იგი შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რო-
 მელიც დაამთავრა 1874 წელს და ჩაირიცხა თბილისის სასუ-
 ლიერო სემინარიაში.

¹ ბესარიონ ნიკარაძის ცხოვრება ერცლადა აქვს აღწერილი პროფ. ალ.
 რობაქიძეს წიგნში: ბესარიონ ნიკარაძე „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წე-
 რილები“, ტომი I, თბილისი, 1962 წ.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ბ. ნიუარაძე სწავლიდა
და 1878 წლამდე.

1878—1883 წლებში ბ. ნიუარაძე მსახურობდა მსგანერობაზე
საბოქაულოში საქმისმწარმოებლად; 1883 წელს კი კვლავ ქუ-
თაისში გადადის და სათავადაზნაურო სასწავლებელში აღ-
მზრდელად იწყებს მუშაობას. ამ თანამდებობაზე დარჩა იგი
1892 წლამდე.

1891 წელს ბესარიონ ნიუარაძემ ცოლად შეიჩოთო ქუთაი-
სელი აზნაურის ქალი ალექსანდრა პავლეს ასული ნორაქიძე
და მეუღლითურთ სვანეთში დაბრუნდა. იგი ინიშნება სოფელ
იფარში ახლად გახსნილი სკოლის გამგე-მასწავლებლად. ამა-
ვე პერიოდში ბესარიონი მღვდლად ეკურთხა და საეკლესიო
სამსახურიც დაიწყო. მსახურობდა მღვდლად იფარისა და მეს-
ტიის ეკლესიებში, ამასთან სისტემატურად მასწავლებლობდა
და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ კურნალ-გაზეთებ-
ში.

1919 წლის მაისში ბესარიონ ნიუარაძე ფილტვების ანთე-
ბით გარდაიცვალა მესტიაში. მისი ნეშტი გადაასვენეს და და-
კრძალეს უშგულის ლამარის ეკლესის გალავანში. ბესარიონ
ნიუარაძეს დარჩა სამი შეილი: რაფიელი, ციცინო და ბიძინა.

სვანეთიდამ, 31 დეკემბერს

სვანებმა ძველათ ქურდობა არ იცოდნენ. ძველი სვანების
ცხოვრება ვერც ერთ მაგალითს ქურდობისას ვერ წარმოგვიდ-
გენს. მართალია, იმ დროში სვანი მეზობელ ხალხებს — აფხა-
ზებს, ჩრდილოეთ-კავკასიის თათრებს, მეგრელებს, რაჭელებს

და ლეჩხუმელებს წართმევდა ხარის, ცხვრის, თხის და ცხენის ჭოგებს. მაგრამ დამალულად კი არა, აშეარად, ურსაშემოქმნად, რაღანაც ის მიტაცებულ საქონლით იმდენად ჰაზაფურყველნ-ტერესებული, რამდენადაც სახელით, რომ წართვა სხვას საქონელი და ამითი დაიმტკიცა სიმამაცე. ეს მტაცებლობა სეანებს უკანასკნელ დრომდინაც ვერ მოაშლევინა რუსის მმართებლობამ; სვანეთის პრისტავების ხელში სვანებმა ოთხერ მორეკეს წართმეული ჭოგები: ერთხელ სამეგრელოდამ, ორჯერ აფხაზეთიდამ და ერთხელაც 1871 წელს ოთხის მაზრიდამ.

ამ წლიდამ კი მტაცებლობა ქურდობად შეიცვალა, რაღან მტაცებლობას მთავრობა სდევნიდა და ოსები ქურდობის დროს ძალიან ხელს უწყობდნენ სვანებს. წავა სვანი ოსეთში ცხენის საყიდლად ცოტა რამე საფასითა და ეუბნება ოსი: „20 მანეთი მაქვს და ცხენს ეერ მაშვნინებო?“ ქურდი ოსი ეუბნება: „ოცი მანეთი რათ გინდა. 10 მანეთი მომეცი და ისეთ ლაფშას დაგათვედრებ მთის წვერზედ, სადაც შენ უნდა გაიარო, რომ ას მანეთად გილირდეს“. ლარიბი სვანი სცდება და აძლევს 10 მანეთს, ოსი კი თავისი მხრით მოუყვანს ლაფშას და აძლევს სვანს, რომელიც შემდეგ 60—70 მანეთად ჰყიდის. ამ სვანს სხვებმაც წაპბაძეს და ამნაირად გავრცელდა ქურდობა. ცხენის ქურდმა სვანმა არც სხვა საქონელი დაზოგა, მაგალითად ხარი, ძროხა, ცხვარი და სხვა. ამაებს სვანი სხვა მხარეში არ ჰყიდის, თავის სახლში სჭამს.

ამგვარი ქურდობა სვანს გაუგეს — ერთგერ, ორჯერ და სუთხერაც; უჩივლეს მომრიგებელ-მოსამართლესთან, მაგრამ რა გამოვიდა! მომჩინენს მოწმეები არა ჰყავს, რომელთაც ენახოთ ქურდი მოპარებს დროს და ისე ხომ არაფერი გამოვა. მართალია სვანი მომჩინენი ეფიცება ჩაჭულს, ღმერთს, რომ ჩემი

ძროხა მაგან მოიპარათ, მაგრამ მის ფიცს რა მნიშვნელობა და
ნება სუდში.

მაგრამ გარეშე სუდისა არის ერთი სახსარი სვანებისა და კულტურული
მელიც ან საჭიროებს მოწმეებს და ოდვილად გამოსტეს
ქურდს სვანს და მოაშლევინებს შემდეგისათვის ქურდობას.
ეს გახლავთ წმ. კვირიკე, რომელზედაც ორიოდე სიტყვა უნდა
მოვახსენოთ...

წმ. კვირიკეს ეკლესია. ანუ მონასტერი მდებარეობს სიმა-
ღლით ერთ ვერსიან გორაზედ, მდ. ენგურის მარცხნა ნაპირას
თვისეუფალ სვანეთში. თვითონ ეკლესია პატარაა; აშენებულია
ოლილ სპეციური ქვისაგან ბიზანტიის სტილზედ. შიგნით მო-
ცენილია მხატვრობით; მრავალი ძვირფასი ხატი და ჯვარი, ვე-
რცხლის ჭურჭლები სხვადასხვა ღირსებისა და მშვილდისჩები
შესანიშნავ ბოძლებით — შეადგენენ ამ ეკლესიის სიმდიდ-
რეს. გარშემო ეკლესიას ქვითკირის გალავანი არტყია. რომლის
კიდელში კოშკებია ჩატრეული. გალავანს შიგნით ერთი საჭა-
ლაბო სახლია, სადაც მონაზენები ცხოვრებულან. ოჯახის ავე-
გეშულობა ყველაფერი არის აქ. გალავანს გარშემო ნაძვნარი
არტყია. გზა ამ ეკლესიაზედ მიღის ერთის მხრით და ისიც ბი-
ლიკი; სხვა მხრიდან იგი მიუვალია.

ეპლიაში სხვა ხატებს შორის, შესანიშნავი არის ერთი,
რომელსაც სვანები „შალიანს“ უწოდებენ. ეს „შალიანი“ ჯვარ-
კუშის ხატია, სიმაღლით 7 ვერშოკი, სიგანით $5\frac{1}{2}$. ამ ხატში
მევს ორი ძვირფასი ქვა და ერთი მძივი, 4 პატარა ვერცხლის
კოლოფი, 18 წითელი მარგანი; ხატის შიგნით დახატულია წმ.
კონსტანტინე, ელენა და სხვა წმინდანები. ხატს დასახურავი
კარი აქვს, რომელზედაც დახატულია ჯვარცმა. და რომელზე-
დაც 51 თვალი ასხია სხვადასხვა ფერისა და ღირსებისა.


უკანა მხარეს ხატისა დახატულია აღდგომა. ამ ეს განცხავდ
სვანების „შალიანი“, რომელზედაც ხალხის ზეპირ უძველეს უძველეს შემდეგს მოგვითხრობს: შალიანი კაცის სახელი ყოფილა ძცხო-
ვრები თავისუფალ სვანეთის იფარის საზოგადოებაში, სოფელ
ზეგანს. ერთ დღეს მას თავის შეიღისთვის ძროხები გაურჩეკა-
ნებია სამწყემსურაში. შალიანის შეიღს პატარა ქვა უსროლია
ძროხისთვინ; ქვას ტყვიასავით გაეხვრიტა ძროხა და მოეკლა. მტირალი მწყემსი მამასთან დაბრუნებულა და უთქვამს ეს
შემთხვევა. მამას ის ქვა მოუნახავს, მიუტანია მცედელთან და
უთხოვია ცელის გაჭედვა, რომლისთვისაც ფოლადის მაგიერ ის
ქვა უნდა ჩაეტნია. მცედელს გაუშედია ცელი.

იმჟამად იმერეთში მეფები ყოფილან, სვანეთი ვალდებუ-
ლი იყო თურმე, ყოველ წელიში დაეთიპა მეფეებისათვის
გეგუთის მინდორი, ქუთაისის ახლო. იქ წასვლის დრო რომ
მოსულა, სხვა მთიბავების რიცხვში, შალიანიც წასულა და ეს
ცალი წაუღია. როცა ქუთაისს მისულან, შალიანი მეფესთან გა-
ძოცხადებულა და უთქვამს: — „მეფე! თუ გეგუთის მინდორი,
რომელიც სვანეთმა უნდა დაგითიბოს, მარტო მე მოვთიშო ერთ
დღეს, რაც გთხოვო ის მაჩუქეო“.

— კარგიო, უთქვამს მეფე.

შალიანს ეს ცელი ლაფუშა ცხენისათვის კუდზე მოუბამს,
გეგუთის მინდორი მოურონებია. კუდზედ გამობმული ცელი
თავისით სთიბავდა თურმე და საღამომდის გეგუთის მინდორი
სრულიად გათიბა. მეფეს ძლიერ გაუკვირდა და უთხრა: — აბა
მითხარი რა გაჩუქო? ზალიანს ზემოთხსენებული ჯვარცმის
ხატი უთხოვია და კიდეც მიუღია. ხატი მაშინევ სვანეთში წა-
მოუღია და როცა კალას საზოგადოებაში მოსულა, აქ ყველას
სცოდნიათ; რომ შალიანს სასწაულომექმედი ხატი მოაქვსო.

აქ ერთი ქალი თავის ქმრის ჩაგონებით, შეუჩინდება შალიანს და
თავისთან დაატყვენს; როდესაც ამარი და საზოგადოებრივი იყენება
იყებს, შალიანს ამ ხატს დაატოვებინებენ შეურაცხყოფისათვის
და დასვენებენ იქ, სადაც დღეს არის.

სკანეთს შალიანისათვის ამ ხატის მოტანისთვის ის უპირა-
ტესობა მიუნიჭებია, რომ მის შთამომავლობას, რომელიც
დღეს მულახის საზოგადოებაში ცხოვრობენ და შარვაშიძებად
ითვლებიან, არა ხდებათ ერთი ძროხა, რომელიც ყოველმა
სკანმა, ვისაც წმ. კვირიკეზე ფიცი უნდა, უნდა მოუყვანოს
ეკლესიას, რის მერე ფიცის ნება აქვს.

ამ ხატს ხალხი საკვირველის მოწიწებით და სასოებით უყუ-
რებს. სკანი დაიფიცებს მაგაზედ, მხოლოდ უკიდურეს შემ-
თხვევაში. მაგ. ორი თემი ერთმანეთს ეჩხუბება, — ორივეს
მხრით რამდენიმე კაცი მოკედა; ახლა უნდათ გარიგება, მაგ-
რამ ერთმანეთის ნდობა არა აქვთ; ამ შემთხვევაში მიღიან წმ.
კვირიკეზედ დასაფიცებლად და ეს იმას ნიშნავს, რომ ამიე-
რიდან ეს ორი თემი ერთი მეორეს ცუდს ვერ გაუბედავს, რა-
დგანაც წმ. კვირიკეს შალიანის ხატს ვერ გასტეხს და თუ გას-
რეხა, გამტეხი დარწმუნებულია, რომ ის ადრე თუ გვიან შთა-
მომავლიანად ამოვარდება. ამგვარ შემთხვევათ ჩათვალეს
წრეულს სკანებმა ქურდობის გაჩენა და ამისათვის სამშა სა-
ზოგადოებამ, სადაც უფრო გახშირებულია ქურდობა: მესტიამ,
მულახმა და იფარმა, გასწიეს წმ. კვირიკეზედ. ყოველი მამრო-
ბითი სქესი ამ საზოგადოებისა იქ იყო. შალიანზედ გადასცეს,
ვინც არ გაამზილოს ნაქურდალი, რაც ამ 5 წლის განმავლობა-
ში მოუპარავს. წმ. კვირიკე ვერავინ გასტეხა და თავის ცოდვებ-
ში ყველა გამოტყდა; ხალხს არჩეული პყავდა პირები, რომ-
ლებისათვისაც, როგორც მოძღვრისათვის, ქურდს თავისი ნა-

ქურდალი უნდა ეთქვა. ამ ამორჩეულმა პირებმა **შემდეგი/გან-
ხინება დასდვეს:** **გან-
გან-
გან-**

1. ქურდი ნუ უჩვენებს სახელდობრ იმ პირს, ვისაც რა-
მე მოპარა, რადგანაც ამას შეიძლება აყალ-მაყალი და ჩხუბი
მოჰყვეს.

2. ქურდს გარდახდება ფასი ნაქურდალი საქონლისა და
ამას გარდა ჭარიმა მოპარული საქონლის მიხედვით.

3. ქურდებისაგან მოცემული საქონლის ფასიც და ჭარი-
მაც სოფელმა უნდა მოიხმაროს.

ეს განხინება კიდეც აასრულეს. ამ ფიცის შემდეგ ზემოხსე-
ნებულ საზოგადოებებში არაფერი დაყარგულა; ხალხი კმაყო-
ფილია და იმედი აქვს, რომ წმინდა კვირიკე და შალიანი სვა-
ნეთში ქურდობას მოსპობენ, რადგანაც ყოველ ქურდს ეცოდი-
ნება, რომ იმას დაფიცებენ შალიანზედ, სადაც ყველაფერი
უნდა ითქვას და საზოგადოებას ნაქურდალი ერთი ორად უნდა
უზღოს.

ს ვ ა ნ ი თ ი

თუმცა იანვარი და თებერვალი დარად წავიდნენ, მაგრამ
მარტშა თავისი არ მოიშალა და ბლომად ჩამოყარა თოვლი,
რის გამოც სვანეთში ჩვეულებრივი თოვლიანი ზამთარი მო-
ეიდა. მარტში თოვლის მოსვლამ ის ზარალი მისცა ხალხს, რომ
საქონლის საკვები თივა შემოელია და ხალხის შიმშილობას
საქონლის შიმშილობაც დაერთო, რის გამოც ოთხფეხი საქო-
ნელი, ეს პირები შეყარო სვანების ცხოვრებისა, უანგარიშოდ
იხოცება. ამნაირად საცოდავ სვანებს არც თავისი საჭმელი

აქვთ და ორც პირუტყვისა! იანვარში და თებერვალში, მაგრა
თალია, თოვლი არ მოვიდა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, წლის
ყინვები დაიკირა.

კერ-ჯერობით მთელ სვანეთის მხარეს ექიმი კი პეტრეფებულა
შალიც არ ჰყოლია და ორცა ჰყავს!.....

ესლა კიდევ უნდა გავიმეორო ის, რაც ათასჯერ თქმულა.
უბედურება ის არის, რომ ჩვენ, სვანებს, ექიმის გარდა, იმის-
თანა არსებითი რამაც გვაკლია, ურომლისოდაც ხალხის ცხო-
ვრება, მისი წინსვლა ყოვლად მოუხერხებელია. ეს გახლავთ
უგზოობა. თუ სვანეთს, მთებში მომწყვდეულს, გზა არ გაუკით-
და, მისი ცხოვრება და წარმატება ისე არ შეიძლება, როგორც
და, მისი ცხოვრება და წარმატება ისე არ შეიძლება, როგორც
არატიმრისა, რომელიც დამწყვდეულია ცხრაკლიტულში. ერ-
ათერთი ადგილი, სადაც სვანეთს გზა უნდა გაუკეთდეს, არის
ენგურის ხეობა ზუგდიდამდე. ადრინდელის ქუთაისის გენე-
რალ-გუბერნატორის თ. ერისთავის დროს 1858 წელს ამ ხეო-
ბაზედ გაყვანილი ყოფილა კარგი საცხენო გზა, რომელიც არ-
სებობდა 1869 წლამდი, როდესაც ესევე. გზა განახლდა ქუთა-
ისისევ სამხედრო გუბერნატორის გრაფ ლევაშოვის თაოსნო-
ბით. შემდეგ ამისა ეს გზა ისევ უყურადღებოდ დარჩა და
დღეს არა თუ ცხენი — თხასაც უკირს გავლა ამ გზაზე. ადრე
გაკეთებული ხილები ამ გზაზე ჩატყდნენ და გზები ჩამოიქცნენ.
ამ ხეობაში გზის გაყვანას, აი რად ვაძლევთ ჩვენ უპირატესო-
ბას: ერთი, რომ ეს გზა პირდაპირ იერთებს სვანეთს სიმინდით
გდიდარ სამეგრელოსთან, საიდანაც შიმშილობის დროს სვანებს
შეეძლოთ სარჩოს მოტანა; შეორე ამ ხეობაში მთავრობას გზა
უფრო იაფად დაუჭდებოდა, რადგანაც ხეობაში გორები არ
შეხვდება და მესამე აქ არ იცის თოვლის ზვავები, რომელნიც
ასე ხშირია სხვა მხრით სვანეთის გზებზედ და რომელნიც ხში-

რად იმსხვერპლებენ ხოლმე მოგზაურთა. სხვა შემდო
ში საცხენო გზის გაყვანა მოუხერხებელია, რატგან კუჭელ-
გნით სვანეთს მაღალი მთები არტყია, სადაც ზოგადი მოზაფე-
თოველი მოდის. აწ უკვე განსცენებულმა ადრინდელმა სვანეთის
პრისტავმა გრიგოლ კლდიაშვილმა აღძრა ეს საქითხი 1880
წელს და მთავრობასთან შუამდგომლობდა ამ გზის გაკეთე-
ბას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერედ არაფერი განასწორა
არ გამოსულა.

იმედს არ ვკარგავთ, რომ ეხლანდელი ქუთაისის გუბერნა-
ტორი, რომელიც დაახლოებით იცნობს სვანეთს და სვანების
გვარვებულ მდგომარეობას, ამ მხრით შემწეობას აღმოვვი-
ჩენს და ვვიშუამდგომლებს უმაღლესს მთავრობასთან, რომ
ენგურის ხეობაში გზა გაგვიყეთონ.

შეავლა-განატლების საჭმა სვანეთში

ყოვლად ღარიბი და დაცემული კუთხეა ჩვენის ქვეყნისა
სვანეთი. პირველად სვანეთის ნივთიერი მდგომარეობა უნდა
გაუმჯობესდეს, რომლის შედეგი შეიქნება მისი გონებითი გა-
ნახლებაც. სვანეთის ნივთიერი გაუმჯობესებისათვის პირველ
სახსრად უნდა ჩაითვალოს გზების გახსნა სხვა მეზობელ ხალ-
ხებთან. როდესაც სვანეთს გზები გაუკეთდება, მაშინ სვანი
მისვლა-მოსვლას, ვაჭრობას მიეჩვევა, გაიმრავლებს შინაურ სა-
ქონელს, რომლისათვისაც ბუნება ხელს უწყობს მას, რაյი ნა-
ხავს, რომ საქონელს ფულად აქცევს და ფულით სარჩოს და
სხვა ცხოვრების დასაქმაყოფილებელ მოთხოვნილებას შეიძენს.

ამჟამად ყოველს ამას სვანი მოკლებულია და რაკ ზემოთ-

სსენებულს მიზეზს, ე. ი. უგზოობას ადგილი აღარ ექნება ნეთში, მაშინ ხალხი სწავლასაც მოინდომებს და ხელშორისტობაზე ურთეშულებრივი იქნება ნივთიერად.

აქ მინდა მოკლედ იღვწერო სწავლის მსვლელობა სვანეთში რუსის მართებლობის შემოსვლის დროიდამ აქამომდე.

იმთავით სვანეთი „კავკასიაში ჭრისტიანობის აღმდგენელშა საზოგადოებამ“ მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და პირველად მან დასვა სვანეთში საფუძველი ხალხის სარწმუნობითი და გონიერითი წარმატებისა. ამ საზოგადოებამ თანდათან გაამწესა სვანეთში კანონიერი სამღვდელოება, გაუჩინა მათ ჯამაგირები ორმოც-ორმოცი თუმანი. ამავე საზოგადოებამ 1864 წელს ააშენა საპატონო სვანეთის ფარის საზოგადოებაში სკოლის-თვის სახლი; გამოგზავნა სასწავლო ნივთები, მაგრამ, რადგანაც მასწავლებელი სვანურის მცოდნე იმ დროებში ერთავინ იშოვნა, სახლი სახლად დარჩა და სასწავლო ნივთები დღესაც საზოგადოებისაგან გამოგზავნილ ყუთებშია.

1871 წელს სოფელს მესტიაში ამავე საზოგადოებამ გახსნა სკოლა. მასწავლებლად გამოგზავნა საზოგადოების ხარჯით გამოზრდილი, სვანური ენის მცოდნე ბ. ი. კერესელიძე; მაგრამ ამ სკოლამაც ცოტა ხანს იცოცხა. ამის შემდეგ საზოგადოებას სკოლა არ გაუხსნია სვანეთში; მაგრამ ამითი არ თავდება სკზოგადოების ღვაწლი სვანეთის წინაშე. საზოგადოება ზრდიდა 1870 წლამდინ თავისს ხარჯით შვიდ სვანს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მხოლოდ ამ წლიდამ ყველა სასწავლებლებში სტიპენდიანტების ხარჯმა მოიმატა და საზოგადოებამ, ხარჯის მომრიდემ, სვანების სტიპენდიანტების რიცხვი შეამოკლა სამად; დღეს კი არც ერთი სვანი აღარ იზრდება საზოგადოების ხარჯით. მართებლობას სვანეთში სკოლა არ გა-

უხსნია არაოდეს. არც ერთს სვანეთის პრისტავს 1879 წელს
დინ სკოლის გახსნა არ უთხოვნია მთავრობისათვენს, ფრეჩები
მათ — პრისტავებს, მაშინ ამ კეთილის საქმის სისრულეა მოვა
ყვანა აღვილად შეეძლოთ. 1879 წელს სვანეთის ახლად დანი-
შნულმა პრისტავმა, აწ უკვე განსვენებულმა გრიგოლ კლდია-
შვილმა, დიდად მსურველმა სვანეთის წარმატებისა, გარეშე
მთავრობისა, მიპმართა იმ დროს დაფუძნებულ „წერა-კითხვის
განმავრცელებელ საზოგადოებას“ თხოვნით, გაეხსნა მას სკო-
ლა სვანეთში. მანვე რამდენჯერმე პირადადაც და წერილობი-
თაც მიმართა საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარეს ბატონ
დ. ყიფიანს, რომელიც წერილით იმედს იძლეოდა სვანეთში
სკოლის გახსნაზე, მხოლოდ ბატონი ყიფიანი სთხოვდა განსვე-
ნებულ კლდიაშვილს, რომ სკოლის ასაშენებლად ხის მასალა
მოემზადებინებინა აღვილობრივ მცხოვრებლებისათვის და
ეჩვენებინა მასწავლებლად ვინმე ნასწავლი სვანი, ცოტა ჭამა-
გირით. ყოველი მასალა მომზადდა, ორი მასწავლებელიც ნაშო-
ვნი იყო, რომლებიც თანხმდებოდნენ, თუ საზოგადოებას ჭამა-
გირის მიცემა გაუჭირდებოდა, მუქთად სკოლის წაყვანას,
ოლონდ მას (სკოლას) საზოგადოებისაგან სასწავლო ნიერებით
შემწეობა პქონიყო; საზოგადოებას ცნობილი ჰქონდა აგრეთვე,
რომ ბეჩოს კამანდის ექიმმა რეიხმა, აწ განსვენებულმა, 4000
მანეთი დასტოვა განსვენებულ კლდიაშვილის ჩაგონებით, სვა-
ნეთში სკოლის გასახსნელად, რომლითაც საზოგადოებას შე-
ეძლო ესარგებლა. ყოველივე ეს ცნობები მიმართულ იქნა სა-
ზოგადოებისადმი, მაგრამ საზოგადოებამ დღემდის არაფური
პასუხი არ მისცა ბ. რომევიჩს, ლეჩესუმის მაზრის უფროსს,
რომელმაც ღვაწლი დასდო ამ საქმეში და ამნაირად ეს საქმე
დასაწყისშივე ჩაიფუშა. ხის მასალა, სკოლისათვის მომზადე-

ბული კლდიაშვილის შეცადინაობით, დალპა, აღგილობრივი და
მანდა, რომელიც სახლის აშენებას და მებელის გათლას ჰქონი-
დებოდა სკოლას, 1881 წელს გადაიყვანეს და რაც ყველაზე ჭრა-
შეუხაროა, 4000 მანეთი ექიმ რეიხისაგან შეწირული, სწორი ფუ-
ლებს შორის დაიკარგა სკოპინის ბანქში და ასე განსვენებული
კლდიაშვილის წალილი, სვანეთში სკოლის გახსნისა, დარჩა
შეუსრულებელი.

სიტყვამ მოიტანა და ის შემიძლიან ორიოდე სიტყვა ირ-
ვუძლენა განსვენებულ კლდიაშვილის პატიოსან და სვანეთისა-
თვის სასარგებლო მოღვაწეობას. განსვენებული მსახურობდა
სვანეთში მხოლოდ ოთხი წელიწადი. ამ მოკლე ხანში თავის
გულქეთილობით, სამაგალითო პატიოსნებით და მამობრივი
ქცევით მალე დაიმსახურა ხალხის ნდობა და სიყვარული და
დღესაც მისს სიკედილს მთელი სვანეთი ჰგლოვობს. მცირეს
ხანში გაიცნო განსვენებულმა სვანეთი და სვანეთმაც იგი იცნო.
ვაი რომ ამაოდ დარჩა გრიგოლ კლდიაშვილის ცდა, წაღილი
სვანეთის გონებრივი წარმატებისა. თუ რამდენად ჰსურდა მას
სწავლა-განათლების გავრცელება სვანეთში ამას ის მცირე მა-
გალითიც გვიმტკიცებს, რომ ერთი ობოლი სვანი თავის ხარ-
ჯით იყვანა გასაზრდელად, რომელიც სიკედილის დროს თავის
ცოლ-შვილს არამდიდარს ჩააბარა. ეს ობოლი დღესაც განსვე-
ნებულ კლდიაშვილის ოჯახის ხარჯით სწავლობს ერთს ქუთა-
ისის სასწავლებელში.

ხმა სვანეთიდებან

კავკასიაში სხვა ისეთი ხალხი არ მოიძებნება, რომელზედაც
ასე დამშინებელი გავლენა ჰქონდეს ზუნების მოვლენათა, რო-
გორიც ექვსთ სვანებზე. ხალხი დარწმუნებულია, რომ ღმერთი

ყოვლად მოწყალე და სახიერია და უკეთუ ბეგი უვალენს ქალებს
(ასე ფიქრობს ხალხი) სანგრძლივს წვიმის და გვალფას, რომე-
ლნიც ნამუშევარს აზიანებენ, ეს იმის ნიშანია, რომ უნდა მომზადება
ღმერთს რაღაც აწყენინა, შესტოდა. ამასვე ფიქრობს ხალხი,
როდესაც მის ყანებს ესტუმრება დამაუნდილებელი თოვლი და
დამამზნევებელი სეტყვა. რით დაიმსახურა ხალხმა ღვთის
წყრომა და რა საშუალებით, მსხვერპლით შეიძლება ღვთის ამ-
გვარი რისხვის თავიდამ აცილება? ასეთს გონიერივსა და სუ-
ლიერს პროცესს ეძლევა ხალხი, ასე ეკითხება თავს და აუ-
რა გვარს პასუხს იძლევა ამ ორივე კითხვაზე.

საზოგადოდ სვანები მტკიცედ ადგიან მამა-პაპურ ჩვეულე-
ბასა, რომელშიაც დროის განმავლობაში სხვადასხვა ცვლილე-
ბა ხდება. მაგალითად: უხსოვარის დროიდგან სვანები კვირაში
უქმობენ სამს დღეს: პარასკევს, შაბათს და კვირიაკეს. ეს დღე-
ები ბოლოს დროს ზოგიერთ პირთა წყალობით სამუშაო დღე-
ებად გადაიქცნენ. უწინდელს დროში მელოგინე ქალი 40 დღე-
ზე ადრე არ გამოვიდოდა კარში. დღეს ეს ჩვეულებაც იჩდევა
ზოგიერთებისაგან. უწინ დედაქაცები ეკლესიაში ეერ შე-
დიოდნენ; დღეს კი დადიან სხვა დროს თუ არა, ჭვარის წერის
დროს მაინც. ძველად სადა ტანისამოსით კმაყოფილდებოდა
ხალხი; დღეს, როგორც ქალები, ისე კაცები სხვადასხვა გვარად
შეკერილს და შეღებილს ტანისამოსს იცვამენ. ერთი სიტყვით
სხვა „ზამანა“ და „ვონა“ დადგა, ასე მშობს ხალხი. თუ სა-
ზოგადოების რომელიმე წევრი ზემოდ მოყვანილ ჩვეულებებს
არ ასრულებს, იგი ამითი არისხებს ღმერთს, რომელიც საზო-
გადოებას სჭის (ავდრით, სეტყვით, სნეულებით და სხვ.) ამი-
სათვის, ხალხის აზრით, საჭიროა დამნაშავის დასჭა ჭარიმით
(ჰიბარ) და საზოგადოების მხრით მსხვერპლის შეწირვა განრი-

სხებულ ზეცისადმი. მაგალითებს ყოველწლობით ხელავა / ხალ-
ხი, მე კი ამ ზაფხულის შემთხვევებს მოვიყვან.

ამ წელს, აგვისტოს 9-ს უშესულის საზოგადო ბულეტინზე უკა-
ლი მოვიდა სოფლად და ნამუშევარი დაზიანა. დილით აღრე
სახლში მომესმა ბუქის ხმა. რასაკვირველია, მაშინვე მივხვდა,
რის ნიშანი იყო ბუქის დაკვრა ასეთ ავტორიან დროს (რადგან
ამგვარების მოწამე ბევრჯერ კყოფილვარ). მამასახლისს დავუ-
ძახე, ვიკითხე — ვის აბრალებთ მეთქი დღეს თოვლის მოსვლას.
მან მაშინვე ჩამომითვალა ის პირები, ვის შეცოდებასაც ხალ-
ხი აწერდა უდროოდ თოვლის მოსვლას. მამასახლისს ვუთხა-
რი, რომ ცდილიყო ხალხი დაეშალა, მაგრამ ჩვენს ლაპარაკში
იგი უკვე თავმოყრილი იყო, ჩვეულებრივს საზოგადო ყრი-
ლობის ადგილას ბუქით და დროშით ხელში (დროშა ეკლესია-
შია და ამგვარ შემთხვევაში გამოაქვსთ ხოლმე);

ხალხმა ერთი ყაყანი შექმნა, ყველანი ერთმანეთს ეკითხე-
ბოდნენ ვინ დაგვლუპა, ვინ გაგვირისხა ზეცა და ბოლოს კი-
დეც დასახელეს მიზეზნი თოვლის მოსვლისა. ილოინდა, რომ
სამს მოსახლეს შაბათობით ემუშავნათ, როდესაც ხალხს აკ-
რძალული იქვს ამ დღეს მუშაობა და ორი მელოგინე ქალი გან-
საზღვრულ დრომდე, ე. ი. 40 დღემდე გამოსულიყო კარში.
იგრიალა ხალხმა და მიადგა იმ სახლს, სადაც ერთი მელოგინე-
თაგანი იყო. პირველად ძროხას ართმევდა, მაგრამ მელოგინეს
ქმარმა საზოგადოებას შეახვეწა ორი ცხვარი და ერთი ხბო,
ოღონდ ძროხას ნუ გამომართმევთო. საზოგადოებამ პატივდება-
ში მიიღო ეს ხვეწნა და დაუბრუნა ზემოთ ნათევამ სამს საკ-
ლავში ძროხა. ერთი დიდი ცხვარი მეორე დამნაშავე მელოგინეს
წაართვეს (ეს როგორლაც უფრო ნაკლებად აღმოჩნდა დამნა-

შავე) და ორ-ორი მანეთის არაყი შაბათის გამტებ მოსახულეთა. ხალხი მივიღა ღვთისმშობლის ეკლესიასთან, თან წაიყვან საკლავები და წაიღო არაყი. საკლავები ღვთისმშობლის ეკლესიასთან წირეს, იქვე დაპკლეს, შესკვამეს, არაყი დალიეს და საღამოს სახლში დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ გამოიდარებდა, მაგრამ ცა მაინც საავდრო ღრუბლებით იყო გადაფარებული. ღამე ისევ თოვდა. მეორე დღეს, ავგისტოს 20-ს, სამი გოჭის სიმაღლეზე, დაპტარა თოვლმა მოუმკელი ყანები და სოფლები. დაუკრეს ისევ ბუკი. შეიყარა საზოგადოება; შეიქმნა ყაყანა იმაზე, თუ რისთვის სჯის მათ განგება ასე მწარედ. სხვა მიზეზი რომ ვერაფერი მონახეს, ხალხმა გადაწყვიტა ერთი ხარის ყიდვა და მისი მსხვერპლად შეწირვა ღვთისმშობელისათვის. სთქვეს და გაათავეს. გამოიღეს კომლზე თვითო „ლელვლიაქი“ ქერი (ლელვლიაქი პურის საწყაოა — 1½ ფუთი). იყიდეს ერთი მსუქანი ხარი ამ ქერით და მოიყვანეს ეკლესიის კარებზე; ხალხმა დაიჩოქა, შეახვეშა თავისი თავი და წინ ხარი უდგა შესაწირავად. შემდეგ დაპკლეს ხარი იქვე. ოჯახებიდგან სადილის პურები დაიბარეს. ხარი აქ მოხარშეს და საღილად შესკამეს. ნაშუაღლევს ცამ უკუპყარა ღრუბლები და გამოიღიმა. ხალხი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა: სწორედ ამ მსხვერპლს თხოულობდა ღმერთი ჩვენგანაო.

სიტყვამ მოიტანა და საინტერესოდ მიმაჩნია აღუშტერო მკითხველს ის გადასახადი, რომლითაც ხალხს დაუბეგრია თავისი თავი თითქმის ყოველს თვეში, ოღონდ კარგი მოსავალი მოვიდეს და სიმშილი არ მიადგეს სვანის ცოლ-შვილს. მაგალითისათვის ავიღებ უშგულის საზოგადოებას:

1) ყოველ წლის იანვარს საზოგადოება (67 მექომურია) იხდის კომლზე თვითო ლელვლიაქ ქერს. (ლელვლიაქი ღირს

1 გ. 50 კ.) სულ 67 ლელვლიაქს, რომელიც ფულად შეაღებს 100 გ. 50 კაპ. ამ მოგროვილი ქერით, რომელსაც სტრიქნის და „ზორ“ (ქართული ზორა) ჰქვია, ხალხი ყიდულობს საკლავებს მსხვერპლად ღვთისადმი.

2) მარტში ხალხი იხდის კომლზე თვითო „ჩაბანად“ ქერს (ჩაბანალი ლელვლიაქის მეექესედია, აბაზად ჰლირს), რომელიც ფულად შეაღებს 13 მან. და 40 კაპ. ამ ქერით ყიდულობენ არაყს და სწირავენ მარტის ღმერთს (სჩანს ორის ღმერთს „შარსს“ ცხერებს არაყი უჩიევნია).

3) პრილში კომლზე იხდიან სამ-სამს „ლელვლიაქ“ ქერს, სულ საზოგადოებიდან მოიბოჭება 201 ლელვლიაქი, ფულის კვალობაზე 301 მან. და 50 კაპ. ამ ქერითაც საკლავებს ყიდულობენ და სწირავენ პრილის თვეს.

4) ნაღდგომევს ახალ კვირიაკეს, ან მის შობილს, ორი მოსახლე გამჭაილებს ერთ საკლავს ცხვარს ან ხბოს. ესეც, რა-საკვირველია, მსხვერპლია კარგი მოსავლის სათხოვნელად. ფულად რომ ჩავაგდოთ, ეს საკლავები (რიცხვით 34), შეაღგენს 100 მან. და 50 კაპ.

5) ივნისში ხალხი ყიდულობს ერთს ხარს, რომლის ფასად უნდა გამოიღოს კომლზე თვითო ლელვლიაქი, სულ ფულად 100 მან. 50 კაპ.

6) ივლისში ორ კომლზე ერთი საკლავი ცხვარი ან ხბო. ფულად ეს საკლავები შეაღგენენ 100 მან. და 50 კაპ.

7) აგვისტოში, თვით მარიამობა დღეს ოთხ ძროხას ყიდულობს ხალხი ნამუშევარით და ჰქლავს ღვთისმშობლის ეკლესიაზე. ფულად ეს ძროხები შეაღგენენ 80 მან.

8) აგვისტოშივე ხალხი ყიდულობს ერთ ძროხას კოხის წინამდღოლის შესაწირავად (სკარხალა მუჟელვ), რომ კოხი არ

მოუშვას საზოგადოებაზე. ესეც ფულის კვალობაზე 20,86%
არიან კიდევ სხვა წვრილმანი შეწირულებანი, რომელიც გვიჩვენებულ
აქ არ მოყავს, როგორც მაგალითად, თხის შეწირვა ელიობას
და სხვა. ზემოდ ნაჩვენები გადასახადი ხალხისა მსხვერპლების
და ზვარაკების საყიდლად რომ ერთად შევაერთოთ, აღმოჩნდე-
ბა, რომ 67 კომლი უშეგულის საზოგადოება იხდის წელიწადში
900 მანეთზე მეტს და ამ ცხრაას მანეთის საკლავს ხალხი სწი-
რავს ლმერთს მხოლოდ იმიტომ, რომ მან, ე. ი. ლმერთმა კარგი
წელიწადი მოიყვანოს და ხალხი არ დაამშიოს. მე ვუჩვენე აქ
გადასახადები და შეწირულებანი მხოლოდ უშეგულის საზოგა-
დოებაში; იგივე ამბავი და შეწირულებანი იმეორება ყოველ
სვანეთის საზოგადოებაში მცირე განსხვავებით.

თვით სადადიანო სვანეთიც, რომელიც კარგი ხნიდგან იმ-
ყოფება იმერეთის გავლენის ქვეშ არ არის მოკლებული ზე-
მოთ ნაჩვენებ ხარჯებსა და ჯარიმებსა. უბედურება ის არის,
რომ ყოველ წელიწადს მსხვერპლისა და ზვარაკების გადასა-
ხადი კისრად აწევს ხალხს და ბევრებრ ცუდი წელიწადიც არა
შორიდება. აი როდის ატყდება ხალხს ოჩვენები უბედურე-
ბა და ეს უბედურება არ მოისპობა სვანეთში იმ დრომდე, ვი-
დრე ადგილობრივ სკოლები არ გაიხსნება, რომლებშიაც სვა-
ნების ბავშვებს შეეძლებათ მცირეოდენი განათლების მიღება
მაინც.

ზესიგი მიცვალებულზე სვანეთში

თავდაპირველად მე აღვწერ სურათს მომაკვდავის უკანას-
კნელის უამისას. ეს სურათი სხვათა შორის გვიხატავს ხალხის
თავისებურ შეხედულებას მომაკვდავის წინასწარმეტყველურ

მნიშვნელობაზე და, მაშასადამე, გვიხატავს ეტნიურ თემას //
რებას (этнические особенности) სვანებისას, რასაც უძველესია
რესად ეხლაც და შემდეგშიაც მივაქცევ ყურადღესავისა
ვალს ჩემს ეტნოგრაფიულს შენიშვნებში სვანების შესა-
ხებ.

როდესაც ავადმყოფი უკანასკნელს ხანშია, მას გარს ახვე-
ვია ნათესაობა, რომელიც გარდა იმისა, რომ უკანასკნელს სა-
ლამს აძლევს მომაკვდავს, ეკითხება, გაუმცირავნოს, თუ რა
მოელის მას — ნათესაობას — გომივალში. სვანებს ლრმადა
სწამთ, რომ მომაკვდავის სული უკანასკნელს ხანებში „საი-
კიოსაა“ ქრისტესთან; იგი გარეულია ნათესავ მიცვალებულთა
სულებში და, მაშასადამე, სვანის წარმოდგენით, ნამდვილად
ხედავს და იცის „იმა სოფლისა“ ამბები,

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, სვანები მომაკვდავს წინას-
წარმეტყველობის ნიჭს აწერენ; მათი აზრით მომაკვდავება და-
კეშმარიტებით იცის ყოველი კაცის, ოჯახის, სოფელ-საზო-
გადოების და მთელი სვანეთის ბედისწერა მომავალში და რა-
საც იტყვის ვისმეზე — პეშმარიტებაა. რაჯი ეს ასეა, ყოველი
დამსწრე, მონათესავე და უნათესავოც ვაღადა რაცხს რამდე-
ნიმე კითხვა მისცეს მომაკვდავს, უკანასკნელისათვის ვითომ
ცხადს, მაგრამ ცოცხალთათვის ბუნდოვანს მომავალზე.

პირველად ნათესავი ეკითხება მომაკვდავს, თუ როგორ არი-
ან ამის საკუთარი მიცვალებულები საიქიოს: ცხონებული თუ
წაწყმენდილი; ემდურიან მას, თუ კმაყოფილი არიან და
სწვა. შემდეგ ეკითხება — რამდენი ხნის სიცოცხლე აქვს მას,
დამკითხავს, ანდა მის ოჯახიდგან, სახელდობრ, ვინ არის გან-
წირული სასიკვდილოდ და როდის შეემთხვევა რამ ჩსუბი,
ნიკოერი ზარალი მას, ანუ მის ოჯახს, თუ მოელის რაიმე

ბეღნიერება (მაგალითად, ვაკის შეძენა ბეღნიერებად დაუტება), ბოლოს ეხვეწება მომაკვდავს უშუამდგომლოს შრმუშებულებულთან, რათა მათ არ აიცრუონ გული მასზე, არ გაძოიძეტონ და არ დააბეჭილონ ქრისტესთან, თუ მან სხვა და სხვა მიზეზებისა გამო საჭირო წესები (საკურთხი და სხვა) ხანდისხან თავის დროზე ვერ აუსრულოს და სხვა.

თუ მომაკვდავი საზოგადოებაში ცნობილია ჰკვიან კაცად და ამასთანავე ლრმა მოხუცია, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრი რამ უნახავს და გამოუდია, მაშინ მას საზოგადო და საქვეყნო საქმეებსაც პკითხავენ ხოლმე. აი, აგრე მოღის ხანში შესული დარბაისელი სვანი, მიღის მომაკვდავთან და მიუჩდება. ყველანი ჩუმდებიან. მოხუცი დარბაისლურ სახეს მიიღებს და ეკითხება მომაკვდავს: როგორი წელიწადი იქნება მომავალ წელს, კლახა სნეულება ხომ არაფერი გამოჩნდება, როგორი მომავალი ელის საზოგადოდ სვანეთს. მომაკვდავი იძლევა პასუხს, ხან საწყენს და ხან სასიამოვნოს: ეს მის წინასწარმეტყველობის ნიჭება დამოკიდებული. აქ მოვიყვან ერთ მაგალითს. წარსულის წლის ოქტომბერში თავისუფალი სვანეთის ერთ საზოგადოებაში მიიცვალა გლეხი გეგი ბეშიძე¹ ას წელს გადასული ლრმა მოხუცი, ცნობილი ჰკვიან გლეხად და ძველ ხალხურ სიმღერების მცოდნედ. პირველს ორს კითხვაზე ბეშიძემ სანუგეშო პასუხი მისცა თურმე: ე. ი. წელიწადიც კარგი მოვა და არც რა სნეულება გამოჩნდებაო; მესამე კითხვა-

1 ამ გეგი ბეშიძეს იხსენიერენ თავიანთ მოგზაურობაში ბ. ბ. რადე და სტოიანოვი. პირველს ამაოვანს სურათიც გადაულია ბეშიძისა მგზავრობის დროს. ვაპ. P. Georg. იბშ. კН. VII, 1866 წ. და კН. X, 1876 წ. თიფლის. (შენიშვნა ეკუთვნის ბესარიონ ნიერაძეს — შემდგ.).

ზე კი როგორც გადმომცა თვით მკითხველმა და სხვა დამსჭრებულებმა, სხვაფრივ მიუგოო.

აქ, ვვონებ, უადგილო არ იქნება ისიც შევნიშვილის შემოსვლამდე სვანეთში, რამდენიმე წლის წინად, რუსის მმართველობის შემოსვლამდე სვანეთში, რამდენიმე მომაკვდავმა იწინასწარმეტყველა თურმე, რომ სვანეთს დაიპყრობს „წითელი და ქერა“ კაცებით ე. ი. რუსი, რომლის სახელი მაშინ არ სცოდნიათ.

თუ მომაკვდავს ენა არა აქვს ჩავარდნილი, იგი იძლევა პასუხს მისდამი მიმართულს კითხვაზე და თავის ფიქრით (თუ კი ფიქრი შეუძლია) ნამდვილ პასუხსაც, მაგრამ როდესაც გონებადაკარგულია, მაშინ კი ბევრს ახორებულს და არა საამო პასუხს გააგონებს თავის უმაღლურ დამკითხავებს. ამის დამწერი ბევრჯერ ყოფილა დამსწრე ამგვარ სცენებისა, როდესაც უკონი მომაკვდავს გიყივით, პირდაპირ მიუთითებია რომელიმე გარსშემოხვეულთაგანზე და უთქვამს: — შენ გაის ამ დრო მდე მოკვდები, რადგანაც შენი მიცვალებულები გემდურიან. — შენ ეუბნება მეორეს — რომელიც ეკითხება, ვაუშვილი მეყოლება თუ არაო, არა თუ ვაჟი არ შეგეძინება, ქალიშვილები რომ გყავს, იგინიც მოგიკვდება და შენც მალე მოკვდებიო. შენ — მიუბრუნდება მესამეს — მგზავრად არსად წახვიდე თორემ გზაზე მოკვდები...

რისთვის ეწევა ზემოთ ნაჩერებ სამს კაცს მომაკვდავის მიერ „ნაწინასწარმეტყველევი“ უბედურებანი, — ამისი მიზეზი ერთია ყველასათვის: სახელდობრ ის, რომ მათი მიცვალებულის სულნი ემდურიან მათ. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხალხის აზრით მიცვალებულთ უფლება აქვთ სიკვდილ-სიცორ-5.

ცხლისა თავისიანზე. ამით აიხსნება ხალხში შემოლებული და
სტიკი წყევლა: „აი შენ კი წაგილონ შენმა მკვდრებორა“.

თავდება ეს კითხვითი წვალება მომაკვდავისა. ეჭიშვილი აღმართება,
ჰერცოგი გონიერი არის, მეტყველების ნიჭის. საჭიროა ზიარება. მო-
მაკვდავს აზიარებდა პაპი; თუ ეს უკანასკნელი არ მოხვდებო-
და, მაშინ ერის კაციაც ნება ჰქონდა, როგორც თავისი, ისე
სხვისი ზიარებისა, მხოლოდ ზიარების ნაწილი უნდა ჰქონდა
პაპისაგან მიცემული, რომელსაც ხალხი ეძახის „პაპის წამილს“,
(პაპა უაგ).

ერის კაცით ზიარება სშირი იყო სვანეთში, მეტადრე რო-
დესაც კაცს სიკვდილი გზაზე მოეწეოდა. მგზავრი და მონადი-
რე მუდამ თან ატარებდნენ „ნაწილს“ საჭიროებისათვის. სი-
კვდილის წინ ზიარება იყო პირველი და უკანასკნელი სვანისა-
თვის თავის სიცოცხლეში.

მომაკვდავს სულის ამოსვლამდე უცელიან ახალს ტანისა-
მოს; ესევე ტანისამოსი ჩაჲყვება სამარეშიაც. მოვიდა უკანას-
კნელი წამი სულის განტევებისა. ოჯახის უფროსი თავით უზის
მომაკვდავს, უწყობს მას პირისახეს, ე. ი. თვალებს უხუჭავს,
ტუჩებს უკრავს, ხელებს გულზე უკრავს და ფეხებს უჭიმავს.
როდესაც მომაკვდავი სულს დალევს, პირველი ხმა გლოვისა
(ხოლა ჰერ), „გლახა ხმა“ „ვაი“ უნდა წამოიძახოს ოჯახის
უფროსმა, რომლის შემდეგ დამსწრე ნათესაობა ასტეხს ერთი-
ანად ხმამაღლა ტირილ-გოდებას; როდესაც ტირილით გულს
მოიჯერებენ, ორა ან რამდენიც საჭირო იქნება სახლისკაცები
მკვდარს მოუკლიან: დაპარანენ, გაპარსავენ, ჩააცმევენ ტანი-
სამოსს, რომელიც დაბანვის გამო გახადეს და დასვენებენ
ფიცარზე საკაცეს ან კუბოს მომზადებამდე. მიცვალებულს
თავთან წმ. სანთლის კერახესს დაუნთებენ; იქვე ჭოხზე ჩამოჰ-

კილებენ იარალს (თუ მამაკაცია) ხანგალს, თოფს, დამბარებრ, ხმალს...

კაცის სიკვდილის ხმა ჩქარა გავარდება ხოლმე სამარტინოშვერა რომელიც შეტყობისთანავე მიღის მიცვალებულის სატიროლად და მის ჭირისუფალთან სამძიმრის სათქმელად (მანგვამა ლი-ქვისგ).

თვითონეული თემი, სახლიყაცობა ცალკ-ცალკე მიღის სა-ტირლად. ყველა მომტირალნი ერთად მიუტირებენ და მოკლედ, რაღანაც გრძლად ტირილი მოხდება დამარხვის დღეს, რო-დესაც მთელი საზოგადოება დაესწრება.

მიცვალებული რიგით მესამე დღეს იმარხება. ამ დღეების განმავლობაში მიცვალებულის ჭირისუფალი აცხობს პურს, ამზადებს არაყს, (სადადიანო სვანეთში ღვინოსაც) და ზოგგან სამარხოსაც საზოგადოების სადილისათვის დამარხვის დღეს. ამ დღეს ხალხი დიდი, პატარა, ქალი, კაცი — ყველანი მოდიან მიცვალებულის სატირლად, საფლავამდე გასაყოლად და შემ-დეგ სადილის საჭმელად.

მოგროვდა ხალხი სატირლად. მიცვალებული სახლში ასვე-ნია; მას გარშემო უსხედან ჭირისუფალი; ოჯახის წევრნი სა-ხლიყაცები, სიძეები, მათი შვილები, საზოგადოდ მახლობელნი ნათესავნი. ამათში მამაკაცები თმამოკვეცილნი, უსარტყელო, უქუდო და წვერმოპარსულნი არიან, ქალები კი თავშიმველნი, თმაგაწეწილნი და ძაძებში (შავებში).

მიცვალებულს კაცებზე უწინ ქალები იტირებენ. ამათ წინ მიუძღვის ერთი „მომტირალი“ ქალი (მუგვანე), გამოცდილი, რომლის განსაკუთრებითს ხელობასაც შეაღენენ ნაჩენები სა-ქმე. შესვლისთანავე მიცვალებულთან, ეს მომტირალი დაჭდე-ბა მიწაზე, მიცვალებულის ახლოს; გარს მოეხვევიან საზოგა-

დოების ყველა ქალები, მჯდომარენი აგრეთვე მიწაზე. მომტერ-
რალი ქალი მოთქმით დასტირის მიცვალებულს დაახლოებით
ამნაირად: „ოს ჩემი დღე (მოგემატოს) შენ! (სახელი უკავშირდეს).
ვაი! შავო ჩვენო ბედო, რომ დღეს შენ მკვდარსა გხედავთ! შენ
სახელოვანო და ახოვანო, შენ შენი საზოგადოების მასახელე-
ბელო და შენის თემის კოშკო (ბურჯო), შენ საზოგადოებისა-
თვის თავგანწირულო და შენი თემისათვის თავდაუზოგველო,
შენი ცოლ-შვილის (თუ პყავს) სიცოცხლევ და მონათესავეთა
დიდო ნუგეშო, შენ შენი სოფლისა და ეკლესიის ერთგულო,
მტრის დამმარცხებელო და არაოდეს დაჩაგრძის, სირცხვილის
„შემრჩენელო“ და სხვა და სხვა. ამის შემდეგ, მომტირალი ქა-
ლი დაიწყებს ერთი კიდითვან სოფლისა მეორე კიდემდე მე-
კომურთ ჩამოთვლას, სადაც ეპატიუება მიცვალებულს, ნახ-
სენებ მექომურთა ძველია და ახალს მიცვალებულთ (ეს სავალ-
დებულია მიცვალებულმა იცოდეს). მომტირალი სათითაოდ
ჩამოუთვლის მიცვალებულს და ანუგეშებს უკანასკნელს, რომ
იგინი (მიცვალებულნი) შესაფერის შემწეობასა და სამსახურს
გაუწევენ მას საიქიოს. მაგალითად, როდესაც მომტირალი რო-
მელიმე მიცვალებულ მონადირეს ახსენებს, დაუმატებს ხოლმე,
რომ იგი წინა მდებარე მიცვალებულს სანადიროდ წაიყვანს და
არ მოაწყენს; სხვისი მიცვალებული ბავშვები საკუთარი შვი-
ლების მაგივრობას გაუწევენ; მოქეიიფე მიცვალებული აქეი-
ფებს, ახალგაზრდა მიცვალებული ქალი არშიყობით შეიყო-
ლაშებს და სხვა მრავალი. ამის გათავების შემდეგ მომტირალი
დაიძახებს: „ვაი! შავო ჩემთ ყოფავ! (დაბნელებულო ჩემო სი-
ცოცხლევ) რომ შენ (მიცვალებულს) დღეის დღე მოგესწრო,
რომ სოფელ ქვეყანას მოგაშორა, შენს ეკლესიას, თემს, ცოლ-
შვილს, ძმებს, დებს, ნათესავებს“... აქ მომტირალი კილოს იც-

ვლის, სთხოვს ქრისტეს, იქ, საიქიოს, მან დაისვას თავის სუ-
ფრაზედ, აქ კარგი (ბეღნიერი) ფეხი დაეტოვებინ სუმშემარმა-
ვდილი მის ოჯახში ამითი შეწყდეს და კიდევაც დააბოლოვებს
მომტირალი. ამ ხნის განმავლობაში დანარჩენი ქალები მარტო
ქვითინებენ და ამითი აძლევენ ბანს მოთქმით მომტირალს.

გათავდა ქალების ტირილი; ახლა უნდა იტირონ მიცვალე-
ბული მამაკაცებმა, რომელნი აქამდის კარში იცდიან. მამაკა-
ცებსაც, როგორც დედაკაცებს, წინ მიუძღვით „მომტირალი“
მამაკაცი. შედიან სახლში მიცვალებულთან. გარს შემოერტყმი-
ან მიცვალებულს, ჭირისუფალს და ქალებს, რომლებიც
იქვე სხედან, თუმცა ტირილი გაათავეს. მწყობრად დამდ-
გარ მომტირალ კაცებს თავში უდგიათ მომტირალი მამაკაცი,
მომტირალი კაცი მოსთქვამს მსგავსად ზემოდ აღწერილის მომ-
ტირალის ქალისა; განსხვავება არის ტირილის დაწყებაში და
ხელის ხმარებაში კაცებისა. მაგალითად, მომტირალი კაცი და-
იწყებს მოთქმას შემდეგ ნაირად: „იი-ვაი! იი-ვაი ბედს
მიშგვაა!“ (ვაი და ვაი ჩემს ბედსა!) ამასვე იმეორებენ ერთად
და ერთის ხმით ყველა კაცები. ზემოდ მოყვანილ სიტყვების
დროს მომტირალი და მის გვარად დანარჩენებიც ორივე ხელს
ასწევენ, თითების ბოლოთი შუბლს შეეხებიან ორჯერ ზედი-
ზედ, მერე ჩამოისობენ იქით-აქეთ ყბებზე და ნიკაპის ბოლოს
ხელის თითები ერთად მოხვდებიან. ასე გრძელდება ტირილის
გათავებამდე. ეს იყო ძველი სვანური ტირილი, რომელიც უკა-
ნასკნელ წლებში სადადიანო სვანეთში რაჭა-ლეჩუმის გავლე-
ნით და სადადე შექელიანო სვანეთში — სამეგრელოსა, პირველ-
ში სულ შეცვლილა, რაჭა-ლეჩუმურად და უკანასკნელში
ბევრად განსხვავებულა ძველი ტირილისაგან. დღეს ამ ტირი-
ლის ფორმას კაცი ხედავს მხოლოდ თავისუფალ სვანეთის სა-

ზოგადოებებში და განსაკუთრებით კი უშგულის ქართველობის
პიგდიონია

ტირილის გათავებისას მიცვალებულს პაპები წესს აუგებენ
(ლიგლობ) გალობა და შემდეგ გაასვენებენ დასამარხად. მი-
ცვალებულს მთელი ხალხი მიჰყვება საფლავამდე ამ რიგით;
მიცვალებულს წინ მიუძღვის ერთი კაცი, რომელსაც ხელში
უჭირავს ჯამის მსგავსი ხის ჰურპელი და შეგ უდევს სამი პა-
წია პური; პურებს შუა დგას ხის სტაქინი თაფლით. ამ ჰურ-
პელს თავისი მოწყობილობით სვანურად ჰქვია „ლევდუნი“
და წამდებ კაცს „ლევდუნი მუესგო“. ამ კაცმა საფლავამდე
ისე უნდა იაროს, რომ უკან არ მოიხედოს, თორემ თუ მოიხე-
და, კიდევ მოკვდება ვინმე მიცვალებულის ოჯახშით. როცა სა-
ფლავთან მიაღწევს, ჯამს იქვე დასდგამს და ამითი თავდება მი-
სი როლი. ამ კაცის უკან მიაქვთ მიცვალებული, მას მისდევენ:
პაპები, ჭირისუფალი, ქალები და ბოლოს მამაკაცები ზარით.
მამაკაცები ქუდმოხდილნი არიან და ჯოხები ბეჭერი აქვთ გა-
დადებული იმნაირად, რომ ჯოხის ქვედა წვერი პირდაპირ ცის-
კენ არის მიშვერილი.

როცა მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებენ, მეზარეები
ზარს შესწყვეტენ. ქუდმოხდილი ხალხი, ჭირისუფალს გარდა,
დახურვამდე ქუდს მიწაზე დააგდებს, მარჯვენა მუხლს და-
აბჯენს და შემდეგ დაიხურავს. საფლავზე ჩემბიან მარტო მკ-
საფლავენი; სხვა ხალხი ჭირისუფლითურთ მიცვალებულის
ოჯახში ბრუნდება, სადაც უკანასკნელმა (ოჯახშა) სადილი უნ-
და აჭამოს ხალხს. ამ სადილს ეძახიან „ლაშთხვაალ“ (სამარხი
სადილი) და შესდგება პურისა, სამარხოს და არაყისაგან. ამ
სადილზე წილი ყველას აქვს და თუ ვინმე ოჯახიდამ პირად ვერ
მივიდა სადილზე, მასპინძელი ვალდებულია კერძი გაუგზავნოს

სახლში. სანამ ხალხი ჰამას შეუდგებოდეს, ერთ სოფლებით
განს გამოუტანს ვინმე მიცვალებულის ქუდს და მარტინიარიშვა
მელთაც ნახსენები კაცი გამოართმევს, შერე მიუბრუნდება იქვე
მდგომარე ჰირისუფალს და შემდეგის სიტყვებით დალოცავს:
„ღმერთო ამით შესწყვიტე ჰირისუფლის ოჯახში სიკვდილი და
სხვა ჸირი, კარგი ფერი შეუცვალე (ე. ი. ჰირი მხიარულებად
შეუცვალე)“ და გადასცემს ქუდსა და ქამარს კუთვნილებისა-
მებრ, რომლის შემდეგაც ჰირისუფალს ნება აქვს მათი დახურ-
ვა-შემორტყმისა. სადილად დამსხდარი ხალხი ამ წესის გათა-
ვებამდი ჰამას არ იწყებს.

სვანეთში არსებობს ჩევეულება ჰირისუფლის შეწევნისა-
ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში ეს შესაწევარი (ნაწვარ)
შეადგენს მანეთის სალირალს არაყს, მოსავალს, წმ. სანთელს,
მარიოლს და სხვა. ეს უნდა მოუტანონ ჰირისუფალს სახლიყა-
ცებმა თვითონ კომლმა ცალკ-ცალკე და სხვა ახლო მონათესა-
ვეთ. ცხენისწყლის ხეობაში მდებარე სვანეთში კი ეს ჩვეულე-
ბა შეცვლილია. აქ ახლონათესევი წაიღებს დამარხვის დღეს
მიცვალებულთან იმდენ ხორაგეულობას: სასმელს, პურს და
სამარხოს, რამდენ კაცსაც წაიყვანს „ასაბიად“. წამყოლ კაცე-
ბის რიცხვი 10—20-მდეა. როდესაც მიცვალებულის სახლს
მიუახლოვდებიან, ზარს დაიწყებენ და ისე შედიან მიცვალე-
ბულთან სატირლად. ხორაგეულობა თანვე აქვთ. მიცვალებუ-
ლის დამარხვის შემდეგ ამ ხორაგეულობას მიცვალებულს
უკურთხებენ, შემდეგ დასხდებიან სადაც ჰსურთ და თავიანთ
მოტანილს თვითონვე შესვამ-შესჭამენ, რომლის შემდეგ სახლ-
ში ბრუნდებიან.

თუ კაცი თავის სოფლის გარე, მგზავრობაში, სანადიროს,
ან საღმე სხვაგან მოკვდა და თავის სოფელში ასევენებენ დასა-

მარხავად, მაშინ საჭიროა წინ უძლოდეს მას პაპი, უძლიერი კუთხი
ჭიანურით ხელში და კიდევ ერთი სხვა კაცი, რომელიც კულტურულ
ჰყავს მამალი. სვანები ფიქრობენ, რომ მიცვალებულის სული
ამ დროს მამალში შედის და მიჰყვება ჭიანურის ხმას სასაფლა-
ომდე. უამისოდ კაცის სული მიცვალებულის ადგილას რჩება
და გზას ვერ აგნებს საიტის.

პირველ შაბათს, რომელიც მოჰყვება მიცვალებულის დამარ-
სვას, ჭირისუფალი უკლავს საფლავზე პატარა ცხვარს, ესრედ-
წოდებულს „ვერმილ ლეუფი“ (მიწის მსხვერპლი). ეს ცხვარი
ათ ყველჩართულ პურიანად (ლეფანე) ეძლეოდა უწინ პაპებს
და ახლა მღვდელს. მეორე ამხელა ცხვარი საფლავზევე უნდა
დაეკლას მიცვალებულს ერთი წლის გასვლის შემდეგ. ამ
ცხვარს „პეტრეს (მოციქულის) მსხვერპლს“ ეძახის ხალხი
(პეტრე ლეუფი). ცხვრის ტყავი და ათი ყველიანი პური აქაც
პაპებსა და მღვდელს მიაქვს.

მამაკაცებს მიცვალებულზე სამი კვირა უნდა ემარხულათ,
სახსნილო არ უნდა ეჭამათ. შერევის დროს მიცვალებულს
სუფრა უნდა ეკურთხოს, რომელზედაც ჰყლავენ წვრილფეხ
საქონელს და პატიუობენ მახლობელ ნათესავთა. დედაკაცე-
ბის მარხულობის ვალა კი ერთი წლიდან სამ წლამდე გასწევ-
და. მე ვიცა ერთი მოხუცი დედაკაცი, რომელიც ცხრა წელი-
წალს იყო მარხულად, რადგანაც ზედი-ზედ ერთი მეორის შემ-
დეგ ყოველ სამის წლის თავზე, მოუკვდა ორი შეილი და
ქმარი.

ქალების შერევის დროსაც, როგორც კაცებისას, მიცვალე-
ბულს საკურთხი უნდა გაუკეთდეს; განსხვავება აქ მარტო
ხარჯში იყო, ესე იგი ქალების შერევის დროს უფრო ბევრი
დაპატიუებული ხალხი ეყოლება ჭირისუფალს და ამისათვის

მეტი ხარჯიც მოუვა. მოხდება ისეც, რომ რამოდენიმეტკული ერთი და იმავე მიცვალებულისათვის მარხული, (დუდუ-ცოლუას დები) გაისძილებენ.

როდესაც მასპინძელს საკურთხი მზადა ჰქონდა, პაპი (ახლა მღვდელი) აკურთხებდა მას. საკურთხი გაჩაღებული უნდა ყოფილიყო წმ. სანთლებით. კურთხევის შემდეგ პაპი ორყიანს კათხაში ხორცის ნაჭერს ჩააგდებდა და მიაწვდენდა შესარეველ ქალს, რამდენიც იქნებოდნენ. ქალი ჯერ მოთქმით იტირებს მიცვალებულს და მერმე მოსვამს კათხიდან არაყს, რომელშიაც ხორცის ნაჭერი ჩააგდო პაპმა.

ერთი წლის განმავლობაში მიცვალებულს მისი ჭირისუფალი ყოველ სადილ-გახშამზე მიუჩენს ხოლმე ერთი კაცის ჯერ კერძს სასმელ-საჭმელს. სანამ ჯალაბი (ოჯახობა) ისაღილებს და ივახშმებს, მანამ ერთი კაცის ჯერს დააწყონენ ცალკე სუფრაზე, ხსნილში სახსნილოს და მარხაში სამარხოს; რაიმე სასმელს, თუ აქვთ, თუთუნიან ყალიონს, თუ მიცვალებული ეწეოდა. ამავე სუფრაზე დასობენ ანთებულ წმინდა სანთელს და ერთი ოჯახის წევრთაგანი, რომელიც ცოტა მოშორებით დგას საკურთხ სუფრაზე, შეუთელის მიცვალებულს შენდობას შემდეგის სიტყვებით: (რასაკვირელია სვანურად) „შენდობილი იყავ, შე საბრალოვ, ქრისტემ გაგხადოს მისი სუფრის მონაწილედ. თუ რამე გეკადრებოდეს, მიიღე ჩვენგან, რასაც ჩვენ ვერ გაეწვდეთ შენი სურვილის დასაქმაყოფილებლად, ის ქრისტემ შეგისტრულოს. და გთხოვთ ჩვენი მზე და მფარველი იყო, რომ დავრჩეთ შენის სულის მახსენებლად და შენდობის შემთვლელად“. გათავეჯისას კაცი ერთს შემოტრიალდება, დაიჩოქებს, შიგა საკურთხთან, ერთს ლუქმას იქიდან ცეცხლში ჩააგდებს და კიდევ-გაათავეს საქმეს. სავალდებულო საკურთხად მიცვა-

ლებულისა ითვლება კიდევ „ლაგვანი“, რომელიც ბორჯომის
მაქეს „დროებაში“ 1884 წელს. თუ ოჯახს შეძლებულია უძრავი
საც მეტს დააკურთხებს მიცვალებულს ისა სჯობია.

მამაკაცები მიცვალებულზე თმას იყენებენ (ჩაჩ) ერთს წელს;
შავებსაც წლის პოლოს გაიხდიდნენ. ქალები ზოგგან შერევის
დროს იცვლიდნენ შავებს, ზოგგან შემდეგ.

სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და
ცრუმორწმუნობანი
(ზეპრინტილია თავისუფალ სვანეთიში)

შობის წინა ღამეს, ნავანშმევს ოჯახი ვაეიშვილს ჩააცმევს
ქალურად, კერიას უკან დასვამს, წინ რძით სავსე ქოთანს დაუ-
დგამს, ვაეიშვილს ყველს მოუტანენ და შეაჭმევენ. ამ ჩვეუ-
ლებას ხალხი ეძახის „ტუნუ ლოშვინ ლისგვრე“ (ქოთნის უკან
ჯდომა). რას ნიშნავს ეს ჩვეულება? — ხალხმა არ იცის.

ნათლისლება დღეს იმ ჭურჭელში, რაშიაც მღვდელი (უწინ
პაპა) წყალს აკურთხებს, თვითეულ მოსახლე ნიგოზს ჩააგდებს.
ნიგოზზე მობმულია საღვისი ძაფით. ამ ნიგოზს და საღვისს
მოსახლე წაიღებს ყანაში, როდესაც გაზაფხულზე ხენას დაიწ-
ყებს. ღამე ნიგოზსა და საღვისს ნაკვალავში დაჰფლავს. მეორე
დღეს ნიგოზს ყანაში დასტოვებს, საღვისს კი სახლში წამოი-
დებს. ხალხის აზრით, ამის შემდეგ მის ნახნაც-ნათესს უწმინ-
დურება და ვნება არ შეეხება.

ნათლისლების დღესვე ნაკურთხის წყლით მოადედებენ წმ.
პურს. ამ ცომიდან გამოაცხობენ შვიდ სეფისკვერის თდენა

პურს, შუაში გახვრეტილს. ამ პურს პქვიან „კირკადოლის“¹ შვიდ „კირკადოლს“ ბაწარს გაუყრიან, ჩამოპქიდვიც და მართვა-სახლში, უმეტეს ნაწილად კოშკში და შეინახავენ დიდ მარხვა-მდინ. დიდ მარხვის ყოველ კვირა დილას ოჯახი თავის წევრთა შორის გაინაწილებს ერთ-ერთ კირკადოლს და მიიღებს, რო-გორც ევლოგიას. განაწილებამდე „კირკადოლს“ რომელიმე წევრთაგანი სამჯერ ჩამოაგდებს მაღლიდამ კერაზე გადაფარე-ბულ ბრტყელ ქვაზე და სამჯერევ ამბობს: „აშუ ამშეკედელი არტა-კვარტა ლინჩალ“ (ასე ჩამოვარდეს აგდებული დიდი ვარხვა).

„კირკადოლს“ სკამენ ხელ-პირ დაბანილნი ამნაირად: მარ-ცხენა ხელში დაიკერენ, ხელს თავზე გადიდებენ და მარჯვნივ ჩაიდებენ პირში.

რაღვანაც დიდმარხვაში აღდგომის კვირიაკეს გარდა ექვსი კვირიაკეა, ამისბოთვის მეშვიდე „კირკადოლი“ რჩება. ამ მე-შვიდე „კირკადოლს“ შეაბამენ გოდორს, რომლითაც თესლი დააქვთ ყანებში. რომელსამე ყანის მოთესვის დროს „კირკა-დოლს“ ცოტ-ცოტას მოფშვნიან-მოფცქვნიან და თესლში გა-ურევენ ხოლმე ნიშნად თესლის განშემნდისა. ამავე დღეს ნაკურ-თხის წყლით მოზელენ ნაცარს, რომელიც ოჯახს შენახული აქვს წლიდან წლამდე და ათაზმას მაგივრობას სწევს. ამ ნაკურ-თხის წყლით მოზელილ ნაცარს ეძახიან „იკურდან“ (იორდანე) და ხმარობენ ყოველ იმგვარ შემთხვევაში, როდესაც ეკლესი-ურის კანონით აიაზმაა საჭირო: დაფშვნილს ნაცარს იმგვარად მოაყრიან ოჯახში, როგორადაც აიაზმას წყალს მოასხურებენ ხოლმე.

1 კირკადოლ — გორგალი.



უძლების კვირის წინა პარასკევის დილით ერთი გამოცველება-
გება სხვების აღგომამდე პერანგის ამარა და სამჭერა-შემთხვე-
ლის სახლს; ხმა მაღლა და გრძლად ამზობს შემდეგს: „არინ
კარინ, თხერე მუყლიპ სავია ჯვეგთე, ზაი მახად უშგულთე,
ცხამ ი ნახრექ მერმა ქვეყანათე.“ „არინ კარინ“ არ ითარგმნე-
ბა, პირლია მგელი ოსების ჯოგისაყენ, წლის მოსავალი უშგუ-
ლისქენ, ღვარძლი და ცხამი (ღვარძლის მსგავსი მცენარეა) სხვა
ქვეყანაში. როდესაც ბავშვი სახლშემოვა, ერთი დღედაკაცი
სხვენს ჩამოხეეტავს, ნახვეტ მჟვარტლს ჭურჭელში მოაგრო-
ვებს, რამდენი სულიც ოჯახში იქნება, იმდენ ღერს ქერის ჩა-
ლას მოაგროვებს და იმას და მჟვარტლს წაილებს სოფლისაგან
დანიშნულ ადგილას, სადაც ჩალას ცეცხლს წაუკიდებს,
მჟვარტლს ზედ დააყრის და ამბობს: „ასე დაიწვას ჩემი ოჯახის
სწეულებაო.“

უძლების კვირის შაშათს ყოველი მოსახლე თხელის ცომი-
საგან სხვადასხვა პირუტყვის სახეს გააკეთებს, ან უკეთ
ვსთქვათ, დახატავს ბაკის კედელზე ხარის, ძროხის, ცხვრის,
თხის, ცხენისა და სხვა სახეს. ამ პირუტყვების სახეების დახატ-
ვა ბაკის კედლებზე, ხალხის აზრით, ხელს უწყობს პირუტყვას
გამრავლებას. ამავე დღეს მოსახლე აცხობს ერთ ყველიან პურს,
რომლის ზედაპირს ყალიონის ტარის მსგავს, გულგამოცლილი
ჩხირით აპრელებს; ამ პურს ყველიერის ხუთშაბათს გაინაწი-
ლებს ოჯახი სულზე: რომელს ოჯახის წევრსაც რამდენი კრელი
შეხვდება, იმოდენი პირუტყვი შეეძინება თავისთავად იმ წე-
ლიწადსაო.

ხორცის აღების ღამეს, ნავახშმევს, ხელპირდაბანის შემდეგ,
მამაკაცები ასრულებენ „ალმას“, რომელიც მდგომარეობს შემ-
დეგში: მამაკაცები აიღებენ ხელში თითო დანას, წაურევენ

ღველფში და ამბობენ: „ალმას“! „ალმას“! ჩემი დანა ალმას, ჩემი ხანგალი ალმას, ჩემი ლეკური, თოფი, ფიშტო, ნაჯახი, ცელი“ და სხვა და სხვა. დედაკაცები კი ყველიერის ალმას მეს ასრულებენ ამგვარ „ალმას“ იმ განსხვავებით, რომ დანის მაგიერ ნემსი უჭირავთ ხელში და ქალის ხელსაქმეს ჩამოსთვლიან; მაგალითად, ქალი ამბობს: „ჩემი ნემსი ალმას, ჩემი მაკრატელი ალმას, ჩემი ნაშგალი ალმას“ და სხვა.

თევდორობა დილას მოსახლე აცხობს წმ. პურის ცომისა-გან იმდენ „ბაციქს“ (ბაციქუქუ), რამდენი ვაჟიშვილიც ჰყავს ოჯახში, თუ ეს ვაერიშვილები ხნით თორმეტის წლისაზე შეტნი არ არიან. „ბაციქი“ ჰქვიან ცომისაგან გაკეთებულს რომელიმე ოთხფეხის საქონელის, შინაურის, გინა გარეულის და ფრინველის სახეს; მაგალითად, ხარის, ვერძის, ვაცის, ცხენის, ჭიხვის, არჩის, მტრედის, გვრიტის და სხვა და სხვა. თუ მეოჯახეს ვაჟიშვილი არა ჰყავს, სამი „წაციქი“ მაინც უნდა გამოაცხოს: ერთი შინაური საქონლის სახე, მეორე გარეულისა და მესამე ფრინველისა. „ბაციქებს“ რომელიმე მამაკაცთაგანი აცხობს, ცოტა ოსტატობა უნდა და ყველას არ შეუძლიან, როდესაც „ბაციქები“ მზად არის, რამდენიმე ოჯახის შვილები თავს მოიყრიან რომელსამე სახლის ბანზე, რომელსაც სვანები დარბაზს ეძახიან. დარბაზში თეითონ ბავშვები შეავეღრებენ ბაციქებს წმ. გიორგის, რომ მან მისცეს მათ გაზრდა-გახარება და მერმისაც თევდორობას (ლითოლური) შშვილობით მოასწროს. შემდეგ შელოცვისა „ბაციქებს“ ერთს ადგილს დააწყობენ ბავშვები, ბაწარს ჩამოჰკიდებენ სართულს ქვეშ გადადებულს დირეზე და გაიკეთებენ საქანელას (ლიგიწალ); ქანაობენ სანამ არ დაიღლებიან. შემდეგ დასხდებიან იქვე, „ბაციქებს“ შესჭამენ და თავთავიანთ სახლებში წაელენ.

შუა დიდმარხევის დღეს, სახელდობრ ოთხშაბათს, მოსახლეობა აცხობს ერთ დიდ პურს, რომელიც ოთხ კაცს ეყოფა. ამ გურის ხალხი ეძახის „ფანს“. ვახშმად ამ პურს დასჭრიან ზოგიერთი რისტრა ლად, რამდენი ყანაც მეოჯახეს აქვს. პურს სჭრიან დანით. დავრის დროს კაცი მარცხენა ხელით პურს დააჭერს დანას, რომელის ყუაზედაც მარჯვენა ხელით მარილის სამტვრევს ქვას ურტყამს და ამბობს: ასე გაიჭრას ჩემი ყანის (დაასახელებს თვითონეულად) ჭიათუ, ან სათიბის ჭიათი.. ამ პურს ვახშმობამდე ოჯახი უკურთხებს „უივეივას“ და „ვეჟინას“.

აი რას მოვეითხოობს ხალხი ხსენებულ „უივეივასა“ და „ვეჟინაზე“: ძველად ერთი მგელი შემოსჩვევია სოფელს და ბავშვები სულ დაუტაცნია. ამ სოფელში ყოფილა ერთი კაცი, სახელად „უივეივა“, რომელსაც ჰყოლია დელისერთა შვილი „ვეჟინა“ ან „ვოჟინა“. „უივეივას“ მგლის შიშის გამო თავისი ვაჟი „ვეჟინა“ პურის მსგავსად მოწნულ გოდორში (ქუფ) ჩაუმწყვდევია. ამ გოდორს ხალხი ახლაც ხმარობს ხორბლის და ფქვილის შესანახად, როგორც კიდობანს. თვითონ „უივეივა“ გოდორს ახლო მიმალულა; როდესაც მგელი მოვა — უფიქრია — და დაეცემა ჩემს შვილს, მაშინ ეცება მგელი მოვკლაო. მგელი მართლა მოსულა, ჩამხტარა გოდორში, „უივეივა“ ხანჭლით მივაჩდნია მგელს, მოუკლავს, მაგრამ უნებურად შვილიც — „ვეჟინაც“ გამოუფატრავს, ამ უბედურებს მოელი სოფელი შეუწუხებია, რადგან „უივეივას“ ამ ერთი შვილის მეტი არა ჰყოლია რა და წინადადება მიუცია „უივეივასათვის“ — რაც გინდოდეს გვთხოვეთ. „უივეივას“ უთხოვნია, რომ ყოველს შუა დიდმარხევაში მას უკურთხეთ სუფრაო და პური „ფან“ მისდა სახსენებლადო. ხალხი ასრულებს „უივეივას“ ნაანდერძევს.

ბზობა საღამოს თვითეულის სოფლის ქალიშვილები, რომელიც გელნიც ჯერ პასაკში არ შესულან, თავს მოიყრიან სოფლის/ უკაცურს სახლში და გალობის ხმაზე ლაღადებენ (ლარიში ჩატარებული შემდეგს: „კირილეო (კირილეისონ) ქრისტე, ამა და ამ ჩემი შიცვალებულს (დაასახელებს) ცოდვანი მისნი შეუნდევ: ამა და ამ ოჯახის წევრს ან ნათესავს (დაასახელებს) დღეგრძელება და ყოველ საქმეში გამარჯვება მიეცი“ და სხვა და სხვა. ამგვარად ყოველი ქალიშვილი თავის ოჯახის მიცვალებულებს შენდობას უთვლის და ცოცხლებისათვის დღეგრძელებას სთხოვს ქრისტეს. გარეშე კაცს, ვისაც მოხსენებს უნდა, შეუძლია ქალიშვილს მისცეს მოხსენებისათვის კაკალი და თუ ეს არა აქვს, მარილის კვნიტი-ნატეხი. ეს სასყიდელი, თუმცა მცირე, მაგრამ საჭიროა, რომ ქრისტემ შეიძმინოს ქალიშვილისაგან ხსენება. ამ „ლილლოვის“ ქალიშვილები იმეორებენ ენების კვირაში, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა; როდესაც არ ვარგაო.

დიდ შაბათს ქალიშვილები ღამეს ათევენ ერთად უკაცურს სახლში. აღდგომა დილას ყველანი მიღიან ეკლესიის ახლო და სანამ მღვდელი (უწინ პაპა) წირვას არ გამოიყვანს, მანამ ესენიც არ ანებებენ თავს თავიანთ „ლილლოვის“; სხედან ფეხმოკვილი: განძრევა და ადგომა არ ვარგაო.

ბზობა საღამოს ყოველი მოსახლე მოიტანს ტყიდამ ერთს კონა ეკალს; თითო ლერს ეკლისის გაარჭობს კარებში და სარკმელებში ნიშნად იმისა, რომ მავნე სულები (გოგვერ) არ შემოვიდნენ ოჯახშიო. ზოგან ვნების კვირას „ეშმაკების“ კვირას უწოდებენ (ჰერიალე ნაგზი). ამ საღამოსცე იწყება ეგრეთ-წოდებული „ლიროკინალ“ (განდევნა), რომელსაც რაჭა-ლეჩებუმ-იმერეთში „არული კუდიანებისას“ ეძახიან. უფროსი ოჯახისშვილი იღებს ნაჯახს, დანარჩენი მამაკაცები, ბავშვები მუ-

გუბილებს წავლებენ ხელს და ყველანი გარბიან გარეთ შემდეგის წყველა-კრულვით: „ფუ! ფრთები დაგეწვათ მავრე სტელებს! იცნობებით (პირდაპირ ცნობილები ხართ) როგორც მარტოსადაც შავი ცხვარი, თორმეტ მთას იქით იყოს თქვენი სსკმერსა, წრ. გრ. ორგის ბეჭდით დადაღული ხართ, ბასრის იარაღით დასერილი გავთ ყველაფერი, ფიქალს დააღგით კბილები, ჩვენ კი ჯვარი გვეწეროს. წყლის ქვიშისა და ფიქალის გარდა საჭმელი სხვა ყველაფერი ამოგიწყდეთ“. ამ დროს უფროსი ნაჯახის ყუას ქვაზე დაარტყამს რამდენჯერმე და იტყვის: „ასე გახმეს თქვენი მოზარდი თაობა.“ სხვები მუგუბლებს დაარტყამენ ქვაზე და ზემოთ ნათქვამსვე იმეორებენ. ამის ასრულებს ყოველი ოჯახი ყოველ დილა-საღამოს კნების კვირის ორშაბათს, ხამძაბათსა და ოთხშაბათს. ოთხშაბათს დაწოლის წინ ერთი დედაკაცი იღებს ქონის ნაქერს, მოპყვება და მთელს ოჯახს წააცხებს ქონს შებლზე, კისერზე, გულზე, ხელისგულზე და ამბობს: ღმერთმა ბევრს აღდგომას დაგასწროთო.

ღიდ ხუთშაბათს დილის ესევე დედაკაცი ყველაზე აღრე აღგება, შევის მატყლისაგან ძაფს ღარითაც უტრად. როცა ოჯახი აღგება, ძაფი მზად არის; ქალი ხმას არ იღებს, მივა თვითეულთან და ამ ძაფს შეაბამს მაჯაზე, ქალებს წვივებზედაც შეაბამს, შეაბამს აგრეთვე რამდენიმე ოჯახის ავეჯეულობას. ამის გათავების შემდეგ ქალს ნება აქვს ილაპარაკოს. ეს ძაფი ყველას ზედა აქვს აღდგომა დილამდინ; წირვიდან დაბრუნების შემდეგ ძაფებს ცეცხლის აგდენენ და ამბობენ: „ასე დაიწვას ჩემი სნეულობაო“, ზოგგან სნეულობის მაგიერ დიდმარხებას ამბობენ.

გიორგობას ოჯახი არაფერს არ გასცემს სახლიდგამ სანათნოვროდაც და არც რაიმე თავის ნივთს დასტოვებს სხვაგან. ამ დღეს ჩვეულება უკრძალავს ხალხს მაღლა ხმით დაძახებას

სახლში მყოფ კაცისას გარედან. ამავე ჩვეულებას მისდევს ხელ
ხი: ა) ხენის დაწყების დროს, ბ) ახალწელიწადს, გ) ასტრიმზუა
როდ წასვლის დროს, დ) კალოობის დაწყების დღეს და უცველესობის

გაზაფხულზედ, როდესაც საქონელი პირეელად მიჰყავთ სა-
ბალახოზე, მწყემსი პატარა რკინეულობას დააგდებს მინდორში
და იტყვის: „სანამ მე შენ არ მოგძებნო, მანამ ჩემი საქონელიც
ნუ მოუძებნია ნადირსაო“.

როდესაც ოჯახიდან ვინმე მიღის მგზავრად, კარში გასვლა-
ვდინ მას ფეხებს ქვეშ ანთებულს მუგზზალს დაუგდებენ. მგზა-
ვრი მუგზზალს გადააბიჯებს, იქვე წალმა ატრიალდება და პირ-
ვერის წერით გზას დაილოცავს. ამავე ჩვეულებას ასრულებენ
ყოველთვის, როდესაც მონადირე სანადიროდ მიღის, ან ოჯახი-
დან რაიმე შესაწირავი, შესალოცი მიაქვთ ეკლესიაზე. პირველს
ორ შემთხვევაში მგზავრს ან მონადირეს მავნე სული არ მიე-
კარებაო, უკანასკნელს შემთხვევაში კი მოკიდებული მუგზზა-
ლი ხალხს განწმენდის სამუალებად მიაჩინია.

ნოემბერში თხუნელას ამონათხარი მიწა მოაქვს ხალხს მინ-
დებილამ, ამ მიწას ჭირნახულით სავსე კიდობნებს და სხვა
ჭურჭლებს ზემოდამ აყრიან ცოტა-ცოტას. ხალხს დავიწყებული
აქვს ამისი მნიშვნელობა.

ზოგიერთ სოფლებში ორშაბათს მონაწველ ძროხის რძი-
საგან გაეკეთებულ ყველს მარტო ქალები სჭამენ, კაცებს არ ეჭ-
მევაო, ძროხებს აწყენსო, ე. ი. ცოტას მოიწველიანო. ძუძუ-
მწოვარა ბავშვს, თუ იგი ღამით სადმე წაიყვანეს სახლიდამ, ნახ-
შირს ან მუვარტლს წააცხებენ შუბლზე, მავნე სული (მათხაფ)
არ მიეკარებაო; ამავე მიზეზით ბავშვს აკვანში უთუოდ რაიმე
რკინეულობა უნდა ედოს. ზოგიერთ გორებზე მოგზაური ხის
მოტეხილ შტოებს აგროვებს, წალმა ტრიალდება იქვე და კარგს



მგზავრობასა სთხოვს ღმერთსა. ოდიორობას ქალი  ცოტა თმას მოიკრეპს, უამისობა არ ვარგაო; აგრეთვის შემთხვევაში ცხვარს ან მთლად პარსავენ, ან ცოტა მატყლს მაინტერესონა — ვენ. კვირა დღეს თმის მოპარსვა არ ვარგა, ღვთის წინაშე ადასო. ორშაბათ დღეს არც თავის ვარცხნა, არც კერვა არ ვარგა, საქონელს ნადირი შესჭამსო. ჩოცა საქონელი ღამე გარეთ დარჩება, ოჯახი სამფეხა სკამს ბაწრით ჰქონავს, ნადირს პირი შეეკრებაო. სამშაბათს და ხუთშაბათს მზის ჩასვლის შემდეგ ქალები არ საქმიანობენ: საქმიანობა საქონელს შეამცირებსო. 20 დეკემბრიდან 7 იანვრამდე ქალები კანაფს არ ართავენ — არ ვარგაო. ცხრა მარტამდე მინდვრებში თოვლს არ მოაყრიან მიწას (**ლიდვე**
ცე) მარტში ავდარი იცისო. (ზოგიერთ სოფლებში, თოვლი ჩომ ჩქარა დადნეს და ხვნა არ დაუგვიანდეთ, თოვლს ზემოდან მიწას აყრიან, რის გამო თოვლი უფრო ადრე დნება).

მთვარეს დიდ მნიშვნელობას იძლევს ხალხის ცრუმორწმუნეობა. ხალხმა ზეპირად იცის, რამდენი დღის მთვარეა კარგი მოგზაურობისათვის, კურტლის-კიდობნის, კურის ასაღებად, მაგალითად, სამგზავროდ უყვართ 3, 6, 7, 10, 16 და 20 მთვარე; კურტლის ასაღებად მთვარე 9-დან 20-მდე, ე. ი. სავსე მთვარე. მოგზაურობისათვის ხალხი ყველა დღეს ორშაბათს ამჭობინებს, თუ ამ დღეს მთვარე შეიძი დღისაა.

ღორების პატრონად ხალხი რაღაც „ლაპატრას“ სთვლის. მეისრობას ყოველი მოსახლე ღორისა ჰქლავს, მის ენას და ერთს პურს საღორეს კარზე შეალოცვენ „ლაპატრას“, რომ ღორები გაამრავლოს.

ცხერების გამრავლებას ხალხი ეხვეწება „სარეკელ დე-ცეშს“, (დეც ქართულად ცაა). ნადირის მოცემას მონადირე

სოხოვს წმ. გიორგის, „დალს“, „აფსათს“ და „სვიმ-ბერძობა-
რიუსული გამოცემისათვეს“.

როცა სავსე კიდობანის ახდა უნდათ, პირველად გამოაც-
ხობენ ერთ პურს, რომელსაც მეზობელი ქალი გობშივე უჩქ-
მეტს სამივე გვერდზე ცერით და სალოკი თითით ერთად. სამის
თითით, რომლითაც პირველს ვიწერთ, შუაში მოჰკიდებს ხელს
და თითების სახეს დააჩენს. როცა ეს პური გამოცხვება, რო-
მელსაც „ლეშვნის“ (დახემსებას) ეძახის, მთელი ოჯახი ჩამო-
ირიგებს, ცოტ-ცოტას ყველა დაიხემსებს, მოჰკიდებს ნაპირებზე
და ერთი მეორეს გადასცემს. დახემსების დროს ფეხქვეშ ყვე-
ლას დანა და ნახშირი აქვს მოტანილი და ამბობს: „ლმერთო,
ბარაქიანი ჰქენი ჩვენი კიდობანიო!“ ამავე დროს აცხობენ მე-
ორე „ლეშვნისაც“, რომელიც გარეშე კაცს, ვისაც ოჯახი ერთ-
გულ და ბეღნიერ კაცად იცნობს უნდა ახემსონ. როდესაც ეს
პური გარეშე კაცთან მიაქვთ, კალთას გადააფარებენ, ცამ არ
დაინახოსო, არ ვაჩვაო.

ძნით ჩაშლილს კალოს ნაჯახით ან სხვა რაიმე რეინეულობით
სამჯერ შემოუვლიან და შემდეგს სიტყვებს ამბობენ: „ლმერთო
კალოს ბარაქა მიეცი, ვისაც ჩემს კალოზე ცუდი თვალი და გუ-
ლი ჰქონდეს, შენ გაახმე, ამოაგდე მისი ძე და მომავალი... ჩემს
კალოს შენი ჯვარი დასწერე.“ ხალხს სჯერა, რომ არის ჯადო
(მახადანა), რომელსაც ისეთი ძალა აქვს, რომ ერთის კალოდან
შეორისაში უჩინარად გადაიტანს ხორბალს. მე ვყოფილვარ და-
მსწრე, რომ სოფელში ხატი ჩამოეტარებინოთ კარ და კარ და
ყოველი მოსახლე დაეფიცებინათ, სახლში „მახადანა“ (ჯადო)
არ შეინახოთ, რომელიც ვითომიც მქონელს გაამდიდრებს და
სოფელს კი ამოაგდებსო. კაცს თუ ავი ზნე დაემართა, თოფის
სროლით და ხანჯლებით აშინებენ, ჰგონიათ ეშმაქს გამოვდენი-

თო ავადმყოფისაგან. ავალმყოფის ცხვირ-პირთან ალბერტ-
ბენ აგრეთვე მგლის ბალანს. როცა ავადმყოფი მორჩილი კუნძული
კბილს და დათვის კლანებს გამოჰკრავენ მეშში¹ და ჩამოჰკი-
დებენ კისერზე. ამას ეძახიან „ქისუმბურას“ (კისერის მული).

გაზაფხულზე კვიცს რომ აჭობო, ფეხშიაცმული უნდა იყო,
თორემ ფეხების ტკივილი იცისო; მწყერსაც ფეხშიაცმული უნდა
შეხვდე თორემ იგივე მოვივა, რაც კვიცის დაჭობინებისაგან. თიკანს რომ აჭობო, შეხედვამდე ხმა არ უნდა გაიღონო; თუ გა-
ჯობა თიკანმა, ვაჭარიც გაჯობებს ლაპარაკში ვაჭრობის დროს. გოჭისაც დაცყვირებამდი უნდა შეხედო, თორემ ნაჭობნია და
მუცლის ლრიალი, ჭუჭუნი იცისო. პეპელას მაშინ უნდა შეხე-
დო, როცა აღმოსავლეთისაკენ მიფრინავს. გუგულს რომ აჭო-
ბო, დახევსებული, პურნაჭამი უნდა იყო, თუ გაჯობა, არაფერს
შენს ნაქნარს ბარიქა არ ექნებაო., ამას ძლიერ უფრთხილდება
ხალხი: შიმშილი იცისო. გველს რომ დაინახავ გაზაფხულზე,
სახლში უნდა მოხეილე და ცეცხლის დანახვამდინ ნაჭის (საქვა-
ბეს) მოჰკილო ხელი; გველის ჭობნა გლახა გულზე, ცუდ გუნე-
ბაზე მოიყვანს კაცსაო. ბაყაყს რომ აჭობო, წყალში უნდა შე-
ხედო, არჯობნამ ფეხების ტკივილი იცისო. ახალი მთვარე რომ
დაიბალება, გამოჩნდება, საჭიროა კაცზე დაინახო. რა ხასიათის
კაცზეც შეხედავ მთვარეს, იმ ხასიათზე დადგენი შენც მთვარის
გამოცელამდე. შემდეგ მთვარის დანახვისას ვერცხლი და რკინა
უნდა ჩაიღო კბილებში, — ვერცხლი მოასწავებს გულის სიწ-
მინდეს, რკინა სიმაგრეს. ახალის მთვარის მნახველმა ცეცხლის
დანახვამდე პურის ნამცეცი უნდა შესჭამოს. თუ ჩხართვმა და
ჩხიკვმა მარცხნივ დასძახა მგზავრს ან მონადირეს, ცუდად მია-

¹ შეში — დამუშავებული ტყავი.

ჩნიათ; მგზავრს რაიმე უბედურება შეემთხვევა და წოდების სელცარიელი და რუნდება ნადირობიდანაო: ამასვეული ფრილულოდეს კაცი, თუ მწყერი შეხვდა გზაზე, მგზავრი იტემშეუსტყობება ყის წინ შეყრას არაფერი სჯობია. ნაახალწლევს ყველაზედ უწინ თოხიტარას მოკვლაა უკეთესი მონადირისათვის.

როცა ფეხთ იცვამ, პირველად მარჯვენა ფეხზე უნდა ჩაიცვა, მარცხენაზე არ ვარგაო უწინ. ცეცხლი თუ შიშინებს, — ავდარი იქნებაო; თუ გექავება მარცხენა ყური — ავდარი იქნება; თუ მარჯვენა — დარი. ხახის ცის ქავილმა დარი იცის. თუ მარცხენა წარბი გექავება, მგზავრობა არ ვარგა, თუ მარჯვენა წარბი — ნაფიქრალი აგისრულდება. მარცხენა ბეჭის ფეთქება მოასწავებს კაცის სიკედილის გაგონებასა და ჩხუბს. ზედა ტუჩის ქავილი სასმელის შოვნას მოასწავებს, ცხვირის წვერის ქავილი — ჯავრს, უსიამოვნებას. მუხლის თავის ძრევამ სატირლად დაწოქება იცის. ცხვირის ნესტოების ქავილი მხიარულების მომასწავებელია. კატის პირის ბანვამ, თუ ყურიც მოატანა ფეხებეშ, დარი იცის, ქათმები თუ იქექებიან, ავდარი იქნება. ძუძუმწოვარა ბავშეის თავზე ხელის ჩამოსმა კაცს სიკედილს უქადის. საკლავის ბეჭის, (გარდა ღორისა) გამოიცნობენ: კაცის სიკედილს ოჯახში, ოჯახის უფროსის სიკედილს, რომელიმე წევრის მოკვლას სოფელში ან საზოგადოებაში, ვაჟიშვილის ყოლას ოჯახში, ცეცხლის გაჩენას და სხვა რაიმე ფათერაქს.

თამარ დედოფლის ხსოვნა თავისუფალ სვანეთში

ივლისის 13-ს 1875 წლისა, რა წელსაც თავისუფალ სვანეთში ხალხის აღელვება მოხდა, სვანეთს მიმავალი გაშინდელი

ჭუთაისის გუბერნატორი ბ-ნი შალაფევი ჯარით ს. რაფელ-
გა ბანაკად. გუბერნატორის განკარგულებით 10 სვანები მდგრად
ტესის მინაგვარად გამოცხადდნენ მასთან მოსალპში შემოსას
ხალხის მაგიერ... ამის გვარ შემთხვევაში, როგორიც იყო 1875
წელი თავისუფალ სვანეთში და სხვა დროსაც, როცა სვანები
ძველს დროზე ლაპარაქს ჩამოაგდებენ, თამარ დედოფალზე
მსჯელობა ერთადერთ საყვარელს და საინტერესო თემას წარ-
მოადგენს. ყველა გაღმოცემათა ჩამოთვლა თამარ დედოფალზე,
რომელიც სვანეთში დარჩენილან, საგაზირო წერილში არ მო-
თავსდება და ამისათვის ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ ზო-
გიერთებს.

სვანების გაღმოცემით სვანეთი თამარ დედოფლის საყვა-
რელი სამყოფი ადგილი ყოფილა, თუმცა ჯერ-ჯერობით წერი-
ლობითი საბუთი არ აღმოჩენილა, რომელიც უჩვენებდეს თა-
მარ დედოფლის ყოფნას სვანეთში. როგორც ყოველს ხალხში და
ქვეყანაში, სადაც რომელიმე ისტორიულს პირს თავისი მოღვა-
წეობით დაუმსახურებია საუკუნო დაუკიტყრობა, აწერენ მას
(პირს) გაზვიადებით არა თუ იმ ღვაწლს, რაც უცილოდ მოუ-
მოქმედნია, არამედ სხვა ჩამესაც ბევრს, ისე სვანებსაც უნდათ
დაამტკიცონ, რომ რაც კარგი რამ ყოფილა მათს წარსულს
ცხოვრებაში — ყოფილა თამარ დედოფლის მეოხებით. ის დრო,
რომელსაც სვანები „თამარობა“ (თამარობა) ეძახიან, ხალხის სი-
ტყვით ყოფილა ყოველის მხრით შესანიშნავი: ეკონომიური
კეთილდღეობა სვანეთისა აყვავებული იყოო, „ჩერობა“ (ლვი-
ნის მოტანა) გახშირებული და ამისათვის არყის მაგიერ ღვინო.
იყოო ხმარებაში; ზნეობა ძლიერ მაღლა მდგარა, ყველას უყვა-
რდა ერთმანეთი და არავითარი ზოროტმოქმედება არ ხდებო-
და და სხვა და სხვა. შესანიშნავი ეკლესიანი თავისუფალ სვა-
86

ნეთში; უშგულის ღვთისმშობელის, კალის წმ. კვირიფერი ლიტეს ეკლესია — მონასტერი, წმ. გიორგი იუარისკარაჭაშვილისა, მთავარანგელოზი მუხალისა და წინასწარ იჰქმება (აჩვენები) ეკლესია ლატალში — ყველანი, ხალხის სიტყვით, თამარ დედოფლისაგან არიან აშენებულნი და შემქულნი ხატ-ჯვრებით და სხვა სამკაულითა.

ხალხის გადმოცემით თამარ დედოფალი ამრიგად აშენებდა ეკლესიებს: გამოუცხადებდა თავის ჭარს, რომ ამა და ამ საზოგადოებაში ეკლესია უნდა ავაშენოთ; თვითოოული ჭარის-კაცთაგანი ვალდებული იყო წამოელო აღნიშნულს აღგილას თვითო ქვა, თვითო ქილა (მესერი) დამწვარი კირი და თვითო ქილაც ქვიშა; უკანასკნელთაგან, ე. ი. კირ-ქვიშისაგან გააკეთებდნენ კირს; შემდეგ თვითოოული ჭარისკაცთაგანი მიტანილ ქას დაადებდა ასაშენებელ ეკლესიის კედლებზე და ამნაირად ეკლესია აშენებული იყო. ზემოდ ნაჩვენები ეკლესიანი ამნაირად აუშენებიაო თამარ დედოფალს, ამბობს ხალხი.

გადმოცემა მოვითხრობს, რომ უმეტესი ნაწილი თავის ცხოვრებისა თამარ დედოფალს სვანეთში გაუტარებია. უშგულელები (თავ. სვანეთის თავში მდებარე საზოგადოება) დღესაც დაბეჭითებით უჩვენებენ თავიანთ საზოგადოებაში თამარ დედოფლის საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციას, რომელთაგან უკანასკნელი, ე. ი. საზამთრო რეზიდენცია გაშენებულია შეა საზოგადოებაში აღმართულ გორაზე. ამ გორის სიგრძე-სიგანე თავში 30 საუენი ეჭნება. ირგვლივ შემოზღუდული ყოფილა (ახლა ზოგვან დანგრეულია) ქვის გალავნით. გალავანში ჩატანებული ყოფილა ოთხი კოშე (ერთს ამათგანს ზედა ტანი მოსტებია) და ერთი პატარა — დღეს გაუქმებული ეკლესია. საზაფხულო რეზიდენციას კი ნამდვილი სტრატეგიული და პოე-

ტური ადგილი უჭირავს. იგი გაშენებულია უშგულშის სახლებით „ლენკვერის“ მთაზე, რომელსაც სიმაღლე ეზოში უდიდესი მეტი ექნება. საზოგადოებას ეს მთა ისე დაპყრობილი უნიკალური ტურისა და ყოველი უბრალო ბილიკიც, რომელიც სხვა სოფლიდამ უშგულში შემოდის, ცხადადა სჩინს, ასე, რომ დღისით უშგულში იღუმალ შემოსვლა შეუძლებელია, თუ კაცი ამ მთიდან დარაგადა სდგას. საუცხოვო პორტური სურათი წარმოუდგება კაცის თვალს ამ მთის წვერიდამ: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სვანეთს შემოჰვევია კავკასიის მთაგრეხილი თავის უმაღლესი მწვერვალებით. ზედა ნაწილი მთაგრეხილისა და ფარულია სპეტაკის თოვლით და ქვედა ნაწილში კაცი ხედავს უზარმაზარ საყინულებეს; დასავლეთით კაცი ხედავს ნაძვნარის და ფიჭვნარის ტყეებით შემკულ-ჩაშვებულს სვანეთის ხეობას, რომელშიაც რამდენიმე საზოგადოება თავის თეთრად შეფერქილის კოშკებით კიდევ უფრო ამშვენებენ ამ სურათს; სამხრეთით კი პორიზონტი პატარაა, რადგან მთა „ლენკვერი“ მიეკუთხირებულია სვანეთის ქედზე, რომელიც პირველზე მაღალია (სვანეთის ქედი ჰყოფს ენგურის და ცხენისწყლის ხეობას ერთი მეორისაგან). შენობები იგივენი არიან ლენკვერზე, ე. ი. ქვის გალავანი, ოთხი კოშკი გარდა ეკლესიისა, რაც საზამთრო რეზიდენციაში ენახეთ. არქიტექტურაში სრულიად არ არის განსხვავება. შემოზღუდული მოედანი კი ერთო-ორად დიდია, კიდრე საზამთრო რეზიდენციისა. აქვე ახლოს გამოდის მშენებელი დიდი წყარო. აქ ზაფხულობით სცხოვრობდათ თამარ დედოფალი — ამბობს ხალხი.

ხალხის რწმენით თამარ დედოფალი უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის ტრაპეზშია დამარხული, რომლის გამეღავნებას ძლიერ უფრთხილდებიან, რადგან — ფიქრობს ხალხი, თუ რო-

შელიმე ხელმწიფებ ეს გაიგო, მაშინ თამარ დედოფალს დამო-
ღებენ სამარიდამ, სადაც იგი განუხერწნელად ძევს დამზადებულ-
ილუპება სვანეთიც, რადგან თამარს გაჰყევება სვანების უკუმაშტა-
ბალიო. ის ხელმწიფე კი, რომელიც თამარის სხეულს იშოვნის
პირველი, ბედნიერი იქნება ქვეყანაზე. უშგულისავე ეკლესიაში
ხალხი უჩევენებს თამარის ტანისამოსს. ხუთის წლის წინად ჩვენ
ვნახეთ აქ ზუნდუკში შენახული ერთი წყვილი ქალის ტანისა-
მოსი, რომელთავან უკეთ შენახული იყვნენ ყანაოზის პერანგი
და წითელი ხავერდის ქათიბი, დანარჩენი სულ დაჩრჩილული
იყო და დღეს ალბათ ყველა ჩრჩილის მსხვერპლი გახდებოდა.
შპ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია-მონასტერში, კალას საზო-
გადოებაში უჩევენებენ თამარის ნაწინავებს და ქოშებს.

თავისუფალ სვანეთში დარჩენილია ხალხური სიმღერა თა-
მარ დედოფალზე. სიმღერა უფრო ნამდვილად შენახული აღ-
მოჩნდა უშგულის საზოგადოებაში. ფერხულში იმღერიან ამას
და ისეთი ახლართულ-ჩახლართული, რთული ფეხის ხმარება
უნდა, რომ მარტო უშგულელებმა იციან ეს ფერხული. მახლო-
ბელი სოფლები კალას და იფარის საზოგადოებისა ცდილან
ესწავლათ უშგულელებისაგან, მაგრამ ცდას ამაოდ ჩაუვლია:
თუმცა გადაულიათ, მაგრამ დაუმახინჯებიათ, ზოგი რამ ჩაუმა-
ტებიათ და ზოგი გამოუყლიათ. მომყავს ეს სიმღერა სვანური
ტექსტით, რომელსაც ქართულად ვთარგმნი თავისუფლად და
პროზით.

რა ვძნა?

(სათაურია)

რა ვქნახით ვორმინდა ვარშაპო, ირხაშო, ვარშაპო ირხაშო.

თამარ დედფალ ანსვევეჭინდა,
თხუმას ზაგანდა ზურია,
უდიმარს ხოჭიბდა ლეშდიმი,

თამარ დედფალი მობრძანდა,
თავზე ზური აღვია,
უურებზე ჰეიდია საყურენი,

თერარ ხოშიდ იაგუნდიშ,
შეღეარ ხოშიდ მარგალიტიშ,
პაბი დაგი ხასდან ვოქვრებ,

ყიას ხაბული ჰეშმარე,
ეამერ ხაქულა აბგარი,
ისგან ხაქულა ატლასი,
შებრარს ხასდანდა „ხეშნავრე“,
ზითხარდ ხასდანდა ჯავეარე,

ჩაფლარდ ხასდანდა ჩექმარე,
ჩაეს ხასგურდა ქვიშემცერიშ,

პუნგირ ხოვანდა ლუშკადი,
პუნგირდ ხოთხაფ ვოქვრე ასალ,

საძუვდ ხობუდ ვოქვრე კოპარ,
საგუვდ ხოვან ვოქვრე ბუშტარ,

პალვრილდ ხოსდან ვოქვრე რახტი.

თვალები აქვს იაგუნდამა,
კბილები აქვს მარგალიტი,
ფერი აქვს ოქროს შეტქმიშ რეჭლებ-
შიბლების მისამართის
ყელსა აბია ეშშები,
გარედ აცვია აბგარი,
შიგნით აცვია ატლასი,
მცლავებზე მოცმული აქვს „ხეშნა-
ვრი“,

პაიჭად აცვია ჯაჭვები,
ფეხთა აცვია ჩექმები,
ქვიშისფერ ცხენზედა ზის,
მოქედილი (ოქროთი) უნავირი
უდგა,
უნავირს მოფენილი აქვს ოქროს
ასალი,
საძუვზე აკერია ოქროს კოპები,
სამერლეზე აკერია ოქროს ბუშ-
ტები,
ალვირად უდევს ოქროს რახტი.

სვანეთის ეპლესიათა პონება

ეკლესიებს სვანეთში უხსოვარის დროიდგან ჰქონიათ შეძე-
ნილი უძრავი და მოძრავი ქონება. საეკლესიო უძრავ ქონებას
შეადგენენ: სახნავ-სათესი ადგილები, სათიბები, ტყეები და სა-
ხლები; ხოლო მოძრავ ქონებას: ოქროს და ვერცხლის ჭურჭ-
ლეულობა, მაგალითად: თასები, აზარფეშები, სურათები, სხვა
შეაყნების და საქართველოს ძველი დროის მონეტები, რომ-
ლებიც სამწუხაროდ დღეს არსად მოიპოვებიან, ძვირფასი
თვლები, შეილდ-ისრები, ჯიხვის, არჩევის და ირმის ჩქები, ძვე-
ლი დროის სამუშაო იარაღები, როგორც მაგალითად: სპილენ-
ძის ნაჯახები, პერგამენტზედ ხელნაწერი საღმრთო წერილის

წიგნები ქართულსა და აქა-იქ ბერძნულს ენებზედ, სპოლების
დიდი საარაყე ქვაბები; კაცისა და ქალის სამყაულის ასტრიული
ბი, ვერცხლის საყურები ქალისა, „ჩაფრასტები“ ატალიური სისტემა
კაული, გულზედ ჩამოსაკიდებელი) და ბეჭდები.

ზემოთ ნაჩვენებს უძრავ და მოძრავ ქონებას სვანეთის ეკ-
ლესიები იძენდნენ შემდეგის სახით: ა) როდესაც საზოგადოე-
ბაში რომელიმე ოჯახი უმემკეიძღეოდ, მამრობით სქესში, გა-
დაშენდებოდა, მაშინ გადაშენებული ოჯახის ქონების პატრო-
ნად რჩებოდა საზოგადოება. ეს უკანასკნელი ერთ საუკეთესო
ყანას, სათიბს ან ტყეს საეკლესიოდ დაასახელებდა, თუმცა სა-
ხრავი, როგორც დაინახავს მყითხველი, საზოგადოებისა იყო.
გადაშენებული ოჯახის დანარჩენ ქონებას საზოგადოება უნა-
წილებდა ოჯახის შორიახლო მონათესავეთა. საეკლესიოდ და-
სახელებულ ყანასა და სათიბს საზოგადოება დაადებდა განსა-
ზღვრულ ბეგარას და სამ წლობით გადასცემდა ერთ ვინმე მო-
სახლეს ამ ბეგარითვე საზოგადოების სასარგებლოდ. ვადის გა-
თავერის შემდეგ მებეგრეს ნათქვამი ადგილი უნდა დაეთმო
სხვა მოსახლისათვის და ამნაირად საბეგრო ადგილს ჩამოირი-
გებდნენ ხოლმე, რასაკვირველია ნეგარის მიცემით, საზოგადო-
ების კომლთა რიცხვზედ. ბეგარას იხდიდა მოსახლე არყით: ერთ
დღიურ ყანა — კარგ მაშულს 4—6 მანეთის არაყი ედვა. მებე-
გრე ვალდებული იყო ყოველ წლობით მიეტანა ეს ბეგარა —
არყით ეკლესიაზე, რასაც საზოგადოებას შეატყობინებდა. სა-
ზოგადოება თავს მოიყრიდა, კომლიდგან თვითო კაცი და ხან-
დისხან ორ-ორი და სამ-სამიც; აჩაუს ეკლესის შეალოცავდა,
გადაშენებული ოჯახის მიცვალებულთ შენდობას შეუთვლიდა
და იქვე დალევდა. ამგვარივე ბეგარა ედვა სათიბსაც, რასაკვი-
რველია, შემოსავლის კვალობაზედ. რაც შეეხება საბეგრო ტყე-

ებს, ისინიც სრულს საზოგადოების საჩვენებელობაში მუკლუკი ან-
სოფლო გზებისა და ხიდებისათვის ხე-ტყეს მუქთა და სამართლებულებრ. თუ კერძო პირებს უჭირდა ხე-ტყე, მაშინ საზოგადო მუკლუკი ან-
და ფასით.

ბ) თუ რომელიმე წევრი ოჯახისა ისე ავად გახდებოდა, რომ
მისი მორჩენა, ხალხის აზრით, მარტო ღმერთზე იყო დამოკი-
დებული, მაშინ მოსახლე საზოგადოებას შეჰყრიდა და განუც-
ხადებდა სურვილს, რომ იგი ამა და ამ ადგილს (ყანას, სათიბს,
ტყეს) სდებს საზოგადოების საბეგროდ, რომლისთვისაც სთხო-
ვდა საზოგადოებას შეხვეწნოდა იგი ეკლესიას ავადმყოფის მო-
რჩენისათვის. საზოგადოება რასაკეირველია, თანხმდებოდა და
შეწირული ადგილი საუკუნოდ რჩებოდა საზოგადოებას საბეგ-
როდ იმავე წესით, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები. მოძრავ
ქონების რიცხვში, რომელიც ზემოდ არის ჩამოთვლილი, ოქრო-
ვერცხლის კურპელეულონა, არის შეწირული ეკლესიებისადმი
კერძო პირებისაგან — უმეტეს ნაწილად კი საქართველოს მე-
ფიებისა და გამოჩენილი გვარებისაგან. მაგალითად, თავისუ-
ფალ სვანეთში მესტიის წმ. გიორგის ეკლესიაში, სხვათა შორის,
შემდეგი ნივთები არიან შეწირული: რუსუდან დედოფლისაგან
ვერცხლის ჩაფი, გიორგი მეფისაგან, (რომელი გიორგი მეფეა,
წარწერაზე არა სჩანს) ვერცხლის თუნგი, მეფე ბაგრატისაგან,
(რომელი ბაგრატია, — არც ესა სჩანს) ვერცხლის თასი, მართა
გორგასლანის ქალისაგან და ხოსრო ვილაძისაგან ვერცხლის
თასები. სეანეთის სხვა ეკლესიებში შეხვდებით ამგვარსავე ნივ-
თებს წარწერებით შემწირველთ გვარებისა: ორბელიანის, და-
დიანის, გურიელის, გაჩნაძის, მაჩაბლის, წულუკიძის, ლეონი-
ძის, ჯაფარიძის და სხვა და სხვა. სპილენძის ქვაბები, კაცის და
ქალის სამკაულნი, ნაღირის რქები და სხვანი შემოწირულნი

არიან თვით სეანებისაგან და ამგვარი შეწირულება დღემდებარი
არ შეწყდარა ხალხში. აქ საჭიროა შევნიშნო, რომ საჭურულო
ქვაბებს სეანი სწირავდა ეკლესიაში მაშინ, როდესაც ზურდა
ვინმე ივალ პყავდა და სიკვდილისა ეშინოდა; ხოლო სამკაულს,
ნამეტურ ქალის საყურეებსა და „ჩაფრასტებს“ მაშინ, როდე-
საც ცოლ-ქმარს ჰევრი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ ვაერ-
შვილი შეეძინებოდათ. ქალის დედა მადლობის ნიშნად უთმო-
ბდა ეკლესიას თავის საუკეთესო ქონებას, ვერცხლის ნივთეუ-
ლობას. ნადირის ჩერებს სწირავდა ეკლესიას მონადირე, ნიშნად
მადლობისა. რაც შეეხება ძველ იარაღებსა და მონეტებს, იგინი,
უიპეველია, შემოტანილია ხალხისაგან სხვა ქვეყნებიდგან და
შეტანილი შესანახად ეკლესიაში, როგორც ხალხის ერთად-
ერთ საუნჯეში, საღაც არაფერი იყარებოდა.

შვილდ-ისრის შესახებ, აი რას მოგვითხრობს ხალხი: ძველს
დროში, სახელდობრ იმ დროში, როდესაც თოფი არ იყო მო-
ვონილი, სეანეთში მოდიოდნენ მტრის ჯარები, რომელთაც ხა-
ლხი ეკლესის შემწეობით ერთოდა. იმათ ნადავლს ეკლესიაში
ინახავდა სამახსოვროდ გამარჯვებისა. ზემოთხსენებული მოძ-
რავი ქონება სეანეთის ეკლესიებისა თუ არ იმატებდა, არ იკ-
ლებდა, რადგანაც შემწირველთ რიცხვი დროის განმავლობაში
მეტი და მეტი ჩნდებოდა. თვითონ ეკლესია არაფერსა საჭირო-
ებდა, რომ მისი ქონებიდგან რაიმე დაეხარჯა ხალხს მისთვის.
ხატი და ჯვარი ეკლესიებს არ აკლდათ; ახალ ეკლესიებს ხალხი
აღარ აშენებდა, რადგანაც ძველი აშენებულის რიცხვი მრავა-
ლი იყო. წირვა-ლოცვის დროს სახმარებლად წმ. სანთელი, ხა-
ლხისაგან შეწირული, ბლომად იყო. სამღვდელო სამკაულს
თვითონ სასულიერო წოდება იძენდა. მართალია სპილენძის
ქვაბებს ხალხი ხმარობდა ხორცის მოსახარშავად სოფლობაზე

და სახლშიაც აღმების დროს, თასებს და აზარფეშებს ორყოს
სასმელად, კათხების და სტანდატის მაგიერ, მაგრამ უშუალოებების
უკლებლივ შეპქონდათ ეკლესიაში.

ეკლესიების გაქურდვა სვანისაგან ისეთი იშვიათი მოვლე-
ნა იყო, რომ ახალ მოდგმას მხოლოდ ერთი-ორი მაგალითი ახ-
სოდა, რომ მის ხსოვნაში სვანს ეკლესია გაცარცვა ამ უკანას-
კნელ დრომდე, ე. ი. 1874 წლამდე. ამ წელს სასულიერო მთავ-
რობამ მისგან დანიშნული კომისიით ცნობაში მოიცვანა საეკ-
ლესიო უძრავი და მოძრავი ქონება. მაგრამ სამწუხაროდ ამ
წლიდგან იწყება სვანეთში ეკლესიების გაქურდვა და გრძელ-
დება დღევანდლამდე. მაგალითად, დაიკარგა, ანუ უკეთ
ვთქვათ, მოიპარეს ვერცხლის თასი მულახის ერთ ძველ ეკლე-
სიაში. 1877 წელს გაცარცვეს მესტიის მდიდარი წმ. გორგის
ეკლესია, რომლიდგანაც წაიღის 1500 მანეთზე მეტად ღრმებუ-
ლი ნივთები და არსად არ აღმოჩნდნენ. 1800 წ. უშგულის ორს
ეკლესიაში ორი ვერცხლის თასი სადღაც გაქრა და 1883 წ. მაი-
სის 24-ს უშგულისვე ღვთისმწოდლის ეკლესიიდგან მოიპარეს
თითქმის ყველა მისი მოძრავი ქონება, მაგრამ ჩვენდა სასიამო-
ვნოდ, ნივთები არ დაკარგულან, რადგანაც ხალხმა მალე შეიტ-
ყო და კვალს მიაგნო. ამბობენ, რომ ლატალისა და ლენჯერის
საზოგადოებათა ეკლესიებში აღმოჩნილა დაკარგულად აგრე-
თვე რამდენიმე ვერცხლის საეკლესიო ნივთები.

ამგვარად სამწუხაროა ეკლესიების გაცარცვა სვანეთში. პი-
რველად იმისათვის, რომ გვიხატავს ხალხის ზნეობის დაცემას,
მეორედ, ხალხსა და ეკლესიას ეკარგება თავისი სიმდიდრე და
მესამე, ჩვენს არქეოლოგიასა და ისტორიას ხელიდან უქრება
ძვირფასი მასალა.



ორივე ეს ცხრველი ერთნაირად უყვართ მთავრულებრივ მცხოვრებთა. ამ ცხრველების მომხიბლავი სილამაზე, სიმარდე, მიუწვდომელს მთა-კლდეებში ცხოვრება და იწვიათი მათი დანახვა რაღაც მოწიწებას, ღვთიურს პატივისცემას პშადავს მთიელის გულში. სვანების აზრით, ყოველი კარგი და ლამაზი არსება ღმერთსაც ისე მომეტებულად უყვარს, როგორც კაცსა; თავის საყვარელს აჩვებს იგი რაც შეიძლება ადამიანს აშორებს და თავისთან იახლოვებს. ასეთის თვალით უყურებს ღმერთი ჭიხვსა და შურთხსაც, რომელთაგანაც პირველი გარეული ოთხფეხის გვირგვინია და მეორე — ფრინველისა. ცაშე მყოფი ღმერთი განვებ აძლევს მათ ბინას თავის ახლო მაღალის მოების მწვერვალებზე, მიუდგომელს მაღალს კლდეებში, რომ დროგამოშვებით ინახულოს, და ისიამოვნოს თავის ქმნილებათა სიმშვენიერითო.

მამალ ჭიხვს სვანები ეძახიან „კვიცრას“, „ღვაშს“ და „ხანს“ (ხარი). შუათანა ჭიხვს ე. ი. ახალგაზრდას — „მუღვშირს“, ერთი წლის თიკანს — „ფოთრს“, დედალ ჭიხვს — „დი-კვიცრას“, ან „დახულ-კვიცრას“. ტანად მამალი ჭიხვი ორის წლის მოზვერს არ ჩამოუვარდება. რქებიან-ტყავიანად სრული ჭიხვი 7—8 ფუთზე მეტი გამოვა. ასე ვფიქრობ, რადგან დამთავრებულს ჭიხვს ხუთი ღონიერი კაცი უნდება, რომ თანასწორად დაყოფილი ერთის დღის სავალიდან სახლში მოიტანონ, თუმცა სვანები ტვირთის ზიდვას კარგად აჩიან შეჩევულნი.

ჭიხვი ტანის სიგრძით უფრო მეტია, ვიდრე სიმსხოთი; ჭიხვს შინაურ თხასავით აქვს წვერი და კუდი, ორივე მოკლე; ყურები თავთან შედარებით პატარა აქვს, თვალები მოდიდო,

პირი მოგრძო. თავზე აქვს უკან გადაყრილი ორი რქა. ჩემი ბეჭდი
სიგრძე სვანეთში ოთხნახევარ მტკაველს აღარ ემეტრშა ჰქონდა
ნიშნავია, რომ ჯიხვის რქების სიმსხო-სიგრძე სვანეთის სამარა-
სხვა აღვილას განსხვავებულია; მაგალითად, უშეულის საზო-
გადოების სანადიროებში ჯიხვს მომეტებული გრძელი რქები
აქვს; იფარის და მულახის სანადიროებში კი — მსხვილი და მო-
კლე. კისერი და მკერდი ჯიხვისა გამბედაობის გამომხატველია;
ჩლიქები გაყოფილი აქვს და რბილი, როგორც ცუვილი. ამგვა-
რი სირბილე ჩლიქებისა ძლიერ უწყობს ხელს ჯიხვს კლდეებში
სიარულის დროს. ბალანი აყრია მოკლე, მსხვილი და ხშირი.
წელიწადში ოთხჯერ იცვლის ბალანს. გაზაფხულზე ბალანი
ჩალისფერისაა, ზაფხულში წარლისფერი გადაპერავს, შემოღ-
ვომაზე შავი გამოერევა და ზამთრობით წმინდა რუხის ფერისაა.

სიგემრივლით ჯიხვის ხორცის ცხოველის ხორცი ვერ
შეედრება. ჯიხვმა ძალიან გასუქება იცის. მონადირეების სიტ-
ყით, მსუქანი ჯიხვის პოხილი ერთს ფუთს აიწონის და ფერ-
დის ძელებზე სამი ოთხი თითის დაღება ქონი აქვს ხოლმე სის-
ქითაო.

საცხოვრებლად ჯიხვს მიუდგომელი მთა-კლდეები უყვარს.
გასაოცარი მარდი და ხერხიანი მოსიარულეა კლდეებში! იქ
სადაც არაფერს სულდგმულს ფეხის მოკიდება არ შეუძლიან,
ჯიხვი არხეიანად დაიარება. ერთი კლდის წვერიდან მეორეზე გა-
დახტომა, წვეტიანის კლდის ნაპრალის თავზე ოთხივე ფეხებით
დასკუპება — ჩვეულებრივი და ადვილი საქმეა ჯიხვისათვის.
მონადირეებს შენიშნული აქვთ, რომ ჯიხვი სიარულის დროს,
თუ გაუჭირდა რქებსაც ხმარობს. ვსთქვათ, მაგალითად, ჯიხვი

1 პოხილი-ქონი.

შოთავედა იმგვარს მაღალს კლდეს, საიდგანაც არც წინ, უკან
უკან და არც ქვევით ფეხის გადაღვმა აღარ შეიძლება, და ამ
ზემოთ კი ხედავს კლდის თაროს, შეკრილს, რომელსაც
ჰქონდა ასეთი სხვა გზა არსათ დარჩენია, მაგრამ რომ
შეხედო, იტყვი აქ შეხტომა შეუძლებელია; შეუძლებელია
იმიტომ, რომ წინა ფეხებით თაროს ნაპირს ვერ შეს-
წვდება. ერთი ეს და მეორეც ისა, რომ თუ პირი იბრუნა შეხ-
ტომის დროს კლდისაკენ და უკანა ფეხებზე დადგა, მაშინვე გა-
დატრიალდესა, 100—150 საუკუნის სიმაღლიდან ძირს ჩამოვარ-
დება და სრულებით დაიმსხვრევა. ამგვარს გაჭირვებაში თავს
იხსნის ჯიხვი რჩების შემწეობით; ტანის მოუბრუნებლად უკანა
ფეხებზე აიწევს, უცებ შემოჰკრავს რქის წვერებს კლდის თა-
როს განაპიროს, შემდეგ, — რაც ძალა და ღონე აქვს — რქის
წვერებზე ჩამოკიდებული ჯიხვი ტანის უკანა ნაწილს აიგდებს
და კლდის თაროში ავარდება. აქ ჯიხვი დამშვიდებულია; მონა-
ღირის შიში არა აქვს, რადგან თოფის სასროლად ახლოს ვერ
მიეკარეცა და კიდეც რომ მიეკაროს, მოარტყას თოფი, მონა-
ღირისათვის ჯიხვი მაინც დაკარგულია, რადგან აქვე მოკვდება
და იმის ხორცით მარტო აწივები დახემსდებიან.

ჯიხვი ღონიერია; მარტო თავში და გულ-ღვიძლში მოხ-
ვეღრილი ტყვია ჰელავს; სხვა აღგილს დაჭრილს ჯიხვს მეო-
რედ-მესამედ კიდევ უნდა მოარტყან ტყვია, რომ მოკლან (ჩვენ
ვამბობთ სვანურ კაუიან თოფებზე და არა ახალის სისტემის
თოფებზე, როგორც მაგალითად, პიბოდე, ბერდენკა). მძიმედ
დაჭრილს ჯიხვს ძლივს იქაებს ორი ღონიერი ძალი.

ჯიხვი სჭიმს წვრილ ბალახს, რომელიც ხარობს ახლად
აღეცულის თოვლის ნადებ აღვილებზე, ხავსს, სხვადასხვა ხის
ფოთლებს და კვირტებს. ზამთრობით ჯიხვი კლდის თაროებშია

დამწყვდებული. მონადირეებმა დამარწმუნეს, ვითომ ამ კატეგორიას
თაროებში შურთხი ზაფხულ-შემოდგომობით ბალაშე კუნძულები
ჯიხვის გამოსაკვებად; თვით შურთხი კი ჯიხვის განვითარების სურამა
და ამგვარად ირჩენენ თავს ორივენი. დამტკიცებულია, რომ
ჯიხვები დიდი შიმშილის დროს ერთიმეორის პალანსა სჭამენ;
ამას ცხადად გვიმტკიცებს გაზაფხულზე მოკლული ჯიხვი. ამ
ჯიხვს რომ კუჭი გაუსინჯოთ, პნახავთ ბალანსა, ბურთის მსგავ-
სად დარგვალებულსა. დღე ჯიხვი კლდის თაროებშია და იცონ-
ნება. საჭმელზე გამოდის ალიონზე და დღე და ღამის გაყრაზე
საღამოს. კლდის თაროდამ გამოსული ჯიხვი ჩაჰვალდა სერს,
ხევს, გზადაგზა ჭამს ძლიერ ჩქარა და მაღიანად. ხევის ძირს თუ
მლაშე წყალი ეგულება, შივა იქ, დაეწაფება და ისევ უკან დაბ-
რუნდესა თაროში ნელ-ნელა, მუცელგამოვსებული საჭმელ-სას-
მელითა. შევა თაროში და არის იქ გაჩერებული საღამომდე.
საღამოს ისევ გამოვა საჭმელზე, როგორც დილის და ასე ყოველ
ცისმარე დღეს. მონადირეებმა ეს ჩვეულება ჯიხვისა იციან და
ამიტომაც დილა-საღამოს უდარაჯებენ ამ მლაშე წყალზე, ან
სავლელს გზებზე და პხოცავენ. ჯიხვებს ჯოგ-ჯოგადაც უყვართ
ცხოვრება, თუმცა მათი ჯოგი ისე დიდი კი არასოდეს იქნება,
როგორც არჩევებისა. მონადირეების სიტყვით, ჯიხვის ჯოგი ასა-
მდე იშვიათად ავა. ჩვენ რამდენჯერმე გვინახავს ჯიხვების ჯოგი
და უნდა მოგახსენოთ, რომ უკეთესი სანახავი არა იქნება რა-
ტყუილადა კი არ ამბობენ სვანები, რომ ჯიხვების ჯოგის შეხე-
დვით ღმერთიც კი სიამოვნებას გრძნობსო.

მონადირეებს შეუმჩნევიათ, რომ თუ ჯიხვები ერთად ათზე
ნაკლები არ არიან, მაშინ ამათ უთუოდ ჰყავთ მიჩენილი ერთი
ჯიხვი ყარაულად. ეს ყარაული იმ დროს, როცა სხვები დამშვი-
დებით შეექცევიან ჭამს — არცა სჭამს, არცა სვამს, მხოლოდ

გაშმაგებულივით ერთი სერიდან ან გორიდან მეორეზე გადა-
აბის, გადახტის და თვალყურს ადევნებს იმ აღვილის გარემონტი
სადაც ჭიხვები არიან, რომ ხიფათი არაფერი მოუვიდეთ, მონა-
დირე არსაით მიეპაროს და მისმა ცხელმა ტყვიამ რომელიმე
მისი მოძმე არ გააციოს.

ყარაულმა ჭიხვმა თუ რაიმე საფრთხე შენიშნა, მაშინვე
შეატყობინებს ჭოგს და ყველანი გაპერებიან საშიშარ აღვილი-
დან. შეშინებული ჭიხვის ჭოგი ძრიელ შორს გასწევს ხოლმე.
მონადირე ყველაზე უფრო იმას ცდილობს ხოლმე, რომ ეს ყა-
რაული როგორმე მოპელას, რადგანაც მერმე ჭოგს გზა და ქვა-
ლი ებნევა, იფანტება და მონადირეს შეუძლია ჭოგიდანაც კი-
დევ დაინაჩიუნოს რამდენიმე ჭიხვი. მე თვითონ ჩემს თავს არ
უფერებდი, როცა ამას ჩემის თვალითა ვხედავდი და როცა ერ-
თხელ დაშინებული ჭიხვები გაუვალს კლდეს სეტყვასავით მის-
ცვივდნენ: ზორბა ტანისა და მარდი ცხოველები, აჩშინიანის,
უკან გადაყრილის რქების პატრონები ისე დახტოდნენ კლდის
ნაპრალებში, თითქოს ქაჯები არიანო. დღესაც მოჩვენება მგო-
ნია ეს სურათი!

ჭიხვი ფრთხილია და ამიტომ მონადირეს დიდი ხერხი და
გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ ჭიხვმა სათოფეთ მიიკაროს.
მონადირეებმა გამოცდილებით იციან, რომ ჭიხვი კაცის ნიავს
იკრავს და ამისათვის იმ მხრიდან, საიდანაც ქარი ჰქის, არაო-
დეს არ მიეპარება ჭიხვს, თორემ უთუოდ ალოს აიღებსო. ჭი-
ხვებს ჰქოცავენ საზოგადოდ ყოველთვის, მთელის წლის გან-
მავლობაში, ყველაზე მომეტებულად კი შემოდგომაზე. ზამთა-
რში, როდესაც დიდი თოვლი მოვა, მონადირეები გაუძლევებიან
ხალხს ჭიხვებზე სანადიროდ. მონადირეები კლდეში მიმდგარს
ჭიხვებს გამოყრიან, ხალხი ქვევით უცდის ხევში. ჭიხვი თოვლ-

ში იფლება, აღმართხე ვერ ადის, მარტო დაღმართში მუტბა.
მანამ შეუძლია ხტის. ბოლოს იღლება და რჩება უფრუცელებელი ამ
დროს მიღიან ძაღლებით და ხშირად თოფუკრავგადასწურებულ ჭი-
ხვებსა. ამგვარი საჯიხვე ადგილები ყოველ საზოგადოებას აქვს.
დედალ ჯიხვს ტანიც და რქებიც უფრო პატარა აქვს, ვიდრე
მამალს ჯიხვს. ბოტობას ჯიხვები იწყებენ ნოემბერში, თიკნები
ეყოლებათ ხოლმე ივნისში. მომეტებულ ნაწილად ჯიხვს ერთი
თიკანი ეყოლება ხოლმე, იშვიათად ორი, სამი კი არასოდესო,
დამარტიუნეს მონადირებმა.

ჯიხვების ტყავებიდან მონადირეები ქურქებს ჰკერავენ
ზამთრისთვის. თვითონ ჯიხვის ქურქი ფასობს 4—6 მანეთაღ.

სამწუხაროდ ჯიხვი თანდათან ცოტავდება. სვანეთის მო-
ნადირეები რაღაც ღვთისწყრომას აბრალებენ, რომ უწინდებუ-
რად ჯიხვის დიდ ჭოგებს ვერ პოულობენ ახლა; მიზეზი კი ჯი-
ხვების შემცირებისა ცხადია: მუდამ წელს ხოცავენ ბლომად,
ხოცავენ გაურჩევლად დედალ-მამალსა, მაკეს და თიკნებსა და,
უაპველია. შემცირდება მათი რიცხვი, მაშ რა მოუგათ. ჩვენ
ვიცით, რომ უშგულის საზოგადოებაში, საღაც ყველაზე მომე-
ტებულს ჯიხვებს ხოცავენ, 1882 წელში მონადირეებს მოვკ-
ლათ 27 ჯიხვი. ენგურის ხეობაში 11 უშგულისთანა საზოგადო-
ებაა და ცხენისწყლისაში — 3. ერთთავად თვითეულს საზოგა-
დოებაში ენგურის ხეობაში 15 მოკლული ჯიხვი რომ ჩავაგ-
დოთ და ცხენისწყლის სამ საზოგადოებაში ათ-ათი წელ იწადში,
დავინახავთ, რომ მარტო სვანეთში ყოველს წელიწადს იხოცება
ორასთვრამეტი ჯიხვი. ეხლა ავიღოთ ზემო რაჭას სოფლები
(ღები, გლოლა, ჭიორა) და ჩრდილოეთის კავკასიის დიდ ქედ-
თან მდებარე საზოგადოებანი — ყარაჩა, ბახსანი, უეგემი და
სხვა, რომელთაც სვანებზე ნაკლებად არ უყვართ ჯიხვის ხორ-

ცი. დაახლოევებით ვიანგარიშოთ მათ მიერ მოკლული ჭიხვების /
რიცხვი და მაშინ დავინახავთ, რომ სვანეთის სიგრძეზე უკუკვებელი
სის დიდი ქედის ორთავე ფერდობზე და მის შტოების უკუკვებელი
წალში უნდა იხოცებოდეს არანაკლები 300 ჭიხვისა. ეს რიცხვი
ჩვენ ძლიერ ნაკლები გვევნია და არა მეტის-მეტი. არ უნდა
დავივიწყოთ ისიც, რომ მრავალი ჭიხვი ფუჭდება კლდეზე გა-
დავარდნით და შეავისაგან. სვანეთის მონადირეები ხშირად
პოულობენ ნაშვავებში შიგ გახვეულს დიდრქიან ჭიხვსა.

ფრინველებში სვანებს ძლიერ უყვართ შურთხი, რომელ-
საც სვანები სამს სახელს უწოდებენ, — თავისუფალ და სადა-
ლიანო სვანეთში „კოჯა ქათალ“ (კლდის ქათამი) და „მუყელ“
(მყიდვანა), საბატონო სვანეთში კი „ვეან“. ამ ფრინველის საც-
ხოვრებელი აღვალი მიუვალი და თვალუწვდენელი კლდეებია,
სადაც ფეხმარდი ჭიხვიც კი ვერ მიუღება. ამ მიწეზის გამო
შურთხს მონადირენი იშვიათად ხოცვენ. ჩვენ არ ვიცით, კავ-
კასიის მთებში ეს მშევნიერი ფრინველი ყველგან არის თუ არა;
ვიცით კი მხოლოდ, რომ ზემო რაქას სოფელ ურავისა და ლი-
ხეთის მთებში არის და აქ ამას ეძახიან „ჭიხვის ინდოურს“.
ესევე ფრინველი უნახავს ბ-ნს გ. ყაზბეგს იქარას, ხირხათის
მთაზე.

შურთხი ტანად შინაურ ქათამზე უდიდესია; ფერად მამა-
ლი რუს-მოთეთროა; დედალი ქვიშარია, ე. ი. მოთეთრო ქვიშის-
ფერი. მუცელსა და მოკლე კუდქვეშ თეთრი ბუმბული აქვს.
ლამაზი თავი მოკლე და მობრტყელო ნისკარტით; მსხვილი
თვალები და ტანის შესაფერისი კისერი ძლიერ ამშევნებენ უ-
მისოდაც ლამაზს შურთხსა. კავანი იცის ძალიან ხმით და ამისა-
თვის სვანები ამბობენ — შურთხი კი არა კავანებს (კარკაცე),
არამედ სკექსო (აკეჭუნე). ერთნაირად მისი ხმა სტვენასა ჰგავს.

ფრინავს ჩქარა, თითქო ფრთებშეუკუმშავადო და დიდ მანძილზე. ისე ჩქარა გარბის (ლიგორე), რომ გაცენებული უნდა ვერიც ვერ დაეწევა. ბუდეს იკეთებს კლდეებში და იმგვარს არა გორც სხვა ფრინველები. თა კვერცხშე მეტი შურთხის ბუდეში არავის უნახავს. კვერცხი ჭორფლიანი, ფორაგიანია. ვერ მითხრეს რამდენს ხანს უნდება ბარტყების გამოჩევას და აგრეთვე ვერც ის გავიგი, ეხმარება თუ არა მამალი დედალს ბუდობის დროს; ეს კი იციან მონადირეებმა, რომ ბარტყებს მამალიც უზიდავს საჭმელსა.

შურთხის ხორცი სხვა ფრინველების ხორცთან შედარებით მოთეთრო და გემრიელია. შურთხი სჭამს ბალახს, წვრილ კენჭებს და სილას. ქვიშა და კენჭები ჩემის თვალით მინახავს მოკლულის შურთხის კუჭში. შურთხი ღონიერია; ორი ცოცხალი შურთხის დაკავება ერთად კაცს უძნელდება. შურთხმა კბენა არ იცის. ზამთარს კლდეებში იტარებს და როგორც ზემოდავსთვით, ჯიხვის განავლით ირჩენს თავსა. ზოგნი ამბობენ, შურთხს დათვხავით სძანავს მთელი ზამთარიო (ლაჭუჭს არი), მაგრამ ეს ცხადია — ტყუილი უნდა იყოს. ფრანგებს, რომელთაც ყველაფერში შნო და გემო აქვთ — ეტყობათ, ძლიერ მოსწონთ ეს ფრინველი. ამ ორი წლის წინათ ერთს ტფილისის რუსულს გაზეთში ვიღაცა სწერდა. რომ პარიჟში ერთი საზოგადოება „общество акклиматизации диких животных и птиц“ ორი ათას ფრანკს იძლევოდა დედალ-მამალ შურთხშიო. შეიძლება მოვესწროთ იმ დროს, როდესაც მოშინაურებული შურთხი ისევე დაღიოდეს ჩვენს კარ-მიდამოზე, როგორც ქათმები. აქ დავუმატებთ, რომ სვანეთში გაზაფხულზე შურთხს მახით იჭერენ, მომეტებულად ბარტყებს. ცოცხალი შურთხი და მისი

ბარტყები რამდენიმე დღე ჰყოლიათ სახლში, მაგრამ არაფეხს
სჭამენ და იხოცებიან.



სვანეთი 27 აგვისტო

წელს კარგს მოსავალს მოელიან სვანები; ნამუშევარი კარგი დადგა; თივაც საქმაოდ მოუვიდათ. მკისა და თიბვის დაწყება კი ჩვეულებრივ გვიან მოხდა, რადგანაც 20-ს ივნისიდან 7-ს აგვისტომდე თითქმის მუდამ აედარი იყო. მთა ადგილებში, მაგალითად, უშესულის საზოგადოებაში, 17-ს აგვისტოს დაიწყეს მეა, რადგან მანამდე ნამუშევარი არ დამწიფდა.

სვანეთში ისევე ბულობს წყეული სახადი, რომელმაც ამ ორის წლის განმავლობაში სუვრი სვანი იმსხვერპლა და აწიც თავისას არ იშლის. ექიმი იყო სვანეთში დროებით გამოგზავნილი, მაგრამ ავადმყოფ სვანებისათვის მას არაფერი სარგებლობა არ მოუტანია; მოვიდოდა რომელსამე სრფელში, იყითხავდა, აბა ვის ოჯახში არის სნეულობაო, და როცა შეიტყობდა, კარბოლის სიმჟავეს აძლევდა სახლში მოსაპყურებლად. ამითა ათავებდა თავის მკურნალობას. ავადმყოფს სახლში არ ნახულობდა, დაჯდებოდა ერთს ადგილას და ეუბნებოდა ხალხს: აქ მომიყვანეთ ავადმყოფი და ვნახავო. მძიმე ავადმყოფს, რასაკვირველია, იქ არავინ მიუყვანდა.

სვანეთის ბოქაული, ბატონი აეტოვსკი, დაითხოვეს, ეს ადგილად მოსალოდნელი იყო, რადგანაც ხალხს მისი არაფერი ესმოდა და მას ხალხისა; ამიტომ მისი თარჯიმანი ხალხს იმას კი არ ეუბნებოდა, რასაც ბოქაული ამბობდა, არამედ რასაც თვითონ მოინებებდა. ბოქაულად ამეამად დანიშნეს სვანი, თ-დი

ჭ. დადეშქელიანი, რომელზედაც ჯერ-ჯერობით არაფერს ვიტუყით. სვანეთი ისეთი მიყრუებული მხარეა, რომ ბრძანებულებები ბევრი რამ შეუძლიან: ავიც და კარგიც. ვისურვებთ, რომ ენლანდელს ბოქაულს ავი არა და კარგი კი ბევრი ექმნას თავის სამშობლო კუთხისათვის.

სვანეთში მობრძანდა ზაფხულში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გრიგორი. ცუდი ამინდი დაუდგა და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ყველა სოფლები ვერ დაიარა. სვანეთს ეწვია აგრეთვე ლეჩებუმის მაზრის ახალი უფროსი ბ-ნი ალშიბაია. ბ-ნი ალშიბაია მოგზაურობდა იმისათვის, რომ სხვათა შორის, აეხსნა ხალხისათვის სამხედრო ცეგარის საქმე. სვანეთიდგან გამოწვეულია 100 კაცი, რომელთაგანაც, როგორც შევიტყვე, ათი კაცი უნდა წაიყვანონ სამსახურში კენჭით. ერთი დაბრკოლებაა სვანეთში ჯარში გასაწვევი კაცისათვის: მათ არა აქვთ მეტრიკა... თვითონ სვანებმა თავისი წლოვანება იციან ზეპირად, მაგრამ კანონის წინაშე ეს ზეპირად ცოდნა ვერაფერი საბუთია, მას არავინ შეიწყნარებს.

მოგზაურთაგანი წელს სვანეთს ეწვივნენ რამდენიმე გერმანელნი, ვენგრიელნი, გეოგრაფი—წევრი ლონდონის გეოგრაფიულის საზოგადოებისა, ბ-ნი დეიბი, რომელიც ეს სამი წელიწადია, ყოველს ზაფხულს მოდის სვანეთში; სეკრეტარი იმავე ლონდონის საზოგადოებისა ბ-ნი ფრეშვილდი და ორიც რუსი. გერმანელები გადავიდნენ „დონლუზ-ორუნის“ უღელტეხილზე იალბუზისაკენ, დეიბიმა განვლო მოქალის უღელტეხილი, რომელიც უძნელეს უღელტეხილად არის ცნობილი და რომელზედაც გამოცდილ სვან მონადირეებსაც უჭირთ სიარული. დეიბის თანა ჰყავდა ფოტოგრაფი; ბატონი ფრეშვილდი კი მდ. ენგურის სათავედან გაუდგა გზას და მდინარე რიონის სათავემდე მივი-

და, იმ გზით, რა გზითაც ჩვენ წავედით 1885 წელს, რომელიც
აღშერილი გვქონდა შარშანდელს „ივერიაში“. ბ-ნი მომდევ და
დი კიდევ უფლისა სვანეთში, სახელდობრ, 1868 წ. და იმავე
წელს ასულა იალბუზისა და ყაზბეგზე, რომელიც დანიშნული
აქვს თავის სამგზავრო ჯოხზე.

საგიგლიოგრაფიო შენიშვნა

1864 წ. „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგა-
დოებამ“ დაპბეჭდა ტფილისში „ლუშნუ ანბანი“ (სვანური ან-
ბანი). როგორც სჩანს უსლარის შრომის („კავკასიის ეტნოგრა-
ფია“ ნაწ. 1) წინასიტყვაობიდან, ეს სვანური ანბანი შეუდგენია
განსვენებულს ბართოლომეის, ზემოდ დასახელებულ საზოგა-
დოების მინდობილობით. უკანასკნელს განზრახვა ჰქონდა
„ლუშნუ ანბანი“ სახელმძღვანელოდ გაეხადნა სვანეთის სკო-
ლებში, რომელთ დაარსებასაც აპირებდა სვანეთში. სკოლები
არ დაარსებულა და მისათვის ეს ანბანი უხმარად დარჩა. ქრი-
სტიანობის აღმდგენელი საზოგადოება ამჟამად სვანეთში ორს
სკოლასა ჰმართავს. წეიძლება ეხლაც ფიქრადა აქვთ, რომ ეგვიპტი
ანბანი შეიტანონ სახელმძღვანელოდ სვანეთის სკოლებში და
ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვა.

„ლუშნუ ანბანი“ 147 გვერდს შეიცავს. პირველი გვერდის
ნახევარი უსლარის მიერ შედგენილს ალფაბეტს უჭირავს, რო-
მელსაც საფუძვლად რუსული ასოები უძევს. მთელი ნახევარი
გვერდი ალფაბეტას შემდგენელს მოუნდომებია იმ 13 ასოს ახ-
სნისათვის, რომელნიც რუსულში არ მოიპოვება სვანურის ხმა-
რების გამოსახატავად, ხოლო ქართულში კი არის. უსლარი ამ
ასოებს ასე განმარტავს: ესა და ეს გასვანებული რუსული ასო

ტდრის ქართულს: ღ, ჰ, ძ, ჸ, ჵ, ფ, ჟ, თ, პ, წ, ჴ-ს. წიგნის შესამე
გვერდიდგან მეთორმეტემდე მოყვანილია სვანურმართვის სი-
ტყვები, თარგმნილი ჭერ ქართულად, და მერმე რუსულად. 12—
27 გვ. ლოცვები, სიმბოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება და
ცხრა ნეტარებანი. შემდეგ იწყება შემოკლებით „ისტორია“
ძველისა და ახლის აღთქმისა, რომელიც გაჭიმულია 85 გვ-მდე;
აქედან წიგნის პილომდე: *Приложение к сванетской Азбуке.*
Сборник слов. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც სიტყვები,
ისე ლოცვები და ისტორია ამ წიგნში სამს ენაზეა მოყვანილი:
სვანურსა, ქართულსა და რუსულს ენებზე. როგორც სახელ-
მძღვანელო „ლუშნუ ანბანი“ ყოვლად უვარგისი რამაა: წიგნში
ყველაფერი დომხხალივით არეულ-დარეულია, არც ერთი პედა-
გოგიური დედააზრი არ არის დაცული. ანბანის შემდგენელს,
განსვენებულს ბართოლომეის ასოების დასწავლის შემდეგ,
მოსწავლე პირდაპირ ცაზე აპყავს და იქაურობას აცნობს, თით-
ქოს სვანის ბავშვისათვის დედამიწაზე არაფერი მოიძებნებო-
დეს სასწავლო! მაგალითად, პირველი სიტყვა, რომელიც სვანის
ბავშვმა უნდა დაისწავლოს ასოებს შემდეგ, არის ცა, მეორე —
ცისიერი (*Meteorъ*), მესამე — მზე, მეხი და სხვა; მხოლოდ
მე-20, 21, 41, 42 სიტყვებია: ხელი, დედა, მე, შენ, მაგრამ ამათ
შემდეგ ისევ შედარებით უმნიშვნელო სიტყვები იწყება: სი-
რცხვილი, ფერი, ზამთარი, ცვარი, ქარი, ნაპირი, სალტე, ბალი
და ბოლოს ფრაზა, „სათხილმო? გქონდა თუ არა მთაზე?“, რო-
დესაც სიტყვა თხილამური ზემოდ არსად ნახსენები არ არის.
ამგვარადვე არეულ დარეულია „*Сборник слов-ც.*“ რა სიტ-
ყვაც ენაზე მისდგომია შემდგენელს, აულია და ჩაუწერია, გა-
ნურჩევლად იმისა, გასავებია ეს სიტყვა ახალ მოსწავლე ბავ-
შვისათვის თუ არა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მომეტებული

ნაწილი სვანურის სიტყვებისა შეცდომით არის ჩაწერილი და
მაშინ ცხადად მიეცვდებით, რა სახელმძღვანელოც უნდა გვჭიროს
ეს ხელდახელ გამომცხვარი „ლუშნუ ანბანი“. მაგრამ ჰქონდება
ლიკე წვრილმანია მასთან შედარებით, რასაც ქვემოთ აღვნიშ-
ნავთ. თავი და თავი ნაკლი ამ ვითომდა სახელმძღვანელოსი ის
არის, რომ ლოცვები და სამღვთო ისტორია სვანურად თარგმ-
ნილი არ ეთანხმება დედანს, ერთობ გადასხვაფერებული და და-
მახინჯებულია. ჩვენი აზრით, თუ სვანის საუშემა ისე შეისწავლა,
როგორც „ლუშნუ ანბანშია“ მოყვანილი, შეიძლება დიდი უსია-
მოვნო შედეგი მოჰყვეს...

წიგნი შეცდომებით არის სავსე თავიდან პოლომდე. სკო-
ლებში მისი ხმარება ნამდვილს ვნებას მოუტანს სვანების სა-
რწმუნოებრივსა და ზნეობრივს აღზრდას.

ზერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი
მადლობა გამოვუცხადო: 1) „ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოებას,“ რომელმაც გამოგზავნა სამი
თუმანი ფული (30 გ.) მოსახმარებლად ჩემდა რწმუნებულ
იფარის სკოლის დარიბ მოსწავლეთა ტანისამოსისათვის, და 2)
ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელს, რომელმაც უფა-
სოდ დაუთმო ხსენებულსავე სკოლას საკლასო დაფა.

ზერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გა-
მოვუცხადო ბ-ნ ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძეს, რო-



შელმაც ოცდახუთი (25) მანეთი შემოსწირა რწმუნებულების წიგნის მდა იფარის სკოლისათვის ახალის შენობის ასაგრძელებლართვა

ზერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყებ რა საზოგადოებას, რომ ნება მივიღე სვანეთში სამკითხველო წიგნთსაცავის გახსნისა, მივმართავ და ვსთხოვ ხელი შემიწყონ ამ საქმეში წიგნებისა და ფულის შემოწირვით.

ვსთხოვ ტფილისისა და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობათ და კერძო ავტორებ-გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი თითო ან მეტი ეგზემპლიარი დაუთმონ სვანეთის ბიბლიოთეკას. საჭიროდ მიმაჩნია იქვე შევნინონ, რომ ტფილისის ამხანაგობამ შარშანვე გადმომცა თითო ეგზემპლიარი თავისს გამოცემათა; აგრეთვე ყველასაგან პატივცემულმა ბ-მა ი. გოგებაშვილმა და ზ. ჭიჭინაძემ დამითმეს თავიანთი შედგენილ-გამოცემული წიგნები. რამდენიმე სხვა ავტორებისაგანაც მივიღე თითო წიგნი, რომელთა სახელი და გვარი თავისს დროზე გამოცხადდება გაზეთში. შემოწირულება წიგნებით თუ ფულით უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით სელ. ცაგერი, სვამის ვისკარიონი ჩიკეთიშვილის სახელის გაზეთში.

ზერილი სვანეთიდგან

საუცხოვო ზამთარი სდგას ჩვენში; თოვლი ნახევარს ადლს არ აღემატება და ტერმომეტრი მარტო სამჯერ დაეშვა 10 გრადუსამდე, სახელდობრ, 5, 6 და 18 იანვარს; 24-ს წვიმაც კი

იყო. ამ მხრივ წრევანდელი ზამთარი ჰგავს 1895 წლის, როდესაც ასე ცოტა თოვლი იდგა და 27-ს იანვარს, როგორც
შემინიშნავს უბის წიგნში, წვიმაც ყოფილა. ხალხს აზ-შოთაშვილს
იანვრის წვიმა, რადგან მისის ფიქრითა და გამოცდილებით იან-
ვარში წვიმამ კვირიკობის თვეში გვალვა იცისო, რაიცა სრუ-
ლიად აფუჭებს სვანეთში ნამუშევარს.

მამაკაცები ჩვეულებრივ სამუშაოდ არიან წასული ქუთა-
ისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილის და ამიტომ ყოველგვარი
ოჯახური საქმე მარტო ქალებს აწევთ კისერზედ. სიღარიბემ
ძალა დაატანა სვანს და ზამთრობით უნდა მოსცილდეს თავისს
ოჯახს, საღაც უწინ არხეინად ატარებდა დროს.

ძლიერ გამოიცვალა უკანასკნელს ხანებში სვანების ეკო-
ნომიური ყოფა-ცხოვრება: ხალხი თანდათან ღარიბდება. პირ-
ველი მიზეზი სიღარიბებისა სახნავ-სათეს ადგილების ნაკლებო-
ბად. რაც ამ ოცი წლის წინად ერთს ოჯახს ჰქონდა მიწა-აღვილი,
იგი დღეს სამს და ოთხს უჭირავს და, რასაკვირველია, თუ ერ-
თის ოჯახისათვის საქმაო სახნავ ადგილმა ოთხი ოჯახი ვერ გა-
მოქვებოს.

ადგილის სივიწროვეს სვანებმა მარტო ეხლა მიაქციეს ყუ-
რადღება და შარშან რამდენიმე მოსახლემ სოხოვა მთავრობას
სამოსახლო ადგილი დალის ხეოსაში, აფხაზეთში, მაგრამ უ-
რი მიიღეს საყოველთაო ცნობილ მიზეზისა გამო. ორი გზა-ლა
დარჩენია ხალხს: გაიწიოს ენგურის ჩაყოლებით ორთავე ნა-
პირას, სამეგრელოსაკენ და ცხენისწყალის სათავეში მდებარე
ადგილებისაკენ, საღაც XIV—XV საუკუნეებში 400 შეკომურს
უცხოვრია და საღაც ახლა მხოლოდ ოთხი მეკომური-ლა ბინად-
რობს. მდ. ენგურის ჩაყოლებაზედ, საღაც ყოველ წელიწადს
ემატება მცხოვრებთა რიცხვი, უწინ ბევრი მოსახლე ყოფილა;

ამას ამტკიცებენ ნასოფლარები, ნაეკლესარი და სხვა. შესაბიძე-
ნავია, რომ აქ ძველად საჭირო ადგილის წყალი აგრძელებული იყო.
ბით ჰქონიათ გაყვანილი, რასაც ეხლა ხშირად პხედავს ხალხი
ყანების ხვნის დროს. სიტყვამ მოიტანა და აქ ერთი ამბავი უნ-
და გაცნობოთ; შარშან ზაფხულს ერთ ამ ადგილთაგანში ჩუპე-
ხეველმა სვანმა, როდესაც სათიბს წყალს უკვალავდა, ნახა მი-
წამი დაფლული თიხის ქოთანი და შიგ ოქროს მანეთები, მისის
სიტყვებით თოთხმეტი (ეხლა კი ამბობს ოცდაერთიო) და რა-
ღაც ნივთები და თვლები, მაგრამ სახელდობრ რა — არავის
უმხელს მნახველი. ოქროს მანეთი მე თითონ მინახავს; ზომით
და წონით ეხლანდელ ხუთმანეთიან ოქროს ტოლა არის; ერთს
მხარეს დახატულია ბიუსტი გვირგვინოსან მეფისა და კიდე-
ზედ სამი ბერძნული ასოა დაწერილი. მეორე მხარეზედ დახა-
ტულია ოთხფეხი ცხოველი, ძელზედ შემდგარი და იქვე დახა-
ტულია პურის თაველი. ვისია ეს ფული, ან რომელ საუკუნეს
იკუთვნის, არ ვიცი.

ექიმი და მომრიგებელი მოსამართლე, დიდი ხანია, რაც
ზამთრობით სვანეთში არა სცხოვრობენ, თუმცა სვანეთში მო-
სამსახურებად ითვლებიან. იმის არასანატრელი შედეგი მოს-
დევს ხალხისათვის: უექიმობის გამო სვანი უბრალო ავადმყო-
ფობის მსხვერპლი ხდება და ეთხოვება ამ წუთისოფელს. თუ
სვანეთში რომელიმე მოსამსახურე ავად გახდა, ერთობ ძვირად
უჯდება ექიმის აქ უმყოფლობა. ერთი აქ მომსახურეთაგანი
შარშან ზამთარში წამოიღეს ჭალავრით ექიმთან 150 ეერსის
მანძილზედ და მერეც ამ მოკლე ხანში. ადვილი მისახვედრია,
რა ხარგიც მოუნდებოდა ამგვარ და ამ სიშორეს ჭალავრით გა-
სეირნებას. სამის წლის წინად, ერთს აქაურს მღვდელს ცოლი
გაუხდა ავად. ცაგერიდან ექიმისა და ბებიაქალის მოყვანა,

როგორც სარწმუნოდ მითხვეს, 150 მანეთი დაუჭდა. რაც ეხება მომრიგებელ-მოსამართლის ზამთრობით, ე. ი. ათენის მთავრული სხვაგან ყოფნას, ის შედევი მოჰყვა, რომ თუ ყველა ჰქონის მთავრული ცხრა დანაშაული მაინც დაუსჭელი რჩება, რაღაც, სხვა-დასხვა გაიძვერა კაცის მეოხებით დამნაშავე თავს იძვრენს მის მიერ ცხადად ჩადენილ ბოროტმოქმედებისაგან. ამ გარემოებამ ის აზრი დაპბადა სვანეთში, ვითომ რუსის კანონი დამნაშავეს არ სჯიდეს და ამ უკანასკნელმა უფრო გაახშირა — უწინდელთან შედარებით — ავკაციონს.

როგორც მკითხველი ხელავს, ამ მხრით სვანეთის საქმე რიგიანად არ მიდის, მაგრამ ამისდა მიუხედავად საიმედო ნიშნებსაც ვხედავთ: მე მოგახსენებთ სვანეთში სკოლების დაარსების ამბავს. წარსულის წლის სექტემბრიდან აქ დაარსდა სამი სკოლა, სამივე კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების ხარჯით. სწორედ ლირსია ყოველ-გვარი მადლობისა და ქება-დიდებისა ეს საზოგადოება, რომელიც დიდი ხანია სცდილობს მოპფინოს სკოლები. როგორც სვანეთში, ისე კავკასიის სხვადასხვა მთიულთა შორის განურჩელად ეროვნებისა. ხოლო კერძოდ, რაც შეეხება ზემოხსენებულის სამი სკოლის დაარსებას სვანეთში, იგი სულ ერთიანად მიეწერება საზოგადოების სკოლების ინსპექტორ-მისიონერის ბ-ნ ე. ბ. მამინაიშვილის მეცადინეობასა და მხნეობს. დარწმუნდა თუ არა ადგილობრივ ბ-ნი ინსპექტორი, რომ სვანეთში სკოლების დაარსება არის საჭირო, ერთის მხრით თავის მთავრობას აცნობა ეს საჭიროება და მეორეს მხრით დააბეჭითა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც შესაძლებელი შემწეობა გამოაღებინა.

მხოლოდ მოყვრისა და საქმის სიყვარულს შეუძლიან იმ-

დენი შრომა მიაღეპინოს აღამიანს, რამდენიც აიტანა ბაზარი რნ-
სპექტორმა სკოლების დაარსებისათვის. იგი იკნის შივეუროდე-
საც საცხენოსნო გზა შეკრულია სვანეთის მთებზე და ფეხით 10000 ფუტის სიმაღლის მქონე მუშურის უღელტე-
ხილზედ და თვენახევარი დაჲყო სვანეთში დღედალამ მეცადი-
ნეობასა და შრომა-გარჯაში. ერთი უბრალო სოფელიც არ დაუ-
ტოვებია, რომ არ მისულიყო და არ ექადაგნა ხალხისათვის,
როგორც მისიონერს და ინსპექტორს.

თავისი აზრიანისა და მარტივის ქაღაგება-დარიგებით დაი-
მსახურა ყურადღება, როგორც სამღვდელოებისა, ისე ხალხისა.

ვინატრებო, რომ ბ-ნს ინსპექტორს სისრულეში მოეყვანოს
ეცერში მეორე კლასიან სასწავლებლის დაარსების საქმე და
ამით დაეგვირგვინებიოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა სვა-
ნეთში. ეს საქმე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რაღვან ამ გან-
ზრახვას აღგილობრივ თავადნი დადეშელიანები უხვს შემწე-
ობას ჰპირდებიან. იმედია „ქრისტიანობის აღმდეგი საზოგა-
დოება“ ამასაც ისე მხურვალედ მოეკიდება, როგორც ეკიდება
ყოველს სხვა კეთილს საქმეს საზოგადოდ.



ივანე მარგარეთი

ივანე გიორგის ძე მარგარიანი დაიბადა 1872 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სოფელ მუჟალში. ივანეს მამა გიორგი მარგარიანი მულახის მრევლის მღვდელი იყო. იგი თავისი ღროსათვის განათლებული და პროგრესული პიროვნება ყოფილა. ამიტომ იყო, რომ გამუდმებით ზრუნავდა სვანეთში წერა-კითხვის გავრცელების საქმისათვის. მარგარიანის უშუალო თაოსნობით დაარსებულა სოფელ მულახში ორწლიანი სკოლა. საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თავის თხზივე ვაჟი-შვილს მან იმ ღროსი ქვალობაზე კარგი განათლება მიაღებინა: დარისპანს, ზაქროს და ივანეს სასულიერო სემინარია დაამთავრებინა, ხოლო ყველაზე უმცროსი ნიკო თფიცერი გახდა.

წერა-კითხვა ივანესთვის მამას უსწავლებია. შემდგომ სწავლობდა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ ქუთა-

ისის სასულიერო სასწავლებელში. ხალხოსნური მოძრაობების გავლენით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მუჭტავულია შორის მომზღარ ერთ-ერთ მღელვარებაში მონაწილეობის გამო ი. მარგიანი სასწავლებლიდან გაურიცხავთ. მალე ივანე ახერხებს თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლას და იქ სწავლის გაგრძელებას. თბილისის სასულიერო სემინარიაში მასთან ერთად სწავლობდნენ ფილიპე მახარაძე, კორნელი კიკელიძე და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგი. მარგიანი მღვდლად აკურთხეს და გაამწესეს ქვემო სეანერში, სოფელ ჩოლურში, სადაც მღვდლობასთან ერთად მასწავლებლობდა კიდეც. მოგვიანებით ი. მარგიანი რაჭა-ლეჩხუმის სამღვდელოების დეკანოზია და იმავდროულად ცაგერის ცხრაწლიან სეკოლაში ასწავლის ქართულ, რუსულ ენებსა და ფიზიკას.

როგორც ვხედავთ თავის სასულიერო საქმიანობას ივანე მარგიანი წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და, როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, თავდაუზოგავალ იღვწოდა ხალხში სწავლა-განათლების შეტანისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ივანე მარგიანს ვხედავთ მთელ რიგ საპასუხისმგებლო პოსტებზე; იგი სხვადასხვა დროს იყო: ცაგერის რაიალმასკომის განათლების განყოფილების გამგე, მექვენის ბარიტის წარმოების მმართველი, ზემო სეანერის რაიალმასკომის განათლების განყოფილების გამგე, დაბოლოს, მის მიერ ზემო სვანერის რაიალმასკომთან ჩამოყალიბებული საფუტკრე მეურნეობის გამგე. აღსანიშნავია, რომ ივანე მარგიანმა საუც-

კურებლის წინაშე.
ივანე მარგიანმა განათლებისა და საზოგადოებრივ-სასახლო შრომისადმი სიყვარული თავიდანვე ჩაუნერგა თავის შვილებს: კასს. დიდიმს და ქალიშვილებს ნანას და თამარს, რომელნიც ამჟამად ცხოვრობენ ქ. თბილისში; ი. მარგიანის შვილიშვილები წარმატებით მოღვაწეობენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დაწესში.

ლოვებითა და უცუკნება მარტინ გარდაიცვალა 1933 წელს თბილისში. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

თავის წერილებში ივანე მარგარიტის სიმართლითა და დიდი
გულისტკივილით წარმოგვიდგენს ძველი სვანეთის ყოფა-ცხო-
ვრების ბნელ მხარეებს, სახავს სვანეთში სწავლა-განათლების,
მიმოსვლის სამუალებებისა და სამედიცინო მომსახურების, აგ-
რეთვე ბევრი სხვა მოუგვარებელი საქმის შეძლებისდაგვარად
გაუმჯობესების გზებს.

გაუმჯობესების გზებს.
განსაკუთრებით საინტერესოა ი. მარგიანის წერილი სვა-
ნური ენის შესახებ, რომელშიც იგი მთლიანად აქარწყლებს
ნური ენის შესახებ, რომელშიც იგი მთლიანად აქარწყლებს
მკვლევარ სტოიანოვის საფუძველშივე მცდარ მტკიცებას სვა-
ნურისა და ქართული ენების სრული სხვადასხვაობის შესახებ.

სოცელი მუზალი (ზემო სვანეთი)

სვანეთი მეტადრე ზემო, როგორც მოგეხსენებათ მიყრუებული და ღარიბი ქვეყანაა. იგი ოთხივე კუთხით მაღალის მთებით არის შემოზღუდული, რომლებშეც მუდამ თოვლი ძევს და ამიტომ ძლიერი სიცივეც იცის. ზამთარი ჩვენში რვა-ცხრა თვეს გასტანს ხოლმე, ზაფხული — სამს თვეს. ამ ცხრა თვის განმავლობაში ჩვენში შინაური საქმეების გარდა, არაფრის მუშაობა არ შეიძლება, რადგანაც დიდი თოვლი იცის. მაშინავე მოდ რა უნდა ხალხს შინ? არაფერი, მაგრამ წასასვლელი გზა რომ არსათ არა აქვს? ისეა დამწყვდეული ამ ვიწრო ქვეყანაში, თითქოს საპატიმროში იყოს ტუსაღი მოქცეული. ამიტომაც სანამ ზამთარი დადგებოდეს, ახლო-მახლო სოფლებში გადის სამუშაოდ და ამგვარად ჰშოტლობს თავისს საზრდოს. ზოგიერთი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ზაფხულში სამუშაოდ წასვლას და ზამთრობითაც კიდევ მიღის. დიდი თოვლიანი მთები უნდა გადაიაროს და ამიტომ ბევრჯერ ხდება უბედურება, ამ მგზავრობის დროს ბევრი ხალხი იღუპება. ისეთი საშინელი და უკუღმართი გზებია, რომ ათს სულში ხუთი ძლიერ გაატანს სამშეიღობოს. მადლი არ იქნება, რომ მარტო ზაფხულში კი არა, ყოველთვის შეგვეძლოს აქეთ-იქით თავისუფლად სიარული, როგორც სხვა ხალხს? რასაკვირველია მადლი იქნება, მაგ-

რომ მზრუნველი რომ არავინა გვყავს? უგზოობისაგან ჩვენსავთ
არავინ არ იტანჯება. ამ ბოლო ხანებში ცოტა მაინც გვეჭვილა.
ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-მა ივანე ღოღლობერიძემ შეუძლია
მისცა მამასახლისებს, რომ ხალხი შეეკრიბათ და გზის მუშაობა
დაეწყებინებინათ. ეს ამბავი კი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ
ჩვენში მობრძანდებოდა მაზრის უფროსი და რომ უფრო უში-
შრად ევლო, გზები უნდა შეესწორებინათ. ეს ბოქაულის ზრდა-
ნება ასრულეს ზემო სვანებმა და მშვენივრად შეასწორეს გზა
ლატფარის მთის იქითა მხარეს, ძირიდგან წვერამდი. ლატფარის
აქეთა მხარე კი ისევ გაჟერებელი დარჩა. ნეტა ვეღირსებით
კი, რომ უშიშრად და თავისუფლად შევეძლოს სიარული?

ამეამად ჩვენში ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი მოხდა:
აქ დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სასწავლებელი თა-
ვისის ხარჯით ააშენა მულახის საზოგადოებამ, რომელიც შე-
სდგება ცხრა პატიო-პატარა სოფლისაგან. სასწავლებლის სად-
გოშის აგება უკვე დაამთავრეს აგვისტოს დამლეცს და სასწავ-
ლებლისათვის საჭირო ავეჯეულობა კი წინადვე იყო მომზადე-
ბული. მოწაფეების რიცხვი ლამის სამოცს აღემატოს. მასწავ-
ლებელმა, ხანამ სასწავლებელს აშენებდნენ, დაიწყო კიდეც
ყმაწვილების მზადება. ქართულს ენას არ ასწავლიან. ამის ნაც-
ვლად სვანურს ასწავლიან, რომლის სწავლაც, ჩემის ფიქრით,
გამოუსადევარი უნდა იყოს და ეს გარემოება-ლა დაგერჩენია
ჩვენ სამწუხაროდ. ეხლა სვანებსაც კი შეგვიძლიან ვსოდეთ,
რომ სასწავლებელი გვაქვსო.

დადგის მაღლობას ვუძლვნით იმათ, ეინც ჩვენის სასწავლე-
ბლის დაარსებისათვის იზრუნა. უფრო დიდს მაღლობას იმას
ვუძლვნით, ვინც, ჯერ ერთი, ქართულის ენის სწავლას არ მო-
გვაქლებს და, მეორე, გზების გაკეთებას იქისრებს.



„ივერია“ დიდი მწუხარებას აცხადებდა სვანებიშვილის უძლის და მშევის შესახებ და პსურდა ყოველივე საქმის გარემოება დაწვრილებით გაეგო. ბ-ნ ქაიხოსრო გელოვანმა ცოტად თუ ბევრად განმარტა შიმშილის ვითარება სვანეთში. შეიძლება, როგორც ბატონი „მეველე“ ბრძანებს, ზოგიერთს კორესპონდენტს გაზვიადება უყვარსო; იქნება ასეც იყოს, მაგრამ მე ვიტყვი მხოლოდ ნახულს...

შიმშილობა არის და იყო სვანეთის შემდეგს საზოგადოებაში: უშეულისა, კალისა, იფარისა, წვირმიშვისა, მულახისა, მესტიისა, ლენჯერისა, ლატალისა, ბეჩიოსა და სხვაგან. იქამდისინ მივიდა, რომ ზოგიერთნი ბალახისაგან აქეთებდნენ ერთგვარ საჭმელს ფაფას და იმას სჭამდნენ. შემდეგში, როდესაც გზა გახსნეს მთაგრეხილზედ (ლატფარზედ), ყოველი დამშეული სვანი გაექანა ლეჩხუმისაკენ, სადაც დიდის წვარებით შოულობდა სიმინდს და მოჰქონდა შინ სახლობ; გამოსაკვებად. მგვარად სვანებმა ღროებით სული გამოიბრუნეს, მაგრამ ვისაც არც ცხენი ჰყავს, არც ფული მოეძევება, რომ ორიოდე კაკალი სიმინდი მოეზიდნა ლეჩხუმიდან ოჯახის გამოსაკვებად, დარჩა უსახსროდ და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ. მაზრის უფროსმა ბ-მა ალშიბაიამ აცნობა ეს სამწუხარო მდგომარეობა გუბერნატორს: თვითონ კი თავის ხელით შეუდგა შეწირულობის მოქრეფას ლეჩხუმში და შეპრიფა არ ათასამდე ფუთი სიმინდი, როგორც ამზობს ბ-ნი გელოვანიც.

შემდეგ შეწირულობის შექრებისა მაზრის უფროსმა მოსთხოვა ადგილობრივს ბოქაულს ი. ღოღობერიძეს, გაეგზავნა

მასთან ლეჩხუმში ყველაზე უფრო დამშეულები და მომდევ მიეღოთ შექრებილი სიმინდი. ბოქაულმა გაგზავნა სვანების უძლეს ნიშნულს ადგილს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მუნიცილატება რუნდნენ შინ ხელცარიელები.

მეორე წასკლაზე კი სვანებმა მიიღეს სიმინდი თვითო მოსახლეზე ორ-ფუთ ნახევარი. უმაღლესმა მთავრობამ ასესხა სვანებს უსარგებლოდ რამდენიმე ხნით 4000 მანეთი ფული. ვინ მოიფიქრებდა, რომ სვანები ამ ფულის სესხებაზე უარს განაცხადებდნენ, მაგრამ გამოდგა სულ სხვა. ყველა საზოგადოებამ ხელშერილით უარი განაცხადა ამ ფულის სესხებაზე. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ნუთუ სვანები არ საჭიროებენ და იმიტომ განაცხადეს უარი? შეიძლება სვანები არ დამშეულან და ტყუილად ლაპარაკობენ? დიდათაც საჭიროებენ სვანები არამე თუ ეხლა, არამედ სხვა დროსაც; მაგრამ სვანებმა უარი განაცხადეს ფულის სესხებაზე არა თავის ნებით, არამედ სხვის ჩაგონებით... ასეთის წვალებით გაატარეს სვანებმა მთელი ზამთარი და ზაფხული, სანამდისინ წლევანდელმა მოსავალმა არ იჩინა თავი. მაგრამ ვაი იმ მოსავალს, როგორიც წელს არის სვანეთში. ჯერ იყო და გვიან დადნა თოვლი, ხვნა-თესვა დაგვიანდა; მერე იყო და მთელი ორი თვე ისე გავიდა, რომ ერთი წვეთი წვიმაც არ მოსულა. იმის გამო გვალვამ ნამუშევარი ერთიანად გაახმო, არ გაშარდა და ნაყოფიც ნაკლები მისცა. შაჩანდელ მოუსავლიანობას წლევანდელი დაემატა და ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდება ეხლა სვანეთი, თუ შემწეობა არსაიდან არ აღმოუჩნდა. იმედია ჩვენი თანამოძმენი მაინც არ დაგვივიწყებინ და შემწეობას აღმოგვიჩნენ საიდანმე. ისიც ძალიან შემწეობად ჩაითვლება, სხვათა შორის,

რომ სვანებს სადმე სამუშაო უშოვნონ, მაგალითად რეგისტრ
გზებზედ მიწის თხრა და სხვაგან.

ცრურობული
გმიშების გამოყოფა

ამასთან კიდევ ერთი უბედურება დაგვემატა: 10—12 აგ-
ვისტოს ს. ხალდეში (სვანეთშია) გაჩნდა საქონლის ჭირი, რო-
მელსაც იქ „სალაიმალექს“ ეძახიან და ორ დღეში 18-მდე ხარ-
ძოხა დახოცა. ეს ჭირი საქონელს გამოჰყოლია რაჭიდან და
სულ მუსრს ავლებს.

ამეამად ზემო სვანეთში სულ სამი სკოლაა: ორი „ქრისტი-
ანონის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელობაზედ, იფარ-
ში და მესტიაში, მესამე კი სახელმწიფო — მუეალწი. სამი-
ვეში სწავლის საქმე ჯერჯერობით კარგად მიღის, მხოლოდ სა-
მწუხაროდ ის დაგვრჩენია, რომ უკანასკნელში ქართულს ენას
არ ასწავლიან და ამიტომ რუსული ენის სწავლება სვანურის
ამაჩას უძნელდებათ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რომ სვანეთს შემოეჩვია ოთხი-
ოდე ვაჭარი. მოაქვთ დამპალი საქონელი და ისე ასაღებენ ხალ-
ხში, რომ გასაოცარია. ერთხელ ერთ ვაჭარს ეშოვნა საიდან-
ლაც ორად დახეული ცხვირსახოცები და უბრ. ზე ბეჭდები,
რომლებსაც ოქროსად ასაღებადა. გარდა ამისა, მათის ისეთებიც
ურევიან, რომელნიც ცუდ საქმეს ჩადიან. ურიგო არ იქნება,
ამისთანა საქმეებს ყურადღება მიექცეს და ბოლო მოეღოს.

ცრუმორწმუნეობა სვანეთში და ლეჩეუმში ისევ ძლიერ
არის გავრცელებული. დ. ლაილაშში (ლეჩეუმშია) ორ
ურიის ჭალს და ერთს კიდევ სომებს გაუკეთებიათ რეზიდენცია
და მარჩიელობენ. თუ ვინმე ავად გახდება, მაშინვე მარჩიელ-
თან მირბიან. თუ ვინმეს ჭალს უნდა შორს, ის მაშინვე მკი-
თხავს ეკითხება, ვარგა თუ არა ამა და ამ დღეს მოგზაურობსო.
თუ ვისმე საქმე აქვს სასამართლოში, იმ შემთხვევაშიც ეკი-

თხება, მოვიგებ ამ საქმეს თუ არაო. რასაკვირველია, მარჩინებული
ამ შემთხვევაშიც ძალიან ეშმაკურად იქცევა დაურტყმებული
საწყალ ხალხს. ასე გასინჯეთ, სვანეთიდგანაც კი შტრიქონებულ
ლაილაშში მარჩინელთან ოთხ-ხუთის დღის მანძილზედ. მეტად-
რე მაშინ, როცა ავად გაუხდებათ ვინმე. საჭიროა სვანეთს სა-
კუთარი ექიმი ჰყავდეს, რომ ხალხს გაჭირვებაში დაეხმაროს.

ს ვ ა ნ ი თ ი

უველამ იცის, რა მიყრუებული კუთხეა სვანეთი. ზამთრო-
ბით სვანეთში გადასვლა შეუძლებელია, ზაფხულობით საშიშია,
ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ სვანეთი დღეს უველა-
ფერს მოკლებულია: მართლაც უურნალ-გაზეთები (სამწუხა-
როდ მათ სამიოდე კაცი იწერს მარტო) ორის თვის განმავლო-
ბაში ძლიერ მოაღწევს ხოლმე ჩვენამდის, ასე რომ მანდაური
ძველი ამბავი ჩვენთვის ახალია; წერილის გაგზავნა რომ გვინ-
დოდეს, კაცი უნდა ვიქირაოთ. ერთის სიტყვით, უგზოობა, ძლი-
ერ გვაწუხებს და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ? მაგრამ რო-
გორც შევიტყვეთ, მთავრობას გადაუდვია რამდენიმე ათასი მა-
ნეთი სვანეთში გზების გასაყვანად. ადვილად წარმოიდგენთ,
მკითხველო, რა სიხარულს მივეცით თავი ამ ამბის გაგონება-
ზედ?.. დიალ ძალიან გვიხარიდა, მაგრამ ეს სიხარული მწუხარე-
ზად გადაგვექცა. როგორც გვეუპნებიან და გვესმის, ზოგიერთს
პირებს გზის გაყვანა არასასურველისა და გამოუყენებლის
მხრით, ე. ი. ლენენერით ჰსურთ თურმე და სცდილობენ, ეს სუ-
რვილი აღასრულონ. ლენენერით გზის გაყვანის უვარგისობაზედ
და გამოუყენებლობაზედ ამ წერილში ჩვენ არაფერს ვიტყვით;

ამ საგნის შესახებ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ შემდეგ, რომელიც კი დრო ნებას მოგვცემს. აქ კი უნდა ვურჩიოთ, იმაზ, რომ ლებედისაც ლენსერით გზის გაყვანა ჰსურთ, რომ პირველი შემდები უკან დასწიონ და საზოგადო ინტერესებს ემსახურონ.

ამჟამად სვანეთს ჰყავს თავისი საკუთარი ექიმი, ბატონი ტერტეროვი და დალაქი ბ-ნი ბარელიძე. ამ გარემოებით ჩვენ, რასაკვირველია, ძლიერ მოხარული უნდა ვიყოთ. მაგრამ არ შეგვიძლიან, ცოტაოდენი უქმაყოფილება მაინც არ გამოვაცხადოთ. ბ. ტერტეროვი მართალია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ დალაქს ბ. ბარელიძეს კი უნდა ვურჩიოთ, რომ ფეხის ჭირის, თუ ცხენისა, ავადმყოფთან მისელი-სათვის და ნახვისათვის სამს მანეთს ცოტა რამ დაუკლოს, რადგანაც სამის მანეთის შოვნა მოწყვეტილ, გადაკარგულ სვანეთში მცხოვრებისათვის მეტად საძნელოა. მეორე, კარგი იქნებოდა უიმისოდაც ლატაქს სვანებს წამლის მიცემის დროს ხორავს — ყველს, პურს, ხორცს, არაყს და სხვას არ ართმევდეს. ჩემის ფიქრით, ის წამლები, რომელთაც თქვენ ჩ. ბარელიძევ, ურიგებთ ექიმის ბრძანებით გაჭირვებულთ, სახელმწიფოა და მუქ-თად უნდა ეძლიოს მათ. არამც თუ გვგონია, ეს ასეა. სვანს პურისა, ყველისა, ხორცისა და არაყის მეტი არაფერი გააჩნია და თუ ესეც სხვას მისცა და სხვა არჩინა, მას რაღა დარჩება.

წირილი სვანითიდგან

ყველამ იცის თუ რა მიუდგომელი მხარეა სვანეთი. მთელი რვა თვე ზამთარია და კაცს სვანეთში დაძვრა არ შეუძლიან ადგილიდან, მხოლოდ სამი თვის განმავლობაში თუ

პნახავს კაცი სვანეთს და სვანი სხვა მახლობელს მხარეს; მაგრა
მაშინაც საძნელოა მოგზაურობა გზების უვარგისობრივი რეგისტრი
რამდენი ბოქაული გამოიცვალა სვანეთში, მაგრამ ასცურითობა
მათგანმა მისს ძირეულს საჭიროებას, მაგალითად, გზების გა-
უმჯობესებასა და სხვას, არ მიაქცია ყურადღება. იყვნენ კეთი-
ლნი, მაგრამ ისინიც მხოლოდ ვიწრო წრეში მოქმედებდნენ. არ
შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ახლად გამწესებული ჩვენში ბო-
ქაული ს. ლ. დალაქიშვილი, რომლის მობრძანება ჩვენში უნა-
ყოფოდ არ დარჩენილა. იგი მოსკოლისთანავე შეუდგა ახალის
გზების გაყვანას. ეს გზები ვაკეა, მოხდენილს ალაგს გაყვანი-
ლი, საქმაო სიფართოვე ექნება; ეტყობა, რომ ბ-ნი დალაქიშვი-
ლი ამ საქმეში ძლიერ გამოცდილია. ეს კი შევნიშნოთ, რომ
ზოგიერთში მამასახლისებრა ბოქაულის გეგმას არ მისდიეს და
ამიტომ გზა ვერ გამოვიდა რიგიანი.

ყველაზედ ვაკე, ლამაზი, მკვიდრი გზა გაიყვანა მესტიის მა-
მასახლისმა მ. მჭედლიანმა, რომელიც სხვა მამასახლისების
მხრივ მიბაძების ღირსია. ბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ახალის
გზების გაყვანა დიდს სარგებლობას მოუტანს სვანეთს, რომე-
ლიც თავის დღეში არ დაივიწყებს ბ-ნის დალაქიშვილის ამაგსა
და ყოველთვის მისი მხსენებელი იქნება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი გარემოება... 28 ივნისს,
როდესაც ს. მესტიაში ახალს გზას აქეთებდნენ, უზარმაზარის
ქვის ქვეშ ორის ადლის სიღრმეში პნახეს 21 ნაჭერი სხვადასხვა
გვარი ნივთი. სამი ნაჭერი რეინისაა (1 — სატეხი, 2 და 3 დამ-
ტვრეულია) და უანგისაგან მთლად შექმულია, თუმცა-ლა ნივ-
თები მშრალს ალაგს ყოფილა. 4) ლანგარი უტარო, დაჭრელე-
ბული ლამაზის ზოლებით, სიგრძით ნახევარი ადლია; 5) ხან-
ჯალი, ტარმოტეხილი, სიგრძით 7- ვოჭია; 6 და 7) ორი საომარი



ნაგაზი, სიგრძით ხუთ-ხუთი გოჭი, პირი სივრცით როდე გოჭი
აქვს, ორივე ლამაზი ზოლებით არის დაჭრელებული ჩატაშკაშა; 8)
8) რაღაც იარაღი, სიგრძე აქვს 6 გოჭი, პირი სიგანძით ორხახე-
ვარი გოჭი. 9) დანა — 4 გოჭი; 10) უცნობის ფრინველის სახე —
ერთი გოჭი; 11, 12, 13) სამი რგოლი სხვადასხვა ზომისა; ერთი
მეშვიდედი ალაგი ღია აქვთ, ერთი დაუანგებულია; რა სახმარი-
სანი იყვნენ ეს ნივთები, ჩემთვის გაუგებარია. 14) ხელსაკიდი
რგოლი — 11 გოჭი. 15-16) ორი ლამაზის სახის ნივთი, რო-
მელთა მნიშვნელობა ვერ გავიგე, ჩემის ფიქრით, კაცის დამაშ-
შვენებელი იარაღები უნდა იყოს. 17, 18, 19) სამი რგოლი.
20) კიდევ რგოლი, 21 სადგისი — 5 გოჭის სიგრძისა.

როგორც ზემოთა ვსთქვით, პირველი სამი ნივთი რკინისანი
არიან, ხოლო დანარჩენი 18 ნივთი თითბირისა. ყველა ეს ნივ-
თები, გარდა რკინეულობისა, შეღებილია ლურჯის საღებავით,
რომლის მოშორება გაუფხეკლად საძნელოა და ისე მშვენივ-
რად შენახულა, რომ გავიკვირდებათ. შეიძლება ეს. ნივთები
არხეოლოგისათვის გამოსადექი არ იყოს, მაგრამ მაინც საინ-
ტერესოა ყველასათვის.

წირილი სვანეთიდგან

ვერაფერი ნუგეში მოგვიტანა სვანებს წრევანდელმა წე-
ლიწადმა: ჯერ იყო და ავდრიანობამ შეგვაწუხა, ნამუშავარი
აღარ დაამწიფა რიგიანად, მერე იყო და თაგვებმა და წვრილმა
კალიამ მოსავალი გაგვიოხრა. მე თვითონ, ამ სტრიქონების და-
მწერი, ეიყავი იმისი მოწამე, რომ მოსავლის მოწევის დროს მკე-
ლებს კალია წინ მიუძლოდა ჯარივით და შრომას უმსუბუქებ-

და; თითქმის მოსავლის ნახევარს თაველი აღარა ჰქონდა შე-
ჩენილი. მართალია გალია ჩვენში აქამდისაც ჰპუდობრეულება
რამ ამგვარი არაეს არ ასოვს. ეს სამი წელიწადი ვპევნის ცეკვა
ამ მოვლენას, მაგრამ წრევანდელმა დაკვირვებამ და კალის
კვერცხების სიმრავლემ დამარტინა, რომ ბოლოს და ბოლოს
საქმე სახუმაროდ არ მიღის. ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს. ხში-
რმა წვიმებმა ხომ არც ნამუშევარი გაგვალეშინა, არც თივა მო-
გვატანინა შინ; ზოგვან კი მოუმკელი ქერ-პური თოვლმა სრუ-
ლიად დააწვინა და გააფუჭა. ეკენისთვის 10—15-დღან დაგი-
დგა თბილი ამინდები, თორემ 20 აგვისტოდან დამოკიდებული
10 ეკენისთვემდის ნამეტანმა სიცივემ შეგვაწუხა, თითქმის ბა-
რადაც მოთვა, მთაში ხომ ლაპარაკი არ უნდა. ერთის სიტ-
ყვით, უამისოდაც გაჭირვებული ჩვენი ცხოვრება ქვეითდება.

ეს რამდენიმე წელიწადია ჩვენმა სვანეთმა დიდი სიმშილი
გამოცადა, ეხლა არის და სულის მოთქმას რომ მოველოდით,
უარესი მოგვივიდა. არც ჩვენმა ნამუშავარმა ივარგა, არც ჩვენს
მეზობელს ლეჩხუმს დაუდგა ამ წოლო ხანს კარგი წლები. აქა-
მდის სიმინდს ლეჩხუმი გვაწვდიდა, ახლა კი, ვგონებ თვითონ
ის საჭიროებს ხელის გამართვას. ისევ იძულებული შევიქენით
ქუთაისიდგან და ქვემო იმერეთიდგან ვზიდოთ სიმინდი, მაგრამ
რა უნდა ვქნათ, ან განა რამედ დაფასდება ჩვენი ცხოვრება, რო-
დესაც ორი კვირა ოთხის ფუთის სიმინდის მოსატანად გზახედ
ვათევთ ღამეს ღია ცის ქვეშ და ცოლ-შვილი კი ღვთის ანაბარას
არის დატოვებული? ან რა უნდა პქნას მხოლოდ ოთხმა ფუთმა
სიმინდმა იმისთანა მრავალწევროვანს ოჯახში, როგორიც არის
სვანის ოჯახი? ეგეც თქვენი ჭირის სანაცელო იყოს, მაგარი ის
არის, რომ იმასაც ვერ ვშოულობთ ხეირიან ფასად-ეიღაც ჩარჩ-
ბაცაცების შეოხებით.

თუმცა ყველა ეს უჭედურება თავზე გვაწევს, მაგრამ
იმედს მაინც არ კვარგავთ, ვისი იმედი გვაქვს არც ტექნიკურად
მაგრამ როგორ არ უნდა ვიქონიოთ იმედი, როდესაც ჩვენს მი-
ყრუებულს, მიტოვებულს ქვეყანას ხანდახან საუკეთესო სტუ-
მარნი ეწვევიან ხოლმე, და გვგონია, ჩვენც განათლებაში ჩავ-
დგამთ ფეხსაო. პროფესორნი, ნაწილი, ბობოლა და შესა-
ნიშნავნი კაცნი ჩვენსკენ მორბიან და იმედი გვაქვს, რასმეს გა-
გვიქეთებენო. წელსაც გვეწვია რამდენიმე მოგზაური, მაგრამ
ჩვენსავით ვერც იმათ შეხედათ კარგი ღრო. სხვათა შორის,
ოთხმა ალპინისტმა 5—10 ეკენისთვეს გადააბიჯეს სვანეთით
ნალჯიკისაკენ, მაგრამ ცუდმა ამინდმა მოუსწრო და უბედუ-
რება დატრიალდა. თვითონ მოგზაურებმა რამდენიმე მხლებ-
ლებით ძლიერ მოასწრეს მთაზედ გადააბიჯება, მაგრამ დანარჩე-
ნებმა, რომელნიც ბარგს მისდევდნენ, სვანეთის შეუწყნარებე-
ლის ბუნების ძალა გამოსცადეს. თოვლი, ქარბუქი იქამდის
გაძლიერებულიყო, რომ ვერც კაცი, ვერც ცხენები აღგილიდან
ვერ დაძრულან. ბოლოს სასტიქმა ბუნებამ მაინც თავისი ჰქნა
და რამდენიმე მსხვერპლი შეიწირა. აწ განსვენებულმა პლატონ
ჯანელიძემ, რომელიც ლეჩებუმის მაზრის სამმართველოში პმსა-
ხურობდა და მგზავრებს ახლდა, ვერ გაუძლო ამ ძალას, სიცი-
ვეს გაეყინა და იქვე გაშეშებულიყო. ორს სვანს სიცივისა გამო
ხელ-ფეხი დასწოლდათ, სამი ცხენი, ჭორი და ორი ვირი იქვე
დამკვდარიყვნენ თოვლზედ... ალპინისტებმა უშველეს თავს,
მაგრამ რაღა ეშველებათ განსვენებულის წვრილ ცოლ-შვილს?
მგონია ალპინისტების მოგზაურობა იმათ ვერ არჩენს!.. განსვე-
ნებულს ბევრი უმსახურია ამგვარ მოგზაურთათვის თავისს
სიცოცხლეში, ბოლოს ღროს მაინც იმათს სამსახურში ამ წუ-
თისოფელს მოკლდა და ცოლ-შვილი დააობლ-დააქვრივა. ამი-

ტომ, ჩემის ფიქრით, იმისს ცოლ-შვილს, თუ სადმე ხამართა-
ლია, შემწეობა უნდა მიეცეს ვისგანაც ჯერ არს. იმედეული წევა-
მოთხსენებული ალპინისტები, როგორც განათლებულნი შეკრიფუა
ცოლ-შვილის ცოდვას არ ანახვინებენ სოფელს და მისცემენ
როგორმე სახსარს ცხოვრებისას.

მოგახსენეთ, რომ ასე გვგონია, განათლებაში ფეხს ჩავ-
დგამთო, მაგრამ რის ჩადგმა, როდესაც ფეხი არც კი დაგვიძ-
ვრია აღგილიდგან განათლების მხრივ! საიმედოს ბევრს გვეუ-
ბნებიან, მაგრამ ცარიელი იმედი აბა რას გამოგვად-
გება?...

მოვიხსენიებ ხალხის აზრს ქართულის ენის შესახებ. „ქარ-
თულიც ძლიერ საჭიროა ჩვენთვისათ“, ამბობენ სვანები. ქართუ-
ლის წერა-კითხვის ცოდნა საკმარისია, რომ ჩვენ ის გამოვიყე-
ნოთ ჩვენდა სასარგებლოდ. ქართულის ენის შესწავლა ჩვენს
შვილებს ძლიერ ეადვილებათ, დიდებმა კი თითქმის ყველამ ვი-
ცით და წერა-კითხვის ცოდნალაა საჭირო, რომ ჩვენ ლუქმა-პუ-
რი ვიშოვნოთ, რომელიც ჩვენთვის ვგონებთ, არვის არ შეეხარ-
ბება. ჩვენი ხშირი საშოვარი აღგილები არის: ლეჩხუმი, რაჭა,
იმერეთი, ქუთაისი, ხშირად ქართლიც, გურია, სამეგრელო, სა-
მურზაყანო და აფხაზეთი, სადაც ქართულად პლაპარაკობენ;
ამ აღგილებში ვაჭრობა, აღებ-მიცემობა უმეტეს ნაწილად სრუ-
ლდება ქართულის წეს-რიგით. ჩვენც იმათთან გვაქვს უფრო
ხშირად საქმე; ან მიწას ვთხრით, ან თხრილს ვიღებთ, ან სი-
მინდ-ყურძენს ვუწევთ, ან გზებს ვუკეთებთ. ბევრი ჩვენი შვი-
ლთაგანი კი მხოლოდ პირველდაწყებითს სწავლას იძენს და სა-
შუალო სასწავლებლებში ვერ მიდის სიღარისისა გამო. ამიტომ
ისინი იძულებულნი არიან ისევ საკუთარი ხელით და ოფლის
ღვრით იშოვნონ პური. ამ შემთხვევაში კი რუსული ენის ცო-

დნასთან ერთად საჭირო იმათვეის ქართული ენის ცოტნა და
წერა-კითხვა. „ამდა ძლუდ წყალობ ირა, ჰე ლურუსურაქერ ჩიშ-
გვე გეზლირს ქართვილსი ახთვენნედ!“ (ამიტომ დიჭაწყალო-
ბა იქნებს, თუ კი რუსულ ენასთან ერთად ჩვენს შვილებს ქარ-
თულ წერა-კითხვასაც ასწავლითო!..)

ამდენ ვაი-ვაგლახთან, სიმშილობასთან ავადმყოფობაც გა-
ხშირდა ჩვენში. საკვირველია, მკითხველო, რომ ამგვარს საღს
ალიგის, როგორიც არის სვანეთი, ავადმყოფობა ხშირი იყოს,
მაგრამ ეს ასე არის. ამის მიზეზი ბევრია, სხვათა შორის უეჭი-
მობა და უწამლობაცა. სვანეთისა ჰყავს ერთი ექიმი და ერთი
დალაქი, მაგრამ რათ გინდათ? ყველა ჩვენში სამსახურს სწუ-
ნობს და აბუჩად იგდებს. ექიმი გვეწვევა ივნისის დამლევში,
მოგვინახულებს (მაღლობელი ვართ) და აგვისტოს დამლევს
წაბრძანდება ალაბმა უწყის სად!.. გვრჩება დალაქი ორი მუჭა
სახელმწიფო წამლითა, მაგრამ რათ გინდა, როდესაც საწყალი
სვანი იმათაც ვერა სარგებლობს რიგიანად! დალაქს წამალს
ვერა სოხოვს.. ყველას ეშველა და ჩვენ კი არა გვეშველა რა!
სულ უიღბლობა და უიღბლობა!....

ჩემის აზრით, ვერავითარი დახმარება იმდენს სარგებლო-
ბას ვერ ვაუწევს სვანებს, როგორც ავადმყოფებისათვის ქსე-
ნონის დაარსება. ამიტომ სასურველია სვანეთში დაარსდეს
ქსენონი. რაც შეეხება ხარჯს, ხაზინას იგი ძვირად არ დაუკდება.
განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ექიმი და ორი ფერშალი,
რომელნიც სვანეთისად ბწოდებიან და ირიცხებიან, მუდამ სვა-
ნეთის საპოქაულოში იქმნებიან. სხვა შევრი ხარჯი არ დაუკდება
რა მთავრობას, როგორც, მაგალითად, სხვა ადგილებში. თუნ-
დაც რომ დაჯდეს, თავშესაფარი მაინც ბევრ სარგებლობას გა-
უწევს როგორც მთავრობას, ისე ადგილობრივ მკვიდრთაც. ქსე-

ნონის დაარსების საჭიროებას სვანეთში შემდეგი მოსაზრება /
ამართლებს: ჩვენში კაცის კვლა, დაჩქა, დამახინჯება ზამთრულ-
ბით უფრო ხშირია. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა მკუთხალისა
მხრივ შემოწმება მიცვალებულის გვამისა, მაგრამ, რაღაც ზა-
მთარში ჩვენ არც ექიმი გვყავს და არც მომრიგებელ-მოსამარ-
თლე, ამიტომ გვამის შემოწმება ხდება ხშირად 9—10 თვის
შემდეგ (ბევრჯერ 2—3 წლის შემდეგ), როდესაც მთელი სხე-
ული გახრწნილია და მხოლოდ ძვლები-ღა რჩება. ამისთანა შემ-
თხვევაში, რასაკეირველია, სინამდვილით ჭრილობის შემოწმე-
ბა შეუძლებელია და სამართლიანს დასკვნას ძეირად თუ დაად-
გება ექიმი. გარდა ამისა, კიდევ ერთი გარემოება აჭეშმარიტებს
ჩვენში მიცვალებულის გვამის უდროოდ 9—10 თვის შემდეგ
შემოწმების უვარვისობას და ნაკლოვანებას. სვანების ფიქრით,
მიცვალებულის ხელშეორედ ამოღებს და დამარხვა ორნაირი
სიკვდილია. ასეთის აზრით უცქერიან სვანები მიცვალებულის
საფლავიდან ამოღებას და ამიტომაც ხშირად მომხდარა, რომ
ადგილობრივ მკვიდრო ძალადობა გაუწევიათ ხოლმე მთავრო-
ბისათვის მიცვალებულის გვამის ამოღების დროს და არ მოუ-
შეიათ გვამის შესამოწმებლად. ამ უხერხულობის და წინააღ-
მდეგობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ექიმი
მუდამ ადგილობრივ იქნება და დროზე შეამოწმებს გვამსა. და
თუ მთავრობა გაგვაძელნიერებს სვანებს ქსენონის დაარსებით,
იმ შემთხვევაშიც ექიმიც ვალდებული იქნება მუდამ სვანეთის
საბოჭაულოში იცხოვროს და ქსენონს ვერ მოშორდებს. დარ-
წმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი პ-ნი ყი-
ფიანი უნარს გამოიჩენს ამ საქმეში და ქსენონის დაარსების
ლირსად გაგვხდის.



აიღეთ ხელში გეოგრაფიული ჩუქა, გადაშაცვალით მდინარეები: ენგური, რომელიც პირდაპირ შავ ზღვას ჩაერთვის და ცხენისწყალი, რომელიც მდინარე რიონში ჩადის, გადალახეთ სამეგრელო-ლეჩხუმი და თქვენს წინ გადაიშლება მეზობელი სვანეთი, მდებარე ხსენებული მდინარეების სათავეებს შუა.

სვანი თავის ქვეყანას ეძახის „შვანს“, ხოლო თავის თავს „მუშვანს“. მის მეზობელ ქვეყანას — სამეგრელოს სვანი ეძახის „ზანს“, მეგრელს კი — „მუზანს“, ხოლო ეს უკანასკნელი კი მას ეძახის „შონის“.

მეზობელი ხალხი მაპმადის სარწმუნოებისა — ყაბარდოელები იწოდებიან სვანების მიერ „სავიარ“-ად, ქვეყანას კი ეძახიან „სავ“-ს, ხოლო ისინი სვანებს უწოდებენ „ებზე“-ს (ეზელერ).

სვანმა თავის ჩამომავლობის შესახებ პრაფერი იცის. წერილობითი ცნობებიც სვანეთის შესახებ ძლიერ ცოტაა, როგორც ქართულს ისე უცხო მატიანეებში.

ვინ არიან სვანები, ან საიდან წარმოდგნენ — ეს კითხვა ჭერაც არ არის ნათლად გარკვეული. ზოგიერთნი სვანებს ქართველთა ნათესავ ტომად აღიარებენ, ზოგნი კი წინააღმდეგნი არიან ამ აზრისა, თუმცა-და თავის აზრს ვერაფრით ვერ ასაბუთებენ. პირველს აზრს აღვანან მე-17 საუკუნის მწერალი დოსითეონი — იერუსალიმის პატრიარქი; შარდენი, გიულდენ-შტედტი, კლაპოტრი და დიუბუა დე მონპრე. უმრავლესი ნაწილი ახალის მწერლებისა კი არ ეთანხმება ამ აზრს და არც მოჰყავს რაიმე მაგარი საცუთები, რომ მათი სიტყვა დასაჯერებელი 130

ბელი იყოს. ამ დასს ეკუთვნის ბ. სტოიანოვი, თუკი ეს პატიორი სანი, „სეანური ენის მცოდნე“, ნებას მოგვცემს ჩატარებული იგი მწერალთა რიცხვში.

ჩვენის ფიქრით, სვანები ეკუთვნიან ქართველების ტომს. შართალია ასეთის აზრის წარმოთქმის ზოგიერთნი აჩქარებად ჩა- მოგვართმევენ, მაგრამ ჩვენ მაინც ამ აზრს ვერავინ ვერ შეგვა- ცვლევინებს, დარწმუნებული ვართ რა იმაში, რომ დღეს თუ ხვალ ეს საკითხი დაბოლოვდება და ყველა აღიარებს სვანებს ქართველთა ნათესავს ტომად. ამ აზრის თქმას გვაძედვინებს შემდეგნი მოსაზრებანი: პირისახდო სვანი ძლიერა ჰგავს საქარ- თველოს სხვადასხვა მთიულ ხალხს — ფშავ-ხევსურებს და სხვას. გარდა ამისა, სვანების ზნე-ჩვეულება პევრათა ჰგავს ქართველების ყოფა-ცხოვრებას.

პირველ ნახვაზედ სვანი შეიძლება ძნელი გამოსაცნობი იქნეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მას ახლოს, დავრწმუნდებით, რომ ის ქართველთ ნათესავს ტომს ეკუთვნის.

სვანური ენა (თუ შეიძლება ასე ეუწოდოთ), რომელიც პი- რველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგი- ვე ქართული ენაა. სამი მეოთხედი სვანურის სიტყვებისა ნამდ- ვილი ქართული სიტყვებია. ამას გარდა, სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვია. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია. ეს აზრი არც ქართველ მემატია- ნეთა აზრს ეწინააღმდეგება. სიტყვა სვანეთ-მათის ფიქრით წა- რმოსდება სიტყვისაგან „სავანეთი“. ამავე აზრის სასარგებ- ლოდ ლაპარაკობს ის, რომ სვანები თავისი ქვეყნის გაყოფის ჯროს ხმარობენ სიტყვებს „უაბე ხევ“ (ზედა ხევი) და „ჩვაბე ხევ“ (ქვედა ხევი). ასევე ხმარობდნენ წინეთ საქართველოს სხვა მთიული ხალხნიც.

სვანეთი სავსეა ძველებური საყდრებით, ხატებით, მუამზე
დაწერილი ძველი საღმროო წიგნებით და სხვა ძალისა კართველების აშ-
თებით. რისთვის უნდა აეშენებიათ სვანეთში ქართველებს აშ-
ლენი აუარებელი ეკლესიები, ან რისთვის უნდა ეგზავნათ სვა-
ნეთში ქართველებს ამდენი სიმდიდრე, თუკი არა სოელიდნენ
სვანებს თავისს მონათესავე ხალხად? აქ არ იქნება არ მოვიყვა-
ნოთ უცხო და ქართველ მწერალთა აზრი სვანეთის შესახებ.

სვანეთი პირველად ცნობილია ქრისტეს შობამდე ორნახე-
ვარი საუკუნის წინეთ საქართველოს პირველი მეფის ფარნაო-
ზის დროს. ფარნაოზ მეფე თავისს სიძეს ქუჯს ამწესებს სვანე-
თისა და ეგრისის ერისთავად. ქრისტეს ამაღლების შემდეგ ან-
დრია მოციქული სიმონ კანანელთან ერთად და სხვა მოწაფე-
ებითურთ, რომელთა რიცხვში მატათაც იხსენიება, ჰქალაგობს
ქრისტიანობას მესხეთსა და აფხაზეთში, აქედან მიღის სვანეთ-
ში, რომელსაც ქალი მართავს და რომელიც ქრისტიანობას იღ-
ებს. მატათა და სხვა მოწაფენი ჩჩებიან სვანეთში, ანდრია კი
სხვა მოწაფეებითურთ მიღის ოსეთისაკენ. ეს არის ქართველ
მემატიანეთა აზრი. ამ აზრსავე ეთანხმებიან ბერძნების მწერ-
ლები. მათში ერთი ფიქრობს, რომ სიმონ კანანელი მოპკლეს
სვანებმათ. ბიზანტიის მწერლები: სტრაბონი (66 წელს ქრის-
ტეს შობის წინეთ და 24 წ. ქრ. დაბადების შემდეგ) და პლინი
(29—79 წ. ქრისტეს შემდეგ), რომელთაც ასწერეს რომაელე-
ბისა და სპარსელების ომი მე-5 და მე-6 საუკ. ლაზისტანის გუ-
ლისათვის იხსენიერენ სვანებს და უწოდებენ მათ „სოანებად“. „სოანები“ სცხოვრობდნენ დიოსკურიის ახლოს... ისინი იყვნენ
ძლიერნი მეომარნი, ჰყავდათ საკუთარი მეფე და ფარი, შეე-
ლოთ 200 000 ფარისკაცის გამოყვანა. ფარი ძლიერ გამბედავი
იყო, მაგრამ გამოუწყობელი. „სოანები“ ისარს შხამავდნენ,

რომლის სუნი იმწამსვე ისტუმრებდა დაჭრილს. ისინი თავიაზომ
მდინარეებში ბევრს ოქროსა ჰპოულობდნენ ნაღირთა ურტყველეს
ბის შემწეობით. სვანეთის უფროსს ნიშნავდა კოლხიდული მიზანების
თველი. „სოანები“ ემარებოდნენ სპარსელებს რომაელების
წინააღმდეგ ომში. იმათ მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება კოლხი-
დელებთან ერთად და იცავდნენ მას მაგრათ.

მატიანეს სიტყვით მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში არ-
ჩილმა, გიორგი ერისთავის ძმამ მიიღო წილად ეგრისი და სვა-
ნეთი. მე-8 საუკუნის გასულს, მეფე ლევან მეორის დროს, აფ-
ხაზეთი, რომელშიც შედიოდა იმერეთი სამეგრელოთურთ, გა-
იყო რვა საერისთავოდ და სვანეთიც ცალკე საერისთავოს შეა-
დგენდა. მე-11 საუკუნის დამლევს მეფე გიორგი მეორის დროს
სვანეთის ერისთავიდ ნაჩვენებია ვინმე ვარდანი, რომლის ჩა-
ვონებით სვანები აჯანყდებიან და თავს ესხმიან სამეგრელოს.
მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მამის დროს, სვანები ერივნენ
შანშე, დადიანის ჯარში და აოხრებენ სომხეთის ქალაქს ანისს.
ისინი დაესწრნენ ქუთაისს თამარის გვირგვინოსნობის დროს.
მათი ერისთავი იყო ბარამ ვარდანიძე. სვანებს იტყუებენ შეთ-
ქმულებაში თამარის წინააღმდეგ მისი ქმრის რუსეთის თავადის
სასარგებლოდ. თამარს აჰყავს პირველ მინისტრისა და ქუონდი-
დელობის ხარისხშე ვინმე სვანი, გელოვანთა გვარის უფროსის
შვილი, რომელიც სცხოვრობდა განდეგილ-მწირად გარეჭის მო-
ნასტერში. მე-18 საუკუნის ნახევარში რუსუდანის დროს ათა-
ბაგის ივანე მხარგრძელის ჯარში ერივნენ ლეკები და სვანები
40 000 კაცამდე. სომხების იტორიკოსების სიტყვით საქართვე-
ლოში მონგოლების შემოსევის დროს რუსუდანი თავისი შვი-
ლით თავს აფარებს სვანეთში, სადაც მოდის მოსალაპარაკებ-
ლად ორი თათრის მოციქული. ბაგრატ დიდის დროს (მე-14 სა-

ტკუნის დამლევს) სვანები თავს დაესხნენ ქუთაისს და გადა-
წვეს. ბაგრატი აუარესელი ჯარით შედის ს. ეცერშემომავლის ც
სადადენქელიანო სვანეთში სძევს, სჭის დამაზაცეთ აცხ-
რობს მათ. ბაგრატი ჩამოართმევს ერისთაობას ვარდანიძეს და
შემდეგ ისევ შეიწყნარებს და გადაპყავს გურიაში. სვანებს კი
აძლევს გელოვანს. ამგვარად თამარ მეფის დრომდე სვანეთი
საერისთავოს შეაღევნდა. თამარის დროს კი იქ ერისთავად იყო
ბარამ ვარდანიძე. მისი შთამომავლობა უფლობრივად სვანეთში ბა-
გრატის დრომდე. გელოვანების ვფარი ძველებურია.

სვანეთს უჭირავს მაღლობი მთიანი ადგილი. ის ყოველივე
მხრით შემოზღუდულია მაღალი და აუვალი მთებით, რომ-
ლებზედაც ზამთარ-ზაფხულ თოვლი სძევს. შიგნით სვანეთი
დაყოფილია ქედებად (ზუგებად), რომელთა სამხრეთი ნაწილი
ხშირი ტყით არის დაფარული, ხოლო ჩრდილოეთისა მაღალი
ბალახით, სადაც დაუდისთ დიდძალი საქონელი საძოვრად. ეს
ზუგები, ან მთაგრეხილები გამოდიან უმთავრესი კავკასიონის
ქედიდან. უმეტეს ნაწილად ეს გრეხილები შესდგება კაეისაგან,
რომელიც აქა იქ მუქ ფერს იქრავს. ამ ზოლებს შუა, ბევრგან,
პირდაპირ სათავეებთან გაქიმულან ვეებერთელა საყინულები
(ოლ-სვანურად), რომლების სიგრძე ხანდიხან 10—16 კერსამდის
მიაღწევს. ეს საყინულები შეუმჩნევლად მიიჩლაზნებიან ქე-
ით და ქვეით. ზოგიერთნი მათგანნი თითქო დაკიდებულან
მთაზედ და ისე მაგრად აწვერიან იქით-აქედგან, რომ ავერ, ერთ
წამს, მოსწყდებიან და მათი შემაძრწუნესელი ხმაურობა იქაუ-
რობას ზარსავით მოეფინებაო. საზარელი სანახაეთია საზოგა-
დოთ საყინულე. რამდენიმე ვერსის სიგრძეზედ გაჭიმულა ქვა-
სავით მაგარი ყინულის მინდორი, რომლის ზედა პირი დაფენი-
ლია ხან ნემსივით წვეტიანი ყინულებით, ხან უზარმაზარი რკი-

ნისა და კაერის ქვებით, ხან მიწით და ხან რით. ესენი ნაშვაცერთ
აგერ ნემსივით წვეტიანს ყინულზედ წამოსკუპებულა ზურგულე
ბელი ქვა, რომლის (ზაფხულობით) ტემპერატურული მარტინი
გარსშემოვლებულს ყინულს, ბოლოს ველარ იმაგრებს თავს და
შემაძრწუნებელის ხმაურობით ვარდება ეფშაპისებურ ხახადა-
ლებულს საყინულის მუცელში და იკარგება უფსკრულში, სა-
დაც მას უარესი დღე ადგენა. ამ უზარმაშარ საყინულეებიდ-
გან გამოდიან სვანეთის ლრიალა და ცივი მდინარეები. ზაფხუ-
ლობით ეს მდინარეები მუქი ფერისაა. ეს იმიტომაა, რომ სა-
ყინულე, რომელიც შეუმჩნეველად ქვევით და ქვევით შიიჩლა-
ზნება, აშვება მის ქვეშ მდებარე ქვებს, მტერად აქცევს მათ,
რის გამოც წყალს მუქი ფერი ეძლევა, და უერთებს მის ქვეშ
მიმდინარე წყალს, რომელსაც მიაქვს ეს შეზავებული მაღნე-
ულობა, გადის კლდე-ღრანტეებში, საღაც უარესი დღე ადგება,
ქაფდება, იკერის ბურთსავით, ისკრის ვერენერთელა ზვირთებს,
გადაჭქუხს და იქაურობას ელეკენა. რასაკეირველია, ამის გამო
ქვიშაში ბევრი მაღნეულობაა შერეული. ამ ბუნების სავსებით
კალმით აღწერა არ შეიძლება. მკითხველი მხოლოდ მაშინ მი-
ხვდება ამას და შეიგნებს, როდესაც თავისი თვალით ნახევს
მათ, ამ უსულო ვეშაპებს და მათზედ მოგზაურობით გაძლება...
რაო? განა ყინულზედ მოგზაურობა შეიძლებაო? იყითხავს ზო-
გიერთი მკითხველი. დიახ, სასიამოენო (ჩემთვის და სხვის-
თვის არ ვიცი, მკითხველო!) სანახაობას წარმოადგენს საყი-
ნულეზედ მოგზაურობა. სვანი ძლიერ დახელოვნებულია მათ-
ზედ მოგზაურობით. არა მგონია ვინმე შეეღრებოდეს მას ამაში,
ვერც ალპინისტი, ვერც სხვა ვინმე. სვანს თუ ყაჩარდოსკენ,
ზეგემ-ზახსანისკენ მოუხდა წასვლა. უსათუოდ საყინულეებიც
უნდა გაიაროს. ამ შემთხვევაში რამდენი კაციც უნდა იყვეს,

ზოგიერთს საშიშ ალაგას ერთმანეთს გადაებშებიან თუკით უ-
ლშედ, ერთი წინ მიღის, ხელში ჯოხი უჭირავს და თუკულუანის
ალაგს, რომელიც საშიშია ჩატეხისაგან, ჯოხით სინემფასანიშა
არის თუ არა. ჩშირადაა, რომ ზემოთ თოვლი სძევს, ქვეშ კი
ღია ნაპრალია საყინულესი და თუ ამისთანა ალაგას დააბიჯე
ფეხი, უფსკრულში ჩავარდები. აი ამ შემთხვევისთვისაა გამო-
სადექი თოვი. წინა კაცი რომ ჩავარდება, იმას მეორე დაიჭირს,
მეორეს მესამე და ამგვარად ბოლომდე. ბევრგან სვანეთის მთის
ქედები შესდგება შავი შიფრისაგან. მზა ასპიდის ფიცარი ყვე-
ლგან მოიპოვება; სვანი მით სარგენლობს, პურს აცხობს ზედ
და სახლებს ხურავს. მთებში ბევრი მაღნეულობაა: ოქრო, ვერ-
ცხლი, სპილენძი, რკინა, გოგირდი და სხვა. ეს იმითი დამტკიც-
დება, რომ თითქმის ყოველს ნაბიჯზედ თქვენ ხედავთ რკინისა,
გოგირდისა და სხვა მაღნეულს, წყლებს, რომელთა სიმრავ-
ლეს კაცი განცვიფრებაში მოჰყავს. შესანიშნავი წყლებია: ს.
იფარში — გოგირდის წყალი, რომელიც კანს უხდება; ს. მუ-
ჟალ-მულახში — რკინისა და მეავე წყლები, სასმელად მწვენი-
ერი, ს. ბებოში — მეავე წყალი, ს. ცხუმარში მეავე წყალი და
სხვა. შესანიშნავი მწვერვალებია: ვიშბა¹ (17000 ფუტი),
თვეთნულდ, მუშურ, ლატფარ, ლეხზირ, ლასილ.

სვანეთი გაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდგან აღმოსავ-
ლეთ-ჩრდილოეთისაკენ კავკასიონის ორ ქედს შუა; მას უჭი-
რავს ძლიერ მაღალი ადგილი და თითქმის ოთხივე კუთხით შე-
მოზღუდულია მაღალი მიუვალი ციცაბო მთებით, რომლებზე-

¹ ეს სიტუატა, ვგონებ, თაორულია: ვიჩ ბაშ — სამი თავი; ორი წვერი
ეხლაც ჩანს, ხოლო მესამემ ალბათ იყლო და ვასწორდა დანარჩენებთან,
(შენიშვნა ეკუთვნის ი. მარგიანს — შემდგ.).

დაც შუდამ თოვლი სძევს. აღვილი წარმოსადგენია, რომაშის 78
შო სვანეთის ბუნება სასტიკი იქმნება. ზამთარი სვანეთში 79
თვეს გასტანს. ოქტომბერში, ხანდისხან სექტემბერშიც ჭყაფა
ვლი სძევს და გადასასვლელი მთაგრეხილები იკვრის. მხოლოდ
ივნისის დამლევს იშუობა მთაზედ მისვლა-მოსვლა, რასაკვირ-
ველია, ცხენითაც; მანამდისინ კი სვანები დამწყვდეული
არიან ერთს ალაგს და არსად თავისუფალი გზა არა
იქვთ.

ზამთარში აქ თოვლი ხან ორ-სამ არშინამდე მოდის, ხან
კი ნაკლები. სიცივეები იცის, მაგრამ არც იმდენად სასტიკი,
როგორც რუსეთში (ორთა შუა რიცხვით 12—14 გრადუსი).
ყინვები თუ ცოტა თოვლია, უფრო მძლავრია; დიდს თოვლია-
ნობისას კი მაინც და მაინც სასტიკი ყინვები არ იცის. მზეს ზა-
მთარში ძვირათ თუ დაინახავს სვანი. ის ან სულ დაფარულია
ღრუბლით, ან ოდნავ-და მოსჩანს. სვანი სიცივეს ძლიერ იტანს,
ის სიცხეს იმჭენად ვერ იტანს, რამდენადაც სიცივის ატანა
შეუძლიან. ხშირად სვანი მოგზაურობის დროს მთელს ღამეს
თოვლში ათენებს. მისი ლეიბ-საბანი თოვლია და ღამის დარაგი
კი უზარმაზარი მთები, რომლებიც უფრო მომეტებულს სუსხს
უგზავნიან მას. ასეთი ღამეები თითქმის ყოველ სვანს ახსოვს,
მაგრამ ის გულგრილად იხსენიებს მათ და ერთი სამდურავიც
არ წამოსცდება. გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა სვანე-
თში საუკეთესო დროა. ესენია: ივნისი, ივლისი, აგვისტო და
ენერისთვე. სწორედ ეს ოთხი თვეები უმშვენიერესნი თვეებია
სვანეთისათვის და მგზავრისთვისაც. ამ დროს თქვენ არც
სიცივე გაწუხებთ და არც სიცხე. თქვენს წინ გადაშლილია
მშვენიერი სანახაობა: ტყე შემოსილია, მთები ამწვანებულია,
ყანები და მინდვრები თქვენს თვალს ატკბობს, მდინარეები

ადიდებულან, მიზაბიან ღრიალ-ღრიალით; აგერ წყალი კვერი-
ბა თამამად უზარმაზარ ქვეს გაიტანს, აგერ კლდის მაჭარეზე შემო-
ლეშავს და მტვრად აქცევს, იკვრის ბურთსავით ჰქი თუ კურიაძეს
გამომეტებით ეშვება. შიგ უტკბილესი კალმახი სცხოვრობს.
ჰავა ამ რთხს თვეში ზომიერია: სიცივე არ იცის, გვალვა კი ნაკ-
ლები მოვლენაა. სვანეთში ნიადაგი მიწისა ბიაზვარია და სა-
ზოგადოთ კი ნოკიერი.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ სვანმა მისს წარსულზედ შევრი
არაფერი არ იცის მეთქი. მართალია, დარჩენილან აქამომდე
რამდენიმე გარდმოცემანი, მაგრამ ესენი უფრო ახლო-მახლო
დროს შეეხებიან, ვიდრე ძველსა. ხალხს კარგად ახსოვს თამარ
მეფე. ერთს ლექსში იგი იხსენიებს თამარ დედოფალს:

„თამარ დელოფალ თამარე!
თხუმას ჯაგან ზუსიო!
რაშილდს ხასკურ თამარე!
ჰუნგირ ჯიგან ლუშეად,
ჰალეორ ჯისდან ლუკებიში
ქოშარ ჯასდან ოქვრაში“
და სხვა.

თამარ დელოფალო თამარავ!
თავსა გეღვა ზუსიო!
რაშილდ იჯექ თამარავ!
უნაგირი მოჭელილი გეღვა!
ალეორიცა კოპებიანი გეღო!
ქოშებიცა ოქროსანი გეცვა.

ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია და ფერხულზედაც იმ-
ლერება, უმეტეს ნაწილად ქალები მღერიან.

სვანების წარსულსა და მათს ომიანობას, შორს რომ არ წა-
ვიდეთ, თვით კოშკები გვიმტკიცებენ და გვეუბნებიან, რომ ძვე-
ლად იგინი ძლიერ მეომარი ხალხი ყოფილა... არ არის სახლი,
რომ მას კოშკი არ ჰქონდეს მიღვმული. ეს კოშკები, სწორეთა
სთქვას კაცმა სამაგალითო არხიტექტურულის გემოთი არიან
აგებულნი: მაღალი, სწორი, მაგარი და თეთრად შელესილი
კოშკი იქაურობას ამშვენებს. ეს კოშკები აგებულია მე-13 საუ-
კუნეში, როდესაც მთელი საქართველო აწეწილ-დაწეწილი იყო

და ყველა თავისაკენ იშევდა. სვანეთიც მაშინ განზე გადგა  თავისი საკუთარი გამგეობა გაიჩინა, რასაკვირველია, არამტკუცუდა და დროებითი. მასაც მისი მტერი ჰყავდა: სამეგრელო, შურშქეშვარა და დროებითი. რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. ყველას უნდოდა, რომ სვანეთი დაე-მორჩილებინა და მით ძლიერ ასახია მოენახა, მაგრამ სვანე-თის დაპყრობა ისე ადვილი არ იყო. „ერთობილნი სვანნი“, რო-გორც თვითონ იხსენიებენ წიგნებში (წარწერები საღმრთო წე-რილის წიგნებზედ), პირიქით აბეგრებდნენ მათ და საქმეს უკი-რებდნენ. უფრო მძლავრი იქნებოდა სვანეთი, რომ მას შინაუ-რი ომი არა ჰქონდა: სოფელი სოფელს ემტერებოდა, საზოგა-დოება — საზოგადოებას, სადადეშექელიანო სვანეთი თავისუ-ფალს სვანეთს და მეზობელი — მეზობელს. აი ამისთანა დრომ გამოიწვია კოშკების აგება. ეს დრო იყო სწორედ არეულობის დრო: ერთმანეთის შიშით კაცი გარეთ ვეღარ გამოდიოდა, გან-შირდა კაცის კვლა, სახლის გატეხა, ერთმანეთის დაჭერა, გაყი-დვა ტყვეებისა და სხვა უბელურობა. იმ დროში სახლის გატეხა და იქიდგან ქონების გამოტანა, ან კაცის დაჭერა სასახლოდ მიაჩნდათ; მას ეძახდნენ „(ლი) ჰმახვალს“ (მახვილი). კაცს რომ დაიჭირდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას მისი ჭირისუ-ფალი გამოისყიდდნენ. მართლაც ამისთანა შემთხვევისათვის დადებული იყო ეგრეთწოდებული „ტყვემიშ“ (ტყვის დასახ-სნელი), რომელიც ზოგან 24 მანეთს უდრიდა, ზოგან კი მეტს და რომლის მიცემის შემდეგ ტყვეს გაანთავისუფლებდნენ. იყო მაგალითად, რომ თუ ჭირისუფალი არა ჰყავდა, ან ძლიერ სუს-ტი—ტყვეს გაპყიდდნენ ან სვანეთშივე, ან ჩრდილოეთ კავკასი-აში (მაჭადიანებში). ფასის მიღება კი ერთმანეთში მორიგეობით იყო. მართლაც ამგვარად სევრი წევრი მოაკლდა მართლ-მაღი-დებელს ეკლესიას და ისლამიზმს მიეკედლა.

ისიც ხდებოდა, რომ თუ ტყვე შეძლებული თემისა კყფ,
შიშის გამო „ტყვემიშს“ ვერ ახდევინებდნენ და ისტრიანებულ
ფლებდნენ. დატყვევებას, სახლის გატეხვას და ქვლას, რასა-
კვირველია, სამაგირო ჰყვებოდა — სისხლს იღებდნენ. ამგვა-
რად სისხლის აღებამ (ლიწვრი) ღრმად გაიდგა ფესვი, გამძლავ-
რდა. ეს სენი იმდენად იყო გამარარი ძვალ-რბილში სვანთა
შორის, რომ ეხლაც არ არის მისუსტებული სრულიად. ამ
ჩხუბსა და უსიამოვნებას მორიგებაც მოჰყვებოდა ხოლმე,
ამ აქ მოქმედებდა სვანთა იურიდიული მხარე, მართლმსა-
ჯულება — ეგრეთწოდებული მედიატორენი (მორვალ),
ორი, ან სამი კაცი (მისდა მიხედვით, თუ როვორი საძნე-
ლო საქმე იყო გასარიგებელი), იყისრებდა მოციქულობას (მე-
ცევილარ) მხარეთა შორის, რომ საქმე მორიგებით გაეთავები-
ნათ. აქ, რასაკვირველია, მოციქულებს ბევრი ხვეწნა-მუდარება
სჭირდებოდათ, მხარეების ყაბულს მოყვანისათვის: ერთი მისას
ამბობდა, მეორე მისას გაიძახოდა. ბოლოს დაიყაბულებდნენ
მედიატორების გამოსარჩევად: ყველა თავისათვის ირჩევდა
მედიატორეს ორ-ორს, სამ-სამს, ან მეტს; ერთიც თავმჯდომა-
რესავით საერთო უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ირჩევდნენ
იმისთანებს (ხშირად ნათესავებს), რომლებთანაც კარგი გან-
წყობილნი იყვნენ და რომლებზედაც იმედი ჰქონდათ. ხშირად
მოხდებოდა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ მედიატო-
რების გამორჩევაზედ, ე. ი. ერთი რომ რომელიმეს დაასახელებ-
და, იმას მეორე იწუნებდა: იგი მე მეტერებაო, ან უსამარ-
თლოაო, ან ხატი არა სწამიო და სხვა. ამ შემთხვევაში თვით
მოციქულები არჩევდნენ მოსამართლეებს. მედიატორები შე-
იკრიბებოდნენ და მხარეებს დააფიცებდნენ, რათა ყოველივე
სიმართლით ეჩვენებინათ და მათს განჩინებაზედ ყაბულს გამხ-

დარიყვნენ. აფიცებდნენ ცხოველსა (უცხვ) და მძლავრსა-ხატისა-
შემდეგ გაუმასპინძლდებოდნენ ორივე მხარენი რიგ-რიგად. აქ
მოსახლე სცდილობდა ჯეროვანი პატივისცემა მიეცაშუალებელ
ბისათვის, კამის დროს, მანამდისაც მხარეები ამბობდნენ „სარ-
ჩელს“ (საჩივარი), დაწვრილებით თავიდგან თუ რაიმე ახსოვ-
დათ, ლაპარაკობდა უმეტეს ნაწილად მჭევრმეტყველი, რომე-
ლიც სვანს ძლიერ მოსწონს. ხარჯის გათავების შემდეგ მეღი-
ატორენი დასხდებოდნენ საღმე განცალკევებით და პქონდათ
სქა-ბასი საქმეზედ. მსაჯულები ერთმანეთს რომ ვერ შეეთან-
ხმებოდნენ, ხშირად სქა ორ სამ დღეს გასტანდა, ხშირად სუ-
ლაც დაიშლებოდნენ. თუკი მორიგდებოდნენ ზეპირ განაჩენს
დააღვენდნენ და მიწაში ნიშნად სიმაგრისა, ქვას დაუსობდნენ.
რათა შემდეგში არავის არ გადაეფიცა. საქმის დასრულებას
მხარეებს შეატყობინებდნენ. ესენი თავის დასაჯერებლად ხში-
რად ფიცში შეიყვანდნენ ხოლმე მსაჯულებს, რომ საქმე მიკე-
რძებით არ ყოფილიყოს გარჩეული. ამ შემთხვევაში მხარეებს
(რომელიც აფიცებდა) უნდა მიეცათ თითო მსაჯულისათვის
ორ-ორი მანეთი (ზოგან სამ-სამი), შემდეგ აცხადებდნენ განჩი-
ნებას (ნამოროვ), აცხადებდა უკეთესი მოლაპარაკე.

თუ კაცის მოკვლის საქმეს ასამართლებდნენ, იმ შემთხვე-
ვაში მსაჯულნი ეგრეთშოდებულს „წორს“ (სისხლის ფასი) უწყვეტდნენ; „წორი“ ორთა შუა რიცხვით უდრიდა 1500 მა-
ნეთს, მაგრამ განირჩეოდა გლეხის „წორი“ აზნაურის „წორისა-
გან“, რომელიც პირველზედ თითქმის ორჯერ მეტი იყო. ხში-
რად გლეხების საქმეში მოსამართლედ აზნაურნიც ერივნენ. ამ
შემთხვევაში ერთი აზნაური უდრიდა ორ გლეხს და მის მაგიერ
მეორეს მხარეს ნება ჰქონდა ორი გლეხი გამოერჩია მოსამარ-
თლედ. აქ კი გამოსჩანს აზნაურის უპირატესობა გლეხთან.

ცოლ-ქმრებისაგან, ან დანიშნულებისაგან ერთმანეთის მოპოვება თითქმის სისხლის სამართლის საქმესავით ძნელაშემუშავდა და მორიგების შემდეგ მოსამართლენი სწყვეტდრულად წოდებულს „ნაცერიელს“ (დატოვების მაგიერი), რომელიც 500—600 მანეთამდე აღიოდა.

გასამართლების შემდეგ განაჩ-ნი სისრულეში მოჰყავდათ უმეტეს ნაწილად მოციქულებს. მოკლულის ჭირისუფალი ან დატოვებული ცოლისაგან, ვინა ქმრისაგან, მიჰყავდათ დამნაშავის სახლში, რომელიც გარდა გადაწყვეტილისა, ასაჩუქრებდა სათითოულოდ ყველას. შემდეგ მისვლა-მოსვლა ისევ ხშირდებოდა მათ შორის, მაგრამ რომ დაპკვირვებოდით, ეს კავშირი ვერ იყო გულწრფელი-გულუწრფელობა მეღადრებოდა მეტადრე მოზარდ თაობასთან, რომელიც არ ივიწყებდა სისხლს და სულ იმას ფიქრობდა, რომ სისხლი აელო. მას ყველგან, შინ და გარეთ, ჭირში და ლხინში სულ ამის ამბავი ესმოდა, ესმოდა და გული ბრაზით ევსებოდა. რაც უნდა ბუნებით კეთილი ყოფილიყო სვანი, მას საზოგადოება, სადაც იგი სცხოვრობდა, ისე გადააკეთებდა, გამოზრდიდა, რომ დანაშაულობის ჩადენა აქ ჩვეულებრივი საქმე იყო, სისხლი უთუოდ უნდა გადახდილიყო. ყველა მიხვდება, რომ ამ გვარს პირობებში სისხლის აღება არამც თუ ვერ მოისპობოდა, არამედ გამძლავრდებოდა აშეარაა აგრეთვე, რომ ამ შემთხვევაში, რურიდიულად რომ გავშინჯოთ, თვითონ კაცის მკვლელი კი არ იყო დამნაშავე, არამედ მთელი საზოგადოება; ის მხოლოდ იარაღი იყო. ხშირად სისხლის აღება 30—60 წლის შემდეგ, ან კიდევ გვიან მოხდებოდა შვილებისაგან, ან შვილისშვილებისაგან, თუნდაც რომ შერიგებულნი ყოფილიყვნენ. აქ მკითხველს ეჭვი დაებადება, რომ, მაშასადამე, სვანს ფიცი არ სწამებიათ. არა, სვანს წინეთ

ფიცი ძლიერა სწამდა, მაგრამ ვიმეორებთ, აქ ფიცის გატეხვა
არ გამოდიოდა, რადგან თვით მთელი საზოგადოება ჩაითითა
დანაშაულობას. გარდა ამისა, რადგან მკვლელობას უკურნიშება
მკვლელობა ხშირად გვიან მოპყვებოდა ხოლმე, იმიტომ ფიცი,
როგორც ამბობდნენ, გარეცხილი ჰქონდათ და ახალზედ აღარ
მოქმედებდა.

ფიცი სვანეთში ორგვარი არსებობდა: ერთი უბრალო ფი-
ცი; რომელსაც სვანები „ლინბანალს“ ანუ „ნაბანს“ ეძახიან. ეს
სიტყვა წარმოსდგა უთუოდ ნაბანისაგან, რადგან ძველათ და-
ფიციების დროს ხშირად ხატის ნაბანსაც ასმევდნენ ხოლმე.

მეორე უფრო მაგარი ფიცი არის ეგრეთწოდებული „გარ-
ცამ“ წარმომდგარია გარდაცემისაგან, რადგან ესე გვარი ფიცის
მიღება, თითქმის გადაცემასა პგავს. ფიცი გარცამი ასე ხდე-
ბოდა: შევიდოდნენ ეკლესიაში, ან ხატს გარეთ გამოიტანდნენ,
ჯააყენებდნენ ერთად დასაფიცებლებს, წინ დაუდგებოდა
დამფიცებელი (ვინც აფიცებდა), დაიწყებდა ფიცის სიტყვებს
თუ რა საგანზე აფიცებდა, და შემდეგ ნიშნად თანხმობისა, და-
ფიცებულნი გაივლიდნენ ჭოხს ქვეშ, რომლის თავზედ ხატი
ესვენა.

აი მაგალითი ფიცის სიტყვებისა! მაღალო ღმერთო! ყო-
ველივეს შემომქმედი შენა ხარ! ეხლა შენ გფიცულობს ეს კაცი;
შენ თუ გაგტეხოს, ანუ გულში გადასხვაფეროს, — ციდან წვი-
მა და თოვლი მოდის; მიწიდან მოლი და ჭეჭილი ამოდის;
წყალს ქვა მოაქვს, დიდი წყალი ქვიშას იდებს შენმა გამტეხმა
ამდენი თეთრი ხარი და ცხვარი გიძლვნას, მაღალო ღმერთო,
მაინც ამის ამოუწყვეტლად ნუ დადგები! სააქაოს სიცოცხლე

¹ გაზეოში დახეჭდილია ფიცის სვანური სიტყვებიც.

მოუსპე; ცუდი სენი შეჰყარე! მოკვდეს და სააქიოს ცხონებას
ნუ აღირება! ქრისტესთანა წილი ნუ ექმნების! ფისტეს ტექტები წა-
აგდე! დღეს მე ამ კაცს ვაფიცებ და არ გაიტანოს, ამაშენეუქენა!
ქრისტემ რომ მისი მოციქულები თან იახლოს და ღვთისმშო-
ბელმა სეფისკერი თან მიიღოს, — ამ ფიცის გამტეხის ამოუ-
წყვეტლად ნუ დადგენი! ამინ!).

შინ რომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ სვანები, იმ დროს, თუ
საჭიროება მოითხოვდა, საზოგადო მტერსაც საერთო ძალით
იგერიებდნენ. მათს ომიანობას კერძო და ძალმომრევი ხასიათი
ჰქონდა უმეტეს ნაწილად. ყოველ საზოგადოებას ჰყავდა თავი-
სი მამასახლისი, რომელიც ომიანობის დროს სარდლობდა (ლა-
შერიშ მუჟელვ) და გულზედ იკიდა ოქროს ხატი „სალშექარ“. ხშირად
მხოლოდ ერთი სოფელი, ან საზოგადოება გაილაშქრე-
ბდა ვისმეზედ; ამ შემთხვევაში მას უფრო კერძო ხასიათი ჰქო-
ნდა. შესანიშნავი იყო ის ომი, რომელსაც მთელი სვანეთი იწ-
ყებდა. შეიქრიბებოდნენ „ერთობილნი სვანნი“ საღმე საშუალო
ალაგას (ხშირად სოფ. მესტიასა და მულახში) და საერთო ხმით
გადაწყვეტავდნენ ომსა, თუ სხვა რასმეს. ამ შექრებილებას სვა-
ნები ეძახდნენ „სვიმრას“ და ცოტათი თუ შევრად ანარხიული
ხასიათი ჰქონდა. აქ წინამდოლობად ნიშნავდნენ უფრო გან-
თქმულს მამასახლისთაგანს, აძლევდნენ „სალშექარს“ და ერთი
აზრით გამსჭვალულნი ზარსა სცემდნენ მტერსა.

სვანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი მტერზედ გა-
ლაშქრებულთ „სალაშქრითურთ“ ვერავინ ვერ სძლევს. მართ-
ლაც, ამ იმედებით გამსჭვალულნი სვანნი მოწინააღმდეგეს არ
გაახარებდნენ ხოლმე. ყველაზედ უფრო მძლავრნი საზოგადო-
ებანი ყოფილან: მულახი და უშესული, შემდეგ მესტია, ლატალი
და იფარი. აი მოხუცესულების ნამბობი: მაშინ კიდევ შშვილდ-

ისარი ყოფილა ხმარებაში, აფხაზეთის და ყაბარდოს გარე მე-
მოსევია ტვიბერის გზით მულახ-მუეალს და დაბარგვე უკლისნერი
ღლობზედ, ს. უაბეშის მთავარანგელოზის ეკლესიის ანლოს
ვაკეში. ომი გამწვავებულა, მაგრამ მტერს სვანებისაგან ნას-
როლ ისრებითაც უსარგებლია და წინააღმდევობა გაუწევია.
ამიტომ მულახ-მუეალელებს ისრები დაუმოკლებიათ და მტერს
ველარ გამოუყენებია ისინი. იგი უკუჩეცეულა. შემდეგ კიდევ
ერთი ხერხი უხმარიათ სვანებს: წისქვილის დოლაბები აუტა-
ნიათ მალლა, შიგ გაუშრიათ გრძელი ხეები, დაუგორებიათ და
მტერი გაუდარტიათ. სიმღერაში ურევია: „ტვიბერიშე წე-
რაქეს კულარ ხოწიბდახ ზისხიშე“! (ტვიბერში) სადაც ომი მო-
ხდა (ბალახს სისხლის წვეთები ეკიდაო!).

სვანებისაგან ქუთაისის გადაწვის შესახებ მოხუცებულნი
ეხლაც გვიამბობენ შემდეგს: თავისუფალი სვანეთი მულახის
მეთაურის წინამძღოლობით ქუთაისისკენ გაემართა. მოაგრე-
სილის ლატვარის ტყის თავში გზის განაპიროს სვანებმა საოთ-
ოაოდ კაჯის ქვა დასდევს. ქუთაისის გადაწვის შემდეგ ისინი
ხონით დარჩუნდნენ, მაგრამ ბომბუს ხილი ჩაუვარდათ; ერთი
ნაწილი მათი ხის იქეთ იმერეთისკენ დარჩენილა, სხვები
ისევ სვანეთში გამგზავრებულან და ხსენებულს ქვის ხროვა-
სთან მოშორებით მათაც დაუყრიათ ქვები, მაგრამ ეს ნაკლები
გამოსულა პირვანდელზედ. ამეებს მართლა შეამჩნევთ ხსენე-
ბულს ალაგას. ვინც ბომბუს ხილზედ ვერ გამოსულა, ის იმე-
რეთში დარჩენილა და ახლაც ამიტომ შევხვდებით იქ ახლო-
მახლო სოფლებში შემდეგს სვანურს გვარებს: უორეოლიანს,
იოსელიანს, კაფარიძეს, დევდარიანს, კახიანს, რატიანს და
სხვას.

მულახელებს ჰყოლიათ დაბეგრილი შემდეგი სოფლები

სვანეთშივე: მუქალი, ორი ხარით, წვირმი, იფარი, არძიშვილი,
კალა, რომლებსაც, გარდა ბეგარისა, საომრათ წასკლის დღის
ხარჯი უნდა ეჭმიათ; ლელტეხი, უშგული და სხვა უწყვეტესობების
ს. ლელტეხის, ელისა და უშგულის ბეგარა მულახელებს ლატა-
ლელებისათვის მიუციათ მტრის წინააღმდეგ მოხმარებისათვის-
სოფლები: ცაგერი, გვესო, ჩხუტელი და ლუხვანოც დაბეგრი-
ლი ჰყოლიათ მულახელებს თეთრი ხარით; გარდა ამისა მოსა-
ხლის თავზედ უნდა მიეცათ თითო ჩეინეულობა და თითო ნემ-
სი. უშგულელებმა და მულახელებმა სხვადასხვა დროს ააოხ-
რეს და დაბეგრეს რაჭის შემდეგი სოფლები: ჭიორა, ღები,
გლოლა და სხვები აი ერთი ლექსიც:

1. უშგულის ხევი დაიძრა
2. ეცერს კაცი გაუგზავნა..
3. სულა სვანეთის თავია —
4. ფუთა დაღიშქელიანია...
5. იყარა დიდი ჭარია
6. შეიქნა დიდი ჭარია!..
7. ეს ეცერი და უშგული
8. წინამძღვანია ღუთა დაღიშქელიანი.
9. პატრე-პატლობის დღე დიღლას
10. ცხენები შევიყაზმეთა.
11. გადასმა ტურქა დაიწყო;
12. ვერ მოშორდება თვალია
13. ეხლა შენცა...
14. რომ გადევიარეთ
15. თავრეზ კარგი სოფელია..
16. ზედ გოუარე კარია
17. წებელმა ხიდი გვამაგრა,
18. „სეანებო თქვენი ჭირიშე!
19. გვემართოს შენი ბეგარა“.
20. ხვამლის თავზე გაგვიწია;
21. რქა თეთრი ნიშა ხარია...
22. დედა ღვთისას შევაწიროთ
23. რქამოლუნული უერძია.
24. მაცხოვარსა შევაწიროთ!..

25. ჭიბურისა ჭალას,
26. ცერისოდენა ღელას
27. შეფე მიყავდა პირალმა..
28. ჭიორი კარგი სოფელია...
29. ჰელა დარბაზი ჩევედი;
30. ჭიორი გაუტეხელი,
31. გვემართოს შენი ბევერა
32. ურთი ასური ცხვარია...

გმირს ფუთა დადეშქელიანს, რომლის წინამძლოლობითაც მიდიან რაჭაში და რომლის გაძლიერების შეში პქონდათ მით უფრო, რომ დადეშქელიანებს ყოველთვის თან სლევდათ აზრი თავისუფალი სეანეთის დაჭერისა — უშგულელები შემდეგში ჰქონდენ. ცოტ-ცოტა წამალი ყველას მოუგროვებია და მითი თოფი გაუტენიათ, მერმე თოფის ჩახმახისათვის მოუბიათ თოკი, რომლისთვისაც ყველას ხელი მოუკიდნია. შემდეგ ნიშანში ამოუღიათ და გაუწევიათ; თოფი გავარდნილა და მოქეიფე ფუთა მოუკლავთ. ამგვარად იმიტომ მოქცეულან. რათა მოკვლა მარტო ერთს არ დასდეტოდა, არამედ მთელს სოფელსა. მაგრამ არც დაღეშქელიანებმა შეარჩინეს. ამათ გაიტყუეს უკეთესუკეთესი კაცები ეცერისაჟენ და დახოცეს.

ერთხელ ვინმე ბერ გელოვანის წინამძლოლობით ჯარი შემოსევია ს. ჩოლურს. თ. გარდაფხაძეებს მულახელებისათვის უთხოვნიათ შემწეობა და ამათაც თხოვნა შესამნევად. მულახელების ჯარის უფროსს ხმელი ცერცვი მოეყრევეინებინა რიყეზედ და ბერ გელოვანის ჯარის შესამნევად უბრძანებია მისი ჯარისათვის ეკენეა ცერცვი და ეჭამა. ერთიანობა და მისმა ჯარმა რო დაონახა ესა, ეგონათ სვანები რიყის ქვას სჭამენო, შეშინდნენ და უკუიქცნენ.

სვანეთს დასავლეთ-სამხრეთიდან აკრავს სამეგრელო-სამურზაყანო, ჩრდილოეთით ყაბარდო (ჟეგემი, ბახსანი) და ქა-



შეგი (ჩრდილოეთ-კავკასია), აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავალური აუტომატიზაცია-ლენინგრადის მინისტრი.

ზამთრობით სვანი, როდესაც მას სახლში არავითარი სამუშავებარი არა აქვს რა, მიღის რაჭა-ლენინგრადის მინისტრი აუტომატიზაცია-სავენ და იქ დღიური მუშაობით შოულობს თრიოდე გროშს, რომლითაც ისტუმრებს სახელმწიფო ბევრას. (სვანი ამას ფოშტის ფულს ეძახის) და ოჯახის მოთხოვნილებასაც ოდნავ აქმაყოფილებს. ამ აღვილებში სვანი უფრო მიწის მუშაობსა მისდევს: გაძყავს არხები, თხრილები, აშენებს ყორეებს, სჭრის ხეს, სიმინდს და სხვასა. სვანი თითქმის მუდამ ჩივის ხოლმე „აღების“ (ასე ეძახიან იმას, ვისთანაც მუშაობს) უსამართლობა-გაიძვერობაზედ. ბევრი მათგანი ოფლით ნაშრომს არ აძლევს დაუკარგავს. მაგრამ სვანი იმგვარია, რომ შენი არაფერი უნდა რა და თუ მისას წაართმევ, გაშმაგდება და იცოდე არ შევაჩინს. ამიტომ ის არც თავის უსამართლო აღას შეარჩენს ნაოფლარს, თუ კარგი სიტყვით ვერ გააწყო რა (საჩივრით კი რა უნდა მოხსერხოს?), მერე ჩხუპზედ მიღვება: შეიქრიბებიან ხოლმე ერთად და ერთ ალიაქოთს ასტეხავენ. დაშინებული აღა იძულებული ხდება დააკმაყოფილოს სვანი. თუ ამითაც ვერაფერი ვერ მოახერხა, მერე ლამით შეეპარება სახლში, ორ იმოდენს გამოიტანს და გაუყენებს შინისაკენ. თუმცა ბევრგრად ამგვარო საქციელი არ შერჩებათ სვანებს მართლმსაჯულებისაგან, მაგრამ ის მაინც ამას არ დაეძებს, რადგან დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თან უკვეირს, რატომ იგივე მართლმსაჯულება მისთვისაც არა მართლმსაჯულებსა..

სვანეთს ჩრდილოეთით პფარავს კავკასიონის უმთავრესი ქედი, რომელიც იმ აღვილას უდიდესს სიმაღლემდის მიღის (აღვილონივ 4 ვერსზედ მეტი). ამ ქედს გადაღმა სცხოვრობენ

მაპმადის სარწმუნოების ხალხი, რომელთა სახელებია: ყავაზე
დოკლები, რომელიც მდინარე ყუშანის სათავეებში არის /
დასახლებული; ურუსბიები — ბახსანში, უეგემდები ფრეჩევები
ში, ბიზინგები და წალყარები. ყველა ამ საზოგადოებშია კუსკუსი
სვანეთიდგან მიღის გზა ოლოთი (ყინულით) უმთავრესს ქედ-
ზედ. აი, ამ ხალხს უფრო ეტანება სვანი ზაფხულობით. იქ სვანს
მიაქვე: მსხლის ჩირი, რომელსაც სვანები „ლუბხველე“-ს ანუ
„ლუბადეს“ ეძახიან, ლამაზად დაწინული ხის კალათები, რომ-
ლებიც იმ ქვეყანაში ძვირია და სხვა. ამეებს სვანი სცვლის ად-
გილობრივს ნაწარმზედ: მატყულზედ, საფენ და მოსასხამ ნაპ-
დებზედ, რომლებიც აქ ნაქებარია, თხა-ცხვარზედ და სხვაზედ.
გარდა ამისა, სვანი ურიგდება თიბეაში. ქირად ღებულობს საქონელს:
ხარსა, ცხენსა და ცხვარსა. ეს არის მიზეზი იმისი, რომ სვანმა
თათრული (იქაური ენა განიჩჩევა ნამდვილ თათრულისაგან)
ზედმიწევნით იცის. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ზოგ-
ჯერ სვანი ორ-სამ წლობით აძლევს მაპმადიანს თავისს 13—18
წლის ვაჟსა მოჯამაგირედ. პატარა სვანი ზედმიწევნით სწავ-
ლოს თათრულსა, ეჩვევა იქაურს ზნე-ჩვეულებისა და სულ
იცვლება. როდესაც თავისს სამშობლოში ბრუნდება, ის სულ
უცნობი ხდება; ამპარტავნობს თათრული ენის ცოდნით, ყბე-
დობს, აქებს „ნაფრაზს“ და ეკლესიაზედაც აცრუებული აქვს
გული. ის არც ქრისტიანთა რიცხვში ურევია, არც მაპმადიანებ-
ში და ამგვარ ადამიანისაგან კი სიკეთე არა გამოვა რა — ცუდის
მეტი. უფრო სამწუხარო ის არის, რომ რამდენიმე სვანთაგანი
მთლად მოსწყოდა მართლმადიდებელს ეკლესიას, მაპმადიანონია
მიიღო და მუდამ იქა სცხოვრობს (16—18 კაცამდე).

წინეთ, როგორც რუსის მთავრობის დამკვიდრებამდე, ისე

შემდეგაც, სვანები და მაკმალიანები თითქმის მუდამ კომიტეტი
ერთმანეთში და მტრულად უცქეროდნენ ერთმანეთში უცხადები
იმაშია, რომ ძველი სვანეთის საზღვარი უწევდა ჩრდილოეთში მას
საკენ. კავკასიონის ქედს გადაღმა და მდინარე თერგისა და
ყუბანის სათავეში მდებარე ადგილებს, რომლებიც ეხლა მთი-
ულ მაკმალიანებს უკირავთ, სვანები თავის საკუთრებად რი-
ცხავდნენ. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ იმისთანა საბუთები,
რომლების სიმართლეშიც ეჭვი არ არის. ჩრდილოეთ კავკასი-
აში სვანები უჩვენებენ კოშკებს ერთგვარის აგენტულობისა თა-
ვიანთს კოშკებთან და ამტკიცებენ, რომ ეს კოშკები აგენტულია
მათი წინაპრებისაგან, რომელთაც ეკუთხოდათ ეს ადგილები
და ქრისტიანული სასაფლაოები მათხედ. უჩვენებენ აგრეთვე
ეკლესიების ნანგრევებს. ამ ადგილებსა პქვიათ სვანური სახე-
ლი, მაგ. „სვანური“, რაიცა ნიშნავს მაღნეულს წყლებს (თავის
მიღამოებითურთ).

მართლაც ხსენებულს ადგილებში არის მაღნეული წყლები.
გარდა ამისა, სვანები ამ ადგილების ბაქს თითქმის ყოველწლიუ-
რიდნენ მაკმალიანებისაგან, მაგრამ რუსის მთავრობის დამყა-
რების შემდეგ ეს თითქმის მოისპოო, და გიაურები წებით აღარ
იხდიდნენ დაღგენილს ბეგარას. მიუხედავად ამისა, სვანები ძა-
ლით იღებდნენ თავისას. მაგალითად, სხვათა შორის 1858 წელს,
მულახ-მუქალელებმა უეგემიდან¹ მორეკეს ოთხი ათასი თხა-
ცხარი, ვირები, სამასამდე ცხენი, ხარი და ძროხა და თან რამ-
დენიმე კაციც გამოიყრინეს. 1872 წ. კიდევ დაეცნენ და წაარ-
თვეს ურიცხვი ჭოგი. ეხლა, მართალია, სვანები ისე აშკარად
ვეღარა პბედივენ თავდასხმას, მაგრამ მისს ჯეგარას მაინც ას
არჩენენ და ყოველწლიურ მოჰყავთ ნაპარავად საქონელი.


 მაჰმადიანებშია სამაგიეროდ ეკლესიებს გაუწიეს მტრობა:
 უარებელი ეკლესიები დააქციეს, შიგ მდებარე ძვირფასი უდირთულებები და ნივთები წაალაგეს და შეურაცხყვეს... სვანებიც და მათ მაგიერობას, მაგრამ სჯულსა და მათს „მეგვითხებს“ ისინი არნენ მაგიერობას, მაგრამ სჯულსა და მათს „მეგვითხებს“ ისინი არ ეხებოდნენ. სვანების პაპების სასიქადულოდ ჩაითვლება ის მბავი, რომ მაჰმადიანობას არ გაამარჯვებინეს ქრისტიანობაზე და ხელი შეუშალეს სვანეთში მისს შემოსვლასა და გამეფეხას, ასაც მაჰმადიანები ეგრე გულმოდგინეთა სცდილობდნენ... აი ზოგიერთი მათგანი: სვანს თავი უძველეს ქრისტიანად მიაჩნია, ავისი ღმერთი კი უმაღლეს ღმერთად, რადგან მისი ღმერთი, როგორც თვითონ, ისე მაღლა სუფეცს! ამიტომ ადვილი წარ-ოსადგენია, რომ იგი სხვა სარწმუნოების კაცს კარგის თვალით არ შეხედავს. სვანი სჯულის მხრით თავის თავს წინ აყენებს მერელსა და მეგრელზედაც.

სვანურ ენაზე თქვენ შეხედებით ლექსებსა და მოთხროებს, რომელნიც უფრო ვაკეაცობას, ნაღირობას, გაჭირვებასა და ომიანობას შეეხება. სიყვარულზედ სვანი ძვირათ თუ მღერის. აი ზოგიერთი მათგანი:

- | | |
|----------------------|-------------------------|
| 1. ყანსავ ყიფიანტ! | ყანსავ ყიფიანტ |
| 2. უმჩა, უდგარა! | შოუხუცებელი და უკვდავი! |
| 3. ხოჩა ლვავარე, | მარჯვე ბიჭები |
| 4. ბაბას ხიშიალედ! | ნაბიჯედ იმობზით! |
| 5. ბარჯას ჯასტანდახ | მსრებზედა გედოთ |
| 6. ნამუა თოვარე, | ნამუა თოვები, — |
| 7. დუთხელ პილარე | თხელპირიანები |
| 8. ხოლა ლვავარე, | ცუდი ბიჭები |
| 9. ტვიბას ზუსლანდახ! | ლელეში ეჭარენით! |
| 10. | და სხვა... |

ყანსავ ყიფიანტი არის ძველი დროის გმირი. მისი გვარი სოფ.

წვირმიში ცხოვრობდა (ახლაც). ამ სიმღერაში დახსნათ გადასახლდა
ყველა საზოგადოება თავისუფალი სვანეთისა ს კლატანიდან
დაწყობილი ვიდრე ს. უშგულამდე.

სისახლის გადასახლება

პ ტ რ ტ ა

ოი, ჩემო ყურშა, ყურშაო!
ყურშას ყეფილა — ცისა ქუხილი
ყურშას ნახტომი — დიდი შინდორი
ყურშას ტოტები — კალოს ოდენი.
ყურშას საბრელი — პეროს ექვანი.
ყურშას საჭმელი — პური ქაბაბი.
ყურშას სასმელი — ღვინო ბადაგი.
ყურშას ლოგინი — საბან-ბუმბული.
ოი, ჩემო ყურშა, ყურშაო,
ყურშაო, ჩემო ყურშაო!

(ეს სიმღერა ფერხულზედ ღიღათ უწყობს...)

ბუბა ძარჩილა

(ეს სიმღერა გადაიღო ნოტებზედ პ. ბალანჩივაძემ).

ბუბა ბუბა ქაქუჩელა! ბუბა ქაქუ-
ჩელა!
ბუბას არყილ ხაკუჩელა! ბუბა!
ქაქუჩელა!
თვითომ კათხულდს ჩუ ლალთუ-
რედ ბუბა ქაქუჩელა
ეჯი გური ხოჩა გვერა, ბუბა ქაქუ-
ჩელა
ქრისტეს ზელვად ჩოთმაზურად,
ბუბა ქაქუჩელა
ამეჩუნაშ მერდე მარე, ბუბა ქაქუ-
ჩელა.

ბიძია ქაქუჩელა,
ბიძიას არაყი უნდა ბიძია ქაქუჩე-
ლა!
თვითომ კათხას კადო შეესვამო ბი-
ძია ქაქუჩელა
იგი გულსა მოგვიხდება ბუბა ქა-
ქუჩელა.
ქრისტემ ზელვად გადლეგრძელოთ
ბუბა ქაქუჩელა.
აქა მყოფნი აღამიანნი ბუბა ქაქუ-
ჩელა,

(ს. ბექოში გავონილი ბრძა სვანისაგან —

ბაზდიშ კვიციანისაგან).



შენი იყავი ძალი შენი სანებისა ორქოლი სახელი: ერევაზ,
მარევაზ, ქარევაზ, ვენ-ქარევაზ, ვენ-პარევაზ, დავითი ქარევაზ,
ვინადირესა ელსა, მალსა მასკისაისა; გულსა ნაღმართი; დარა-
რაისა შინა უთხარი — შეგაგდებო; ბრალთა კურკუმთა... ცხეკ-
სა შინა, სარცხვილსა შინა: მოვალ ჰალი ეშმაკი, მოვალ ზედა
კაცთა შობიერი; ზედა მიჩუნყრაყ ჩემო ნავანკლავ ქრისტიანი...
ართხევებისა თქვენისა ულოვან, უტოვან, თუ გან მე შეს გაი-
ქარო. ელოვინი ქრისტე ჭვარი სანებიანი, მიქელ-მთავარ-ანგე-
ლოზიანი პირვევარი მონორამი — ღალადებსა იურსალიმსა; ბა-
ლვირი, ფიჩირი, გარამჭაჭია, გარამჭსალია, ოთხან მილოვან,
მიტოვან, თუ გან მე შან გაიქარო!... ფუ, ეშმაკ.

ჰ ა ლ ა შ (ხორი გვარი, გარემობი გაზონილი)

ერევაზ, ქერევეზ, ანგალოზ მინასანადირა, სანახენო ნათა-
რებსა დოუდგურო; დილომითა დაგჭირთა, დაგჭირხავ ამისთა-
ნე ბოქმამში; ზურგიელი სახამიჩი, ისპარჩილო, თუ ასე ქაქა-
რებულა! თუ, ეშმაკ!..

ლ უ კ ვ ი ა შ (დასულისა)

წითელი გველი, ყვითელი გველი, შავი გველი; აყაყი, ბა-
ყაყი, წინწილაი წილაკვისა... ეხისა, ფეხისა; ქრისტიანის ფეხი-

1 ჰალ (ალი) — სეანების ფიქრით, მავნე სულია, რომელსაც შეუძლია
კაცი შეცვალოს, უგრძნობელი გახადოს და კიდეც მოკლას, მეტადრე მთაზე
მოგზაურობის დროს (შენიშვნა ე. ერთვნის ი. მარგარეს — შემდგ).

სა; იშლი, მიშლი, ივერ-მირემ; ირემ-ფირემ ჭოხსა ნაკლებ, წელ-
ლსა გამოდი! —



ნატირიშ (ნატირის პირის ზოგორი)

ეკენია, ბეკენია; ბეკეს ხათი სანაფია; მაღალლად კარსა
ჭიბურელი კინასა ოქსელადი ბულისა; ქრისტემ ჩაჰკარ, ჩამო-
ჰკარი ნადირისა პირისა, უშ!..

მეორე გვარი

ეკენია, ბეკენია; ბეკეს ხატი ზუსეტია... ერთო ღმერთო!
ჩემო ყანი! ნადირს პირი უივხავული უალი ოდა უამს.

თვალი ციდი ცო (თვალცი ცოლისა).

თვალცი ცი ცო, ბოგი ცო, ზონტი ცო, ცანცი ცო ონსურეთსა,
ომფურეთსა სიყრიგა... მეშე ჟეღარ ჭისულსუნებ²... ოსაფისა,
დედანაწილო, უჭურთელა, ნაწკვეტილა... ფუ, ეშმაკ!..

(თვალნაკრავი ბავშვებისა ან ავადვყოფ საკოლისა).

დედაო ჭარი, მარიამ ქალწული, ჭარსაცია! რასოური, რასა-
ტირი, რასა ჭლილი? გაშდა შავი კლდე, შავი კაცი; ვილმა დაი-
ჰკინე, დალმა დეიშხინე; უფლის აღა მისი საღა, ქათმისაღა...

¹ ჩვენ შეუცვლელადა ვწერთ; მართალია, ქართული სიტყვები ბევრ-
გან დამახინჯებულია, მაგრამ ვამოცნობაც არაა ძნელი...

² სვანური სიტყვებია ჩამატებული: შავი ძაღლები ვისისინებენ. (შე-
ნიშვნები ეკუთენის ი. მარგარეს — შემდგ).

თელი გაცი (ს. მუჩალაში ჩაზორილი.)

ათი ქუთური — ქუთური, ჩანგი სამი სოფელი; განი ერთი ასკილია შვილდისანია; ასიანთსა მეციდეს, ბასიანთსა მითინეს ქალებთა სიფიცხლითა, ვაკებითა ციბილითა; მოვიდეს ბოლა-ბოზალი — მერცხალი, ერთსა მგელსა გვამ ხარსა უჰუ! ჰუ.

ვეორე გვარი

არცხალი, მარცხალი, საი სამწვადი; გელი-მოგელი, გელი-ბურზელი! ტუპ! (ყურში ჩაჰვირებენ ავადმყოფ საქონელს).

ვილოვა ვუდელ-კითილისა.

(ს. მუჩალაში ჩაზორილი.)

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ ესე საშორნო წიგნი მოგეცით ჩვენ მოიყვარუვალიტ აზ-რუმელმან მიქელგაბრიელ მთავარანგელოზის მოწმობითა და თავსდადებობითა... არც შენ ჩვენგან და ჩვენის გვარისაგან არა გეშინოდეს და არცა მოგიახლოთ შენ... ჩვენი სახელები ეს არიან: ათი, ათირმან, შათირმან, მოიყვარუვალიტ აზრუმლისმან, ტყაოსანმან, შიოსანმან და წითელოსანმან; წითელო ხატო, უშ-ველე წითლის მუცლისტივილისაგან მონასა ამასა თქეენსა (სახელი და გვარი) ნიორი, სხმარტლი და რთხმელის კუკური თალათინში, ან წმინდა ჩვარში გამოკერილი უნდა შეიძას იღ-ლიის ქვეშ.



(ხელში რკინეულობა უჭირავთ და შეცლზედ გასმინენ):

შაკიებისა მოჩვევისა სატელავისა ბოლოსა; ისე სჭირდა რკინასა, როგორც ხარი თივისა.. მოვიდა წმინდა გიორგი, იერუსალიმში დანა ვიყიდე. — წითელ-ყვითელ ყვავილებსა, ფუა, ფუა, განქარდა! (გააფურთხებს შემლოცავი.)

ଏବଂରୁକ୍ତ ଜୀବନପ୍ରେସ୍ (୧. ଶୁଣିବାଲ୍ଲକ୍ଷଣ ଧାରଣକୋଣା).

(ღორის ქონსა და გოგირდს ერთად შეურჩევენ და აადულებენ; მერე მტკიცანს ალაგას წაუსვამენ და ამბობენ.)

ოპო, ღიერო, ღიერო, უსახლეარო და მშიერო! წამალსა გიზამ წამალსა, უკუფხოსა და ნაქასა... დილას აღრე გეიპარე, მე ნუღამ მკითხავ წასვლასა. ხვარამ ხარ და გულთამცა; შუღლი-უღლი კოტიტასა. ხვარამს ძირი გაუწყდება, ხვარამს სიმი გაუწყდება.

୦୧୩ କାଳୀତାର

1. იავ ქალთი ბებუცია, სოფელ ქალთი შუშარია;
 2. შუშარ ჩუპენ კიანია, ძიან ჩვენი მოყვარეო;
 3. მოყვარის მოყვარენიაო, მოკლეს ხეარამზენიაო
 4. ელია და მელია, ეხლა რაჭა ჩვენიაო
 5. ვენახისა სთველია, ჩიტიც მოგვინველიაო
 6. კათხაც ჩაგვინქვეპნიაო, ქალაქს ჩაგვიგზაენიაო,
 7. ქალაქელი დელლებით აღიან და ჩაღიანო;
 8. ხუცის ცოლთან ჩაღიანო
 9. ხუცის ქალი თავს იბანდა, თანუშია წყალს უსხამდა.
 10. ხუცის ცოლმა...1, ჯიბ-ჯერეპელი დამტერია

1 უკერო სიტყვაა ნახშარი.



11. მეფეს ცხვირი მოუქცია, ციხეს თავი გადასტიხა!
 12. თაორის ჭარი გააქცია!, გურიელი დააბრუნა! ეროვნული
 გიგანტური განვითარება

სვანეთში თქვენ შეხვდებით შემდეგ წოდებათა: თავადებს, (დადეშქელიანი,, გელოვანი და გარდაფხაძე) აზნაურებს და გლეხებს. პირველს ორს წოდების ხალხს სვანი ეძახის „ვარგ-ს“ (ვარგისი). დადეშქელიანს — დაჩქელანს, ან „ოთარშერს“; გარდაფხაძეებს — „გალფხანარს“.

ზემო სვანეთი ორს ნაწილად განიყოფება: ზედა ხევად (ჟაბე ხევ), ანუ თავისუფალს სვანეთად, რომელსაც ბატონ-ყმობა არ გამოუყდია, და ქვემო ხევად (ჩვაბე ხევ), ანუ საღადეშქელიანო სვანეთად, სადაც საბატონო გლეხები ცხოვრობენ.

თ. დადეშქელიანთ სვანეთში დიდი პატივისცემა აქვთ. ისინი სხვა წოდებისაგან განირჩევიან: მაღალი, ახოვანი ტანით, სიმდიდრით, მრისხანე სახით. მათ, როგორც მეფეს, ისე უყურებენ მათნი გლეხნი და ეძახიან „ფუსდს“ (პატრონი). სახოგადოებანი: ბერი, ეცერი და ცხუმარი ეხლა ყველა თ. თაორყანს დადეშქელიანს ეკუთვნის.

საქმარისია წარმოიდგინოს კაცმა განსვენებულის თ. კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანის მაღალი, ზორბა ტანი, ფართო ბეჭები, ლომისებური ღონე და სიმარდე, დიდრონი არ-წივისებური თვალები, გრძელი ხუჭუჭი თმა, გოლიათისებრი მკლავები, დინჯი, ნელი საუბარი, მახვილი, ყურთათვის არაუსიამოვნო ხმა და გულ-უხეობა, რომ კაცმა შეაღვინოს ტიპი თ. დადეშქელიანთ გვარისა. მოსაწონი აგებულება აქვთ თ. გელოვანებსა და გარდაფხაძეებსაც; ესენი სცხოვრობენ: ს. ს. ლა-

¹ ზოგვან — დალიანი გააქცია. (შენიშვნები ეკუთვნის ი. მარგარის — შემდგ.).

შხეთსა და ჩოლურში. სვანი აზნაური ბევრათ არაფრით განიჩევა გლეხისაგან: ტანისამოსს იცვამს ცოტათ მარტინულურად. გვარებია: იოსელიანი, დევდარიანი, ჩარკვიანი, ყიფიანი, ჯაფარიძე, უორქოლიანი, გოშთელიანი და ქურდიანი.

სვანი აგებულებით ძლიერ ჩამოგავს საქართველოს დანარჩენ მთიელ ხალხს: მომაღლო ზორბა ტანი, მსხვილი ბეჭები, მომსხო თვეი, შავი თმა, მრგვალი პირისახე, დიღრონი შავი თვალები, საშუალო მომსხო ცხვირი, სქელი ტუჩები, საშუალო ყურები, მოკლე და მსხვილი კისერი, ძარღვიანი მსხვილი მელავები, ზედ დიღრონი ულაზათო ხელები, მსხვილი ულაზათო ფეხებივე, — ყველა ეს დაახლოებით გვიხატავს სვანის ტიპსა.

როგორც მთის კაცი, — სვანი ჯანმრთელი აგებულობისაა, და ამიტომ ფიზიკური ძალაც თან დასტევს, თუმცა-ლა ზანტია-სვანს იმოდენა მძიმე ტვირთის გადატანა შეუძლია მთაზედ, რომ იმ სიმძიმე ტვირთს ბარათ ვერ წაიღებს სხვა კაცი, მაგ. იმერელი, ლეჩხუმელი. უზომო ჯაფის გადატანა აღვილად შეუძლია სვანს, თუმცა-ლა იგი ბუნებით ზარმაცია. დედაკაცები, მართალია, იმდენი ძალით ვერ არიან აღჭურვილნი, როგორც მამაკაცნი, მაგრამ ჯაფის გადატანა მათაც არანაკლებათ შეუძლიათ. იგი საოცარს დაუღლელობს იჩენს მუშაობის დროს...

სვანი ძლიერ შორს იხედება, მაგრამ ხშირად, მუდმივი კვამლი, მეტადრე გრძელს ზამთარში, ძლიერ ასუსტებს სვანის მხედველობასა. იგი იცნობს შემდეგს ფერულობას: თეთრს (თვეთნე), შავს (მეშე), ყვითელს (ყვითელ), წითელს (წირნი), ლურჯს (ირვი), რუხს (ფარვ) და სხვას. არჩევს აგრეთვე თაგვის ფერს (შდუვვმიშ ფერიშ). ხალხის უმეტესობას კარგი ყურთასმენა აქვს, მოსწონს ჩვეულებრივი არა ულაზათო ლაპარაკი. უმრავლესობა ლაპარაკობს მსხვილი, ბოხი ხმით... საზოგადოთ

სვანმა დინჯი ლაპარაკი იცის, მაგრამ არის განსხვავება: შემოწმებითავისუფალს სვანეთში (ხევში) იციან ნელი საუბარის (ქართულიან ელემენტით), ხოლო ქვემო ხევში (სადადეშექელიანო სვანეთში) უფრო მოჩქარო (მეგრულის ელემენტით).

სვანმა სიარული იცის დინჯი და ნელი... უჭოხოთ სვანი არ-სად არ წავა; თუ სდგას, ჯოხზედ არის დაყრდნობილი და ისე გესაუბრება... უფროსის წინ სვანი ცდილობს თავი დაიკიროს ზრდილად. მოხუცებულს უპირატესობა აქვს სხვა ასაკთან შე-დარებით.

ახლა დავათვალიეროთ სვანის ოფახი. — ზუგები, მთაგრე-ხილები, ქედები და ღელეები ჰყოფენ სვანეთს რამდენიმე ნა-წილად, სადაც გამშრიცვებული არიან ცალ-ცალკე საზოგადო-ებანი. სვანეთის სოფლებს აქვსთ თავისი განსაკუთრებული ხა-სიათი. ისინი უფრო ხშირად ფერდობზედ არიან გაჭიმულ-ნი, — უმეტესი ნაწილი მთის კალთაზედ; ზოგი მათგანი არ-წივის ბუდესავითაა მიერსებული მთის კალთაზედ და იქიდგან გადაპყრებულ მლელვარე ციცს ენგურსა. თვითო სოფელში მო-სახლე 3—30 უწევს. 6—8 სოფელი შეადგენს ერთს საზოგადო-ებას, რომელსაც მართავს მამასახლისი და რომელსაც თავისი საქუთარი სახელი აქვს. თავისუფალს სვანეთში არის სულ 11 სა-ზოგადოება: 1. უშგულისა, 2. კალისა, 3. იფარისა, 4. მულახისა, 5. მესტიისა, 6. ლენჯერისა, 7. ლატალისა, 8. ბექოისა, 9. ეცე-რისა, 10. ფარისა და 11. ჩუბეხევისა. ბევრს ალაგას შეხვდე-ბით სახლების ნანგრევებს და მიტოვებულს პატარა სოფლებს. ამ სოფლების დაცარიელება-განადგურებას სვანები მიაწერენ

1 ეს საზოგადოება ეკუთვნოდა ო. მურზაყან დადეშექელიანს, რომელსაც ჩამოერთვა. (შენიშვნა ეკუთვნის ი. მარგარის — შემდგ.).

1812 წლის „ქამს“, რომელიც აქ სასტიკად მხვინგარებდა
თურმე.

სვანი უმეტეს ნაწილად აშენებს ქვიტების სახლსა; ოთხ-
კუთხიანსა და ოჩსართულიანს. გარედან ჰყეთქავს კირით. ერ-
თის შეხედვით სვანის სახლი ლამაზი გამოსჩანს და ამაყად გამო-
იცქირება. მასალად ხმარობს უფრო სიპს ქვას და ეს არის მიზე-
ზი, რომ შენობა მალე ზიანდება და ინგრევა. სახლი ყველგან
ყავრითაა გადახურული და ზედ ქვები ლურსმნის მაგივრობას
უწევენ, გარდა ს. ს. კალა-უშეგულისა, სადაც სახლებს ქვის ფი-
ცრითა (ასპიდის ქვა) ხურავენ. სვანი აშენების დროს თითქმის
არავითარს იარაღს არ ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს, გარდა
„ქაფჩისა“ შელესვის ღრის. ამიტომ ადვილი ჭარმოსადგენია,
თუ რა არქიტექტურული, გემოთი იქნება აგებული სვანური სა-
ხლი. ზოგგან კედელი შეწეულია, ზოგგან გამოწეული, უსწორ-
მასწორო და უმაგრო. პირველადა პყრიან საძირკველს, რო-
მელსაც სვანები ეძინიან „ხუნს“, ზედ აშკავთ კედლები. ერთი
კაცი „ხელვან“ შიგნით მუშაობს, მეორე გარედან ადგია; სხვები
უზიდავენ ქვა-კირსა და „ხალიქსა“ (ხეინჩქები). კარების ძირში
უდებენ ქვის „ნაგერას“, რომელსაც აქ ეძინიან „ლაგაგის“.
სახლის სიმაღლე 6—8 არშინამდე უწევს, მხოლოდ ორ სართუ-
ლადაა გაყოფილი. კედლებს რომ სამი არშინის სიმაღლემდე
აიყვანებენ, დირებსა სდებენ; დირე სიგრძით 14—18 არშინია
და მსხვილი. ქვეშ სვეტებს უყენებენ დირეებზედ უსწორ-მასწო-
როდ დაპობილს ხეებს აფენენ და ზედ აყრიან მიწას, რომელიც
იატაკობას უწევთ. კედლების სიმაღლე რომ 6—7 არშინს მიაღ-
წევს, მერმე მიჰყვებიან კუთხეებიდან და განის კედლებს თან-
დათან უმაღლებენ, თანდათან აწვრილებენ ისე, რომ ბოლოს
კეხივით ამაღლებული რჩება; ზედ სდებენ დირეებს, დირეებ-

ზედ კოჭებს, კოჭებზედ „ქერებს“ და მერე ყავარს. ზემოთა/
ვთქვით, რომ სვანის სახლი უფრო ხშირად ორსართულის/ ურთიერთები
არის მეთქი. ქვედა სართული თავის მხრით განიყოფება რამო-
დენიმე ნაწილად. ამ განყოფილებებში შეგიყვანთ ერთი საზო-
გადო კარი; პირველად თქვენ გაივლით „ჰაგამს“, რომელიც წინა
ოთას მოგვავონებს; აქ ინახავენ სხვადასხვა ავეჯეულობას, სა-
იდანაც წარმოსდგება მისი სახელი (ჰაგამ) (ჰადგამი). მეორე
სახელი ჰქვიან „საწველ“ (საწოლი). ზოგიერთს სახლს ამისთანა
განყოფილება ბარე ორი-სამი აქვს და თუ მიჩვეული არა ხარ,
ისე მათი გავლა გაგიძნელდება: არსაიღვან სინათლე არ მოს-
ჩანს და წყვდიადი სიბნელეა. პირველს შესვლაზე გეგონება
ქვესკნელში მივდივარო. მერმე შეხვალო მოზრდო საჭალაბო
ოთახში, რომლის შუაგულს ალაგის კერა სდგას. გარშემო უდ-
გია საჯდომი ავეჯები. შემდეგ იშუობა საქონლის დასასასი გან-
ყოფილება, რომელიც ხისაა და თითო საქონლისათვის ცალკე
თავის გამოსაყოფია გამოქრილი. წინ საქმლის დასაყრელი ბა-
გა აქვს, ისიც ფიცრული. ზევიდან გადახურულია ხით. ამ განყო-
ფილებას ეძახიან „ისგუნტაფს“. ხმარებაშია სიტყვა „ბაგა“.
ზედა სართული განიყოფება ორ ნაწილად: „დარბაზიად“ და
„გურანდად“. დარბაზში ინახავენ თივასა და ბზეს, „გუბანდი“
კი დანიშნულია საზაფხულო სამყოფად. სვანის სახლი უმეტეს
ნაწილად მიწაშია ჩასმული ნახევრამდის და ძლიერ ბნელა,
მხოლოდ ორი ჰუჭრუტანა გაძლევთ მცირე სინათლეს. ამ
ჰუჭრუტანებზე, რომლებსაც ღამით მიხურავენ. იციან შუა
ცეცხლი და შეშაც ძლიერ ბევრი ეხარჯებათ. ზამთარში სვანის
სახლი მაინცდამაიც ბევრ სიცივეს არ უშვებს. თუმცა-ლა არ
შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის რიგიანად იფარავდეს კაცს სიცი-

ვისაგან. ქარი თამამად ნავარდობს შიგ და მის გამო ზოგიერობით სეანეთში სახადით (გაცივებით) ავადმყოფობის უძლიერეს ულია. ზაფხულობით სვანის საღვომში სიგრილეა, თითქმის მუდამ ზამთარ-ზაფხულ სვანის სახლი კვამლითაა გაბურული, რადგან კვამლის ერთი თავისუფალი გასავალი არა აქვს; რომელ ჭუპრუტანასაც არ უნდა მიაღეს, გარედან ქარი ეცემა და უკანვე შემოაბრუნებს ასე, რომ კვამლი იქვე ჩერდება. მიტომაცაა, რომ თითქმის ყოველს სვანის (ზამთრობით უფრო) თვალების ანთება აწუხებს. ყოველ სახლს მიდგმული აქვს კოშკი, რომელიც წინათ, არეულობის დროს, სვანის სამსახურს უწევდა: შიგ შეაფარება ღვაწობას და თვითონ მაღლიდან თოფსა და სხვა იარაღს ისროდა. კოშკის სიმაღლე 10—11 საუენია; ის საუცხოვო სილამაზითაა აგებული და მართლაც რომ მის აღმშენებელთ ხუროთმოძღვრული ხელოვნება გამოუჩენიათ. ყველა კოშკი ოთხკუთხიანია და გარედან კირითაა შეფერქილი. საძირკველი საუენნახევრამდე მაინც არის ჩასული მიწაში. აქიდგანვე იწყება კრული (სვანურად კურივ), რამდენიმე საუენის სიმაღლემდე. მერმე განყოფილებანია. კოშკი განიყოფება ოთხ-ხუთ სართულად, რომლების სიმაღლე თათო საუენზედ მეტია. პირველს ოთხს სართულს ეძახიან. „გუბანდს“ (შუა-გული ბანი) და ზედას, რომელიც უფრო დაბალია, „ფისე გუბანდს“ (ზედა გუბანდი). სართულიდან სართულამდა აგიყვანთ უხერხეული ხის კიბეები. ყველა სართულს თავისი საკუთარი პაწია ფანჯარა აქვს — მოგრძო და ვიწრო. ზედა განყოფილების დანიშნულება იყო ის, რომ არეულობა-ჩსუბის დროს (მეზობლობაში უფრო) იქ შეიკრიბებოდნენ მეთოფურნი და „შდურვალებიდან“ (ფანჯრებიდან) ნიშანში იღებდნენ მტერსა და ეომებოდნენ. დანარჩენ სართულების დანიშნულება



ის იყო, რომ შიგ სხვადასხვა ბარგს ინახავდნენ და ჰუმურულები შენიშნავდნენ ჩხუბის დროს. ეს კოშკები აგონებენ სვანის წარსულ არევ-დარევის დროს, რომელსაც იგი ხშირად მოიგონებს ხოლმე და „ლიშვანს“ (სვანობა) ეძახის. წინეთ რომ ეს კოშკები სვანისათვის სასიქადულონი იყვნენ და სიამაყით გამოიცირებოდნენ, ეხლა დაჟკარგეს მათ ფასი სვანის თვალში; ის აღარ აქცევს მათ ყურადღებას და გეგონებათ რაღაც დარღი აწევთ გულზედ და ჩაღუნულნი გამოიხედვებიანო. ამიტომაცაა, რომ ბევრი კოშკი უპატრონობით დაქცეულა, მაგრამ კიდევ რამდენიმე საუკუნე ნახავს მათ, თუმცა-და წარსულის სიამაყით კი ვეღარა...»

სახლის ახლოს კალოა და კალოს რომელსამე მხარეს „ლალჩაა“ აგებული (ხის შენობა, რომელსაც წინა მხარე ლია აქვს) და შიგ ინახავენ ნამჯას გალეწვამდე. ეზოში (ჰაზვი) აქა-იქ ხეხილებია (ცეკვა მსხალი და ვაშლი) ჩამწკრივებული; გარს არტყია ქვის გალავანი 3 და $3\frac{1}{2}$ არშინის სიმაღლისა.

სახლში სახმარი საჯდომი ავეჯეულობაა: საკურცხვილ (კრესლო), სკამ (სკამი), ბანდარ (გრძელი სკამი), ლურგიმ (დივნის მსგავსი გრძელი საჯდომი), კვილ (მრგვალი ხის გადანაცრი), ჰასკამ (საზურგეთი). ეს ნივთები შემომწყრივებულია კერის გარშემო; კერისა და დგამებს შუა აღვილს ეძახიან „ყველფს“ (ლეჩხუმშიც ხმარობენ ამ სიტყვას). ჭურჭლები: თვინგ (თუნგი), კარდალ (კარდალი), ცხვად ანუ ზამ (ქვაბი), ლაპტაყია ცხვად (საარაყე ქვაბი), ლულლენ (დიდი ქვაბი, რომელშიაც ერთი ან ორი ხარი მოიხარშვის ერთბაშად), სეგდა (რძის საწველი ჭურჭელი), ოხარ (წყლის სასმელი ყურიანი), ლვებ (ლოფურა ლეჩხუმში), ბარქაშ (გობი — სამეგრელოშიც ბარქაშს ეძა-

ხიან), სტამან (კოდა — სტამანი სახარებაში), ფაქნი ანუ ფაქან (სახარებაში პინაკი — ჭამი); ნამუშევარის სარწყმულუსტრი, ანუ საჩთულ და კვიდოლ (კოდი).

სვანის სახლში თითქმის მუდმივი სინესტეა, უმეტესად ქვედა სართულში, რომელშიაც ცხოვრობენ ზამთარში პირუ-ტყვებთან ერთად. მის ასაცლენად სვანი არაფერს არ ხმარობს, თუ შუაცეცხლი არ უშველის. ცეცხლს სვანი ძვირად თუ დაქ-რობს სახლში. ის შეხვევს დაწოლისას ან დღისით მუშაობის დროს, ცეცხლს ნაცარში და ამგვარად შეხვეული ცეცხლი არ ქრება. საჭიროების დროს სვანი ცეცხლის გასაჩენად ხმარობს კვეს-აბედს, რომელსაც თვითონ აკეთებს. ლაშით სვანი სახლს შუაცეცხლის შემწეობითა და კვარით ანათებს ასე, რომ შეშისა და კვარის კვამლი ერთად შეერთებული იქაურობას აშავებს და თვალებს უწითლებს ადამიანს. კვარის მავიერ იმ ადგილებში, სადაც ნაძვის ხე ძეირია, ხმარობენ არყის ხის გამხმარ ქერქს, რომელსაც ძლიერ ეკიდება (კალა-უშგულში). სხვაგვარს სანა-თურს სვანი მოქლებულია. შეშათა ხმარობენ ბევრგვარ ხეს: ნაძვს, ფიჭვს, მუხას, თხმელას, არყის ხეს, ვერხვს, წილელს და სხვას. ბალის ხეს არა სწვავენ, რადგან შეწირული აქვთ¹; ის კი არ იციან, რომ მისი ცეცხლი კაცს თვალებს უფლებს.

სვანი ხმარობს შემდეგს რკინის იარაღებს: ნაჯახს (კაღა), წალდს (ნასოლ), ბურლვს (სიფრით), ხორცის ამოსალებად ჩან-გალს (ფუცხვ), ასტამს; ხისას: ორთითას, ფიწალს, ულელს (ულვა), ფორჩხას (ლუშდიქ-ლაფცხი), სახვნელს (ლენწიშ), ფა-რცხი (ლაჭადირ). ხსენებულს იარაღებს სვანი თვითონ აკეთებს

¹ რადგან ხატების ფიცრები ბალის ხისაა. (შენიშვნა ეკუთხის ი. მარ-გარაში — შემდგ.).

რკინისას და ხისას, მაგრამ ყოველსავე ხელოვნურს გემთს მო-
ლებულია. რკინას და სპილენძს სვანი სხვა ქვეყნებიდან ურთეშობა
დება. მოსაგერებელს იარაღებს შეაღენს კაეიანი თუშულმარტევა
ჯალი, დამბაჩა, ლივერი (ახლო ხანებში შემოიღეს) და იშვიათად
დაშნა. ამ ბოლოხანებში სანადიროთ აქა იქ შემოიღეს ბერდანი-
სა და მარტინის სისტემის თოფები, თუმცა-და აშკარად ვერა
ხმარობენ. ყველაზედ უფრო უძველეს იარაღად მიაჩნიათ
შვეილდ-ისარი, სვანს თოფი და ხანჯალი მოსწონს ყველაზედ
უფრო და ამიტომ არც კი იშორებს მათ. შესანიშნავია კაეის
შემდეგი თოფები: სტამბოლისა და ყირიმისა. ბევრი მათგანი
მოოქროვილია, სალტეები ვერცხლისა აქვთ და ნიშანზედ ძლი-
ერ კარგად მიდის. ამისთანა თოფი კი სვანს დიდ რამედ მიაჩნია.
წინეთ ისინი ფასობდნენ 200—300 მანეთად (ეხლა 100—150).

წინეთ სვანები ისარს შხამავდნენ და ძლიერ შორსაც ის-
როდნენ. ნადირობის დროსაც შშეილდ-ისარსა ხმარობდნენ და
მისგან დაჭრილი ნადირი ძვირათ გადარჩებოდა. ეხლაც პოუ-
ლობენ მთა-კლდეებში მირჭობილ ისრებს, უეჭველად მონადი-
რისაგან ნატყორცნს.

ვინ იყვნონ „პაპიბი“ ანუ „ბაპიბი“?

ყველამ ვიცით, რომ ჩეენმა მხარემ ბევრი განსაცდელი
გამოიირა მეტადრე სარწმუნოების მხრივ. მუდამ მტრების შე-
მოსევა და ქვეყნის განადგურება ხელს უშლიდა წინსვლას...
წინსვლა რა იყო, მაკმადიანობა მძლავრდებოდა და ეს ხომ წინ
აჩავის არ გაუშვებს. ამას ზედ დაემატა შინაური უთანხმოება,
შური და სიძულევილი ურთი-ერთს შორის. ყველაფერს თავისი

დაღი დასვეს მტრებშია, სადაც კი ადვილად მისწოდებოთხენ, უკელგან ძალდატანებით შემოჰქონდათ თავიანთი სარწმუნო-ესა, ზნე და ჩვეულება; ეკლესიებს პრევნიდნენ დამოუკიდებელ-თებისაგან ძარცვავდნენ... მთლად გასცილდნენ მათ ძვირფას ხატებისა და ნივთებისაგან, რომ მოშორებულნი ჩვენი მეზო-ბელნი არა, — ერთიანად აღმოფხვრილნენ ქრისტეს სარწმუნო-ებს და ყველგან მაპმადიანობას დანერგავლნენ, რომ ისევ იმ მეზობლებს არა, რომელთაც მიაწოდეს დასაცველად მისმა თა-ნამოძმებმა მრავალი ძვირფასი ხატი, ჯვარი და ნივთეულო-ბა! — ვინ იყენენ და ვინ არიან ეს მეზობელნი? ესენი არიან ჩვენი თანამოძმები გვარტომობითა და სარწმუნოებით: სვანი, ფშავ-ხევსურნი, და სხვა მთიულნი ხალხნი და მათი მოძღვარნი. უკეთ რომ ვსთქვათ მათი „პაპები“ და „დეკანოზები“. ჩვენ ვი-ტყეოთ პირველის შესახებ.

სვანეთი, მოგეხსენებათ უგზო-უკვლო ქვეყანაა: ძველად მაინც იგი მეტად მიუდგომელი მხარე იყო. ის შეადგენდა სა-ქართველოს სამეფოის ნაწილს და თუ ხშირად თავისუფლების დროშას ატარებდა, ეს იმ არეულობის გამო, რომელიც თით-ქმის მუდამქამ სულევდა ჩვენში. სვანეთსაც ისეთივე მღვდლე-ბი ჰყავდა იმ დროს, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ისევ იმ არე-ულობამა და პოლიტიკურმა ძალამ სვანეთი თითქმის გააცალ-კევა სხვებისაგან და რამდენიმე ხანს თავისუფლების დროშა მიანიჭა. იმ განცალკევებას არანაკლებ უწყობდა ხელს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს კია, რომ იგი უკან ჩამორჩა სხვებს: სარწმუნოება სიბნელით მოსებოდა, არეულობა, კაცის კვლა, სისხლის ცლება და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ნამდვილი მღვდლები გაჰქრენენ და მათი ადგილი „პაპებმა“

დაიტირეს, რომელთაც უკუთვნის სვანეთში ქრისტიანობა
დაცვის პატივი.

ერთ დროს თავისუფალი სვანეთი ცაგერის მუნიციპალიტეტისა
(ცაგერელს) ექვემდებარებოდა, ხოლო საღადეშქელიანო სვა-
ნეთი — ცაიშისას, რომელიც უგზავნიდნენ მას (სვანეთს) ნა-
